

მურმან ურუშაძე

პირველი ქართველი
გრაფიკონი
გრიგოლ ტატიშვილი



ხელოვნება
თბილისი
1958

ვსარგებლობთ შემთხვევით და გვესურს უღრმესი მადლობა გადავუხადოთ აკად. შადვა იასონის-ძე ამირანაშვილს, რომლის რჩევისა და წახალისების შედეგად მოგვიდგინა ხელი ლვაწლმოსილი ხელოვანის შესახებ მონოგრაფიაზე მუშაობას.

მადლობას მოვანსენებთ, აგრეთვე, იოსებ ტატიშვილის ოჯახის წევრებს იმ დიდი უპრადღებისა და ხელშეწყობისათვის, რაც მათ განლოჩინეს ჩვენს მიმართ წიგნზე მუშაობის დროს.

ავტორი



მე-19 საუკუნემ ბევრი ბუმბერაზი მოაზროვნე, მწერალი და ხელოვანი მისცა მსოფლიოს. თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავდა თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლებმაც თავისი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე შექმნეს ქვეშაბრტყლად სრულყოფილი

ნაწარმოებები.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებასაც თავისი საკუთარი გზა ჰქონდა. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე წარმომადგენლები უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ სხვა ხალხებთან, კერძოდ კი, რუსი ხალხის საუკეთესო ადამიანებთან. ეცნობოდნენ რა მათ დემოკრატიულ იდეებს, ისინი მთელ თავის ცოდნას ახმარდნენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარების საქმეს.

რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობასა და მჭიდრო კავშირს შეგნებულად უშლიდა ხელს მეფის რუსეთი, რომელიც ხალხთა სამყარობილედ იყო. „მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უფლები იყვნენ. განუწყვეტილად განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს“, ნერგავდა ზიზლსა და

სიძულელის მათდამი. ნეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შულს. ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ... ნაციონალურ ოლქებში აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა¹.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთს პოლიტიკურად დაუძლურებული საქართველო მაგრად ჰყავდა თავის უღელ-ქვეშ მოქცეული, გასაქანს არ აძლევდა და ყოველმხრივ ბოკავდა მას, „ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა“², ქართველი ხალხი მაინც განუწყვეტლივ მიისწრაფოდა თავისუფლებისაკენ. ცხოვრების მძიმე პირობებისაგან შევიწროებული ხალხის სულიერმა მოთხოვნილებებმა გამოიხატეს იმ ადგილას, რომელიც მეფის რუსეთის ყურადღების ცენტრში ნაკლებად იყო მოქცეული—ხალხმა თავისი სულიერი ტკივილების დაშოშმინებისა და დაამების საშუალება მხატვრულ შემოქმედებაში ჰპოვა; ლიტერატურის, თეატრისა და მუსიკის საშუალებით შეისხა მან თავისი შესაფერისი სხეული. მრავალტანჯულ, არა ერთგზის გაქედილ, შეურაცხყოფილ, მაგრამ მაინც არსებულ და ენერგიულ ქართველ ხალხს, მოევლინენ ადამიანები, რომლებმაც ხელი შეაშველეს, წამოაყენეს, კიდევ უფრო გააღვივეს მასში მარად არსებული თავისუფლების ნაპერწკალი და მომავლისადმი ურყევი რწმენა განუმტკიცეს.

ქართველმა ინტელიგენციამ დაიწყო გამოფხიზლება და დაადგა შემობრუნების გზას; იგი მოითხოვდა, რომ ქართული კულტურა განეფითარებიათ ქართულსავე საწყისებზე, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ნაწარმოებები მიეცათ ხალხისათვის.

მეფის რუსეთის მიერ შექმნილი მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი გზა, სადაც ხალხის შინაგანმა განცდებმა, მისმა სულიერმა სამყარომ მეტად რელიეფურად იჩინა თავი—ლიტერა-

¹ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1950 წ., გვ. 6, 7.

² სტალინი, ი. ბ., თხზულებანი, ტომი მეოთხე, გვ. 388.

ტურა იყო. ადამიანები, რომლებიც ამ გზით წავიდნენ სპეტაკი გულითა და გონებით მოეკიდნენ ქართველი ხალხის გამოფხიზლების საქმეს და ეზის სინათლეზე გამოიტანეს ყველა ის ნაკლი. რაც ბორკაულა და აფერხებდა ერის შემდგომ განვითარებას.

ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი და შრავალი სხვა—აი, ის ადამიანები, რომლებსაც უღრმეს პატივს სცემს ყოველი ქართველი, რადგან მათ, იმ მძიმე პირობებში, საღათას ძილისაგან გამოაღვიძეს ხალხი, ბრძოლით თავისუფლების მოპოვებისაკენ მოუწოდეს და ამ მინართულებით თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს.

ამასთან ერთად, არსებული პირობებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე გზაც განვითარდა. ეს იყო სახვითი ხელოვნების გზა. აქ შედარებით ნაკლები სიკვვეთრით გამოირჩეოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უსიტყვოდ აკეთებდნენ ხალხში პროგრესული აზრების განვითარების, გეგონებისა და შინაგანი სამყაროს გამდიდრების მეტად მძიმე და რთულ საქმეს.

„გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოცენებული ქართული მხატვრული კულტურის განვითარების ახალი ასპარეზი, უპირველეს ყოვლისა მკვეთრად გამოვლინდა სახვითი ხელოვნების სფეროში. კერძოდ ამ მიჯნაზე ქართული ხელოვნების ისტორიაში იბადება ახალი პერიოდი, რომელიც ახალი ქართული სახვითი ხელოვნების სახელწოდებით არის ცნობილი“.¹

სწორედ ამ ახალ ვითარებაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა, მავალითად, გრიგოლ შაისურაძემ (1814—1865), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში, კერძოდ კი ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ფორმირებისა და აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში. გრიგოლ შაისურაძე, ეზიარა რა რუსულ კულტურას, განიმსჭვალა იმ დიდი დემოკრატიული და რეალისტური იდეებით, რითაც ასე სისხლსავსე იყო 40—50-იანი წლების რუსული მოწინავე ლიტერატურა და ხელოვნება. შაისურაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება, მსგავსად სახელოვანი პოეტის დავით გურამიშვილისა, სიმბოლური გამოხატულებაა ხალ-

¹ დუდუჩავა, მ., ახალი ქართული ხელოვნება, გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1950 წ., გვ. 33.

ხთა მეგობრობისა, რომელიც ძველთაგანვე მოსდევს დიდ რუს, უკრაინელ და ქართველ ხალხს და რითაც ასე ამაყობს დღეს საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი მტკიცე ოჯახი.

ქართული ხელოვნება, მოხვედრილი ახალ ისტორიულ ვითარებაში, რუსული კულტურის გავლენას განიცდის და პროგრესული განვითარების გზას ადგება. საფუძველი ეყრება დაზღურ ფერწერას, გრაფიკას, ხოლო შემდეგ კი ქანდაკებას.

გრიგოლ ტატიშვილის, რომანოზ გველესიანისა და ალექსანდრე ბერიძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით ქართულ ხელოვნებაში ერთგვარი გამოცოცხლება იწყება, კერძოდ გ. ტატიშვილის სახით ჩვენ გვყავს პირველი ქართველი ქსილოგრაფი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ გრაფიკულ ხელოვნებას.

გრიგოლ ტატიშვილი, რომელმაც თავის სამოღვაწეო ასპარეზად გრაფიკული ხელოვნება აირჩია, დიდი დიაპაზონის ადამიანი იყო.


ჩვენთვის მისი სახელი საყვარელი და მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული ზოგადი და სპეციალური განათლება, რომელსაც არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ გაცნობოდა ადგილზე რუს ან ევროპელ ქსილოგრაფების მუშაობას და ამით მიეღო გარკვეული გამოცდილება, გამოეხმაურა საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებებს და შეძლებისდაგვარად, საერთო საქმისათვის, შეგნებულად გააქეთა ის, რისი უნარიც მას გააჩნდა. ტატიშვილი ჩვენ წარმოგვიდგება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად იმ პირთა შორის, რომლებმაც დაიწყეს ახალი ქართული გრაფიკული ხელოვნების ნათელი ტაძრის შენება.

მიუხედავად იმისა, რომ ტატიშვილს პირადად არ შეუქმნია რაიმე სკოლა ან მიმდინარეობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებული პირობების გამო იგი ვერ ამალღდა შემოქმედებითი გაქანების მწვერვალამდე, ჩვენ მაინც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ტატიშვილის ადგილი ქართულ ხელოვნებაში მეტად რელიეფურადაა გამოკვეთილი და მის შემოქმედებას უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ენიჭება ამ ხელოვნების ისტორიის განვითარებაში.

ტატიშვილს სწაპდა, რომ მისი შრომის ნაყოფი სარგებლობას მოუტანდა თავის ხალხს, მცირეოდენ წვლილს შეიტანდა მისი გემოვნებისა და კულტურული მოთხოვნილების ამაღლების საქმეში. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი გულმოდგინეობით მოეყიდა მის მიერ არჩეულ დარგს და ბოლომდე გაჰყვა მას.

მნიშვნელოვანია გრიგოლ ტატიშვილის დეაწლი ქართველი ხალხის წინაშე და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. იგი საყვარელი და ძვირფასია ყველა იმისათვის, ვისაც უყვარს ხელოვნება, ლიტერატურა და წიგნების მხატვრული გაფორმება მეტად სასარგებლო საქმედ მიაჩნია.





რიგოლ ტატიშვილის შამის, პავლეს შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ვიციით. რომ იგი გორის მდიდარ კომერსანტს—ზუბალაშვილს აუყვანია აღსაზრდელად და როცა პეტერბურგში გადასულა საცხოვრებლად ისიც თან წაუყვანია. დაახლოვებით ოცი წლისა იქნებოდა, როცა ზუბალაშვილთა ოჯახის მეთაური და პავლეს მთარველი გარდაცვლილა და უყურადღებოდ დარჩენილ ახალგაზრდას ისლა დარჩენოდა, რომ ლუკმა-პური თავისი საკუთარი შრომით მოეპოვებინა. სამუშაოს დიდი ხნის ძებნის შემდეგ იგი მოსამსახურედ დამდგარა ერთ სასადილოში და მზარეულობა უსწავლია. კარგა ხნის მუშაობის შემდეგ დაბრუნებია მშობლიურ ქალაქ გორს, სადაც ცოლად შეურთავს ადგილობრივი მოქალაქის, მკურავი-შვილის ქალი ელისაბედი, რომელიც მეტად კეთილი, გამრჯე და თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა. მას იტაცებდა ქართული მუსიკა, ლიტერატურა და, როგორც გადმოგვცემენ, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირადაც კი სცოდნია.

გრიგოლ ტატიშვილი პავლესა და ელისაბედის ჩეექსე შეილი იყო¹. იგი გორშია დაბადებული. დღეისათვის ეს ფაქტი ახალი ქართული ხელოვნების მკვლევართა შორის არავითარ ექვს არ იწვევს. ხოლო, რაც შეეხება გრ. ტატიშვილის დაბადების თარიღს, იგი ზოგიერთ დაზუსტებას მოითხოვს:

¹ პავლეა და ელისაბედის შვილები იყვნენ: ეკატერინე, თამარი, მარიამი ნინო, დიმიტრი და გრიგოლი.

გრიგოლ ტატიშვილის დაბადების შესახებ რამდენიმე ცნობა არსებობს. პირველი მათგანი გამოქვეყნებულია 1911 წელს გამოსულ სომხურ ჟურნალ „თარაზში“ (№7,8). აქ მოთავსებულ ნეკროლოგში ნათქვამია: „ფიგარო“ (გრ. ტატიშვილი) დაიბადა 1849 წელს ქ. გორში.“ გაზეთები „სახალხო გაზეთი“ (1911 წ., №137,2 აგვისტო) და „თემი“ (1911 წ., №31,8 აგვისტო) ტატიშვილის დაბადების თარიღად 1859 წელს აცხადებენ. ამ დროიდან 1943 წლანდე, თუ არ ჩავთვლით 1924 წლის „მნათობში“ (№4) მოთავსებულ შ. მამალაძის წერილსა და გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ გარდაცვლილ მხატვრებისადმი მიძღვნილ 1927 წლის გამოფენის ანგარიშს (№: 1449—12 აპრილი), გრიგოლ ტატიშვილის შესახებ არავის არაფერი არ გამოუქვეყნებია.

იმის შესახებ, რომ ეს ორი თარიღი ნამდვილად არ შეეფერება სინამდვილეს, მეტყველებს გრ. ტატიშვილის არქივში დაცული საბუთები და 1943 წლის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული წერილები.

1943 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 8) მწერალი იოსებ ტატიშვილი (გრ. ტატიშვილის შვილი), წერილში—„გრ. ტატიშვილი. ქართული ქსილოგრაფიის 80 წლის თავის გამო“, ქსილოგრაფ-გრაფიკოსის დაბადების თარიღად 1838 წელს აცხადებდა. თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იოსებ ტატიშვილი წერილში არაფერს ამბობს. მართალია, დღეისათვის გრ. ტატიშვილის დაბადების თარიღად 1838 წელია მიჩნეული, მაგრამ იგი ისევე, როგორც ზევით აღნიშნული სხვა თარიღებიც არავითარ სარწმუნო საბუთს არ ემყარება, რის გამოც მისი სისწორე ამჟამად კითხვის ქვეშ დგება.

გრ. ტატიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე მუშაობის პროცესში, ჩვენ მიერ გრ. ტატიშვილის არქივში (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) ნახული იქნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც სრულებით ახლებურად აშუქებს ტატიშვილის დაბადების საკითხს.

საბუთი წარმოადგენს გრ. ტატიშვილის სიცოცხლეშივე დაბეჭდილ სარეკლამო ფურცელს, რომელიც 1901 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლის თავის აღსანიშნავად მოწყობილ „კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე“ იყო გამოკრული გრ. ტატიშვილის ნამუშევრების ვიტრინასთან. ფურცელში, რომელშიც მოცემულია გრ. ტატიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, ნათქვამია: „Григорин Павлович Татишвили, уроженец гор. Гори, Тифл. губ., мзльчиком 14 лет привезен был в Тифлис в 1862 году...“

(სრული ტექსტი იხილეთ მე-26 გვერდზე. მ. უ.) აქედან, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: თუ 1862 წელს ტატიშვილი 14 წლისა იყო, მაშასადამე, იგი დაბადებულია (1862—14) 1848 წელს.

გარდა ამისა, ჩვენთვის მეტად საგულისხმოა მეორე საბუთიც, რომელიც თბილისის კალოუზნის ეკლესიის 1911 წლის 29 ივლისის ააქტო ჩანაწერს (№ 13) წარმოადგენს. იგი დღეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების საქალაქო არქივშია დაცული. სააქტო ჩანაწერში ნათქვამია, რომ: „მოქ. გრიგოლ პავლეს-ძე ტატივეი გარდაიცვალა 1911 წლის 29 ივლისს. გარდაცვალების დროს იგი იყო სამოცდასამი (63) წლის.“

ამ საბუთიდან, ისევე როგორც პირველიდან, ცხადი ხდება, რომ გრ. ტატიშვილი დაბადებულია (1911—63) 1848 წელს.

ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს ორი სარწმუნო საბუთი, რომლებშიც გრ. ტატიშვილის დაბადების თარიღად, ორივე შემთხვევაში, 1848 წელი ჩანს.

იმის გამო, რომ გრ. ტატიშვილის დაბადების თარიღის შესახებ რაიმე სხვა ცნობა დღეისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება, ზემოთ-მოყვანილ საბუთებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრიგოლ ტატიშვილი დაბადებულია 1848 წელს და არა 1838 წელს, როგორც ეს დღემდე იყო მიჩნეული¹.

¹ მუხედავად იმისა, რომ ზევით მოყვანილი ოფიციალური დოკუმენტები საესებით საქმარისია გრ. ტატიშვილის დაბადების თარიღის დადგენისათვის, ჩვენ აქვე გვინდა დამატებით მოვიყვანოთ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უბუცესი თანამშრომლის, შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების განყოფილების გამგის—იროდიონ თომას-ძე სონღულაშვილის ნაშრომიც, რომელიც უშუალოდ გრიგოლ ტატიშვილის დაბადების საკითხს ეხება. ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები მხოლოდ შეცნიერთან საუბრის დროს გვაქვს ჩაწერილი:

„დაბადებულ ვარ 1880 წლის 22 დეკემბერს. თორმეტი წლისა მიმაბარეს სათავად-აზნაური სკოლაში. ვინაიდან ჩვენთანებიდან იმ დროს თბილისში არაყინ იყო, მდგმურად დავექმი გრიგოლ ტატიშვილის ოჯახში. მასთან ვცხოვრობდი ერთ წელზე მეტ ხანს. მაშინ იგი ორმოც წელს გადაცილებული იყო—იქნებოდა ასე 43-44 წლისა. შემდეგში ჩვენ დაენათესავდით კიდევ. მისი მეორე ცოლი მინადორა გულისაშვილი ჩემი რძლის დეიდაშვილი იყო.“

იროდიონ სონღულაშვილის ამ მოგონებიდან გამოდის, რომ თუ 1892 წელს (1880+12) გრ. ტატიშვილი 43, 44 წლისა იყო, იგი დაბადებული ყოფილა (1892—43, 44) დაახლოებით 1848—1849 წლებში და, ყოველშემთხვევაში არა 1838 წელს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს.

მართალია, დღეისათვის ჩვენ არ გავგაჩნია საყურადღებო ცნობები გრიგოლის ბავშვობის შესახებ, მაგრამ არსებულითაც ცხადი იდება, რომ მისი ხასიათისა და ნებისყოფის ჩამოყალიბებასა და განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა მისმა დედამ—ელისაბედმა, რომელიც სათუთ და შთაბეჭდილებიან ბავშვს პატარაობიდანვე უღვივებდა სპეტაკ გრძნობებს, უწვითარებდა გემოვნებას და აჩვენებდა შრომისმოყვარეობას.

პაელებს შეილებიდან სილამაზით განთქმული თამარი სრულიად შრულოდნელად გარდაიცვალა. საყვარელი შეილის უდროო სიყვდილმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მამა, რომელმაც ყველაფერზე გული აიკრუა, განმარტოვდა, დაიწყო ღვინის სმა. მისთვის მძიმე გახდა გორში ცხოვრება. თვითეული ადგილი დაკარგულ პირმშოს აგონებდა, რის გამოც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად¹. ოჯახის მთელი სიმძიმე ელისაბედს დააწვა კისერზე. მიუხედავად გაქირვებისა მან მაინც მიაბარა გრიგოლი გორის სასწაელებელში, მაგრამ ორი წლის შემდეგ ხელმოკლეობამ აიძულა უკანვე გამოეყვანა თავისი შვილი, რის შემდეგ გრიგოლს სწავლა აღარასოდეს აღარ გაუგრძელებია.

მიუხედავად იმისა, რომ ტატიშვილის სწავლა-განათლების ხანა მხოლოდ ორი წლით შემოიფარგლა, მისმა მუყაითმა შრომამ და თვითგანვითარებამ მაინც გამოიღო ნაყოფი, რომლის შედეგად მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ადამიანთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო და საპატიო ადგილი დაისაკუთრა.

ერთხელ, თოთხმეტი წლის გიგა, როგორც მას სახლში ეძახდნენ, ელისაბედმა მამის სანახავად გამოაგზავნა თბილისში, სადაც ჩამოსვლისთანავე იგი ქუჩაში შემთხვევით თავის მთვრალ მამას წააწყდა. ძნელი არ არის ადამიანმა წარმოიდგინოს თუ რა განიცადა ამ წუთებში პატარა გიგამ. როგორც გადმოგვცემენ შვილთან შეხვედრამ პაელებს საბოლოოდ მოუბრუნა გული ოჯახისაკენ; იგი დაშინებულად ბრუნდა გორში და 1862 წელს თავისი ოჯახი თბილისში გადმოიყვანა, რის შემდეგ ზეთის ნაცვლის სამზარეულოში დაიწყო მუშაობა და მალე „დიდი პოვარის“² თანამდებობაც მიიღო.

გიგამ პირველად ქალაქურ ცხოვრებას ალღო ვერ აუღო. ლაღად გაზრდილს. მაშინდელი თბილისის ვიწრო და ქუჩიანი ქუჩები სულს

¹ პაელებს ტატიშვილის შესახებ ცნობები მოგვაწოდა გრ. ტატიშვილის შვილშვილებმა გულნარა და გრიგოლ ტატიშვილმა.

² მთავარი მზარეული.

უხლიავედა. ბუნებით ჯანმრთელი. ჯანლონით საესე ყმაწვილი ვერ გეუებოდა ერთ ადგილზე უნოდროდ ყოფნას. დადიოდა ქალაქში, ეკნობოდა მცს თავისებურებებს. მალე, თავმდაბალი, მეგობრებისათვის თავდადებული ხასიათის განო თავის ტოლების დიდი სიყვარული მოიპოვა.

იმ ხანებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული იყო ცირკის ესახიობთა დასი, რომელიც თავის წარმოდგენებს დღევანდელ პუშკინის ქუჩაზე არსებულ ბალთან სახელდახელოდ აგებულ ფარდულში მართავდა. ერთ დღეს, გიგამ როგორღაც მოახერხა წარმოდგენაზე დასწრება. პირველად იყო ასეთ სანახაობაზე. მსახიობ-აკრობატთა ოსტატობამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. ამ დღის შემდეგ გიგა ისე გაიტაცა ცირკმა, რომ მისი ხშირი სტუდარი გახდა. დაიწყო ცირკის მსახიობებთან სიარული, დაუწყებოდა ახალგაზრდა აკრობატებს და მალე მათთან ერთად წრთენაც დაიწყო. მოკლე ხანში ისე გამოიჩინა თავი, რომ მიუყვანეს თვით დასის ხელმძღვანელს, რომელსაც ძალიან მოეწონა ყმაწვილი. იგი შეაქეს და დახმარებასაც დაპირდნენ. აღფრთოვანებულ გოგას მონავლის იმედმა გონება გაუნათა. რადგან სწავლისათვის მას საკირო სახსრები არ გააჩნდა, გადაწყვიტა ტანვარჯიშში დახელოვნებულიყო და ამიტომ ბეჯითად მოჰკიდა ხელი მეცადინეობას. კარგა ხნის ცდისა და მრავალი ილეთვის შესწავლის შემდეგ დასის ხელმძღვანელმა იგი მყურეზლის წინაშე გამოიყვანა. ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ გიგა უკვე სისტემატურად გამოდიოდა ცირკის არენაზე.

მაგრამ მალე საბედისწერო შემთხვევამ აიძულა იგი თავის ამ პირველ ხელობისათვის სამუდამოდ მიენებებია თავი. ერთხელ, წრთენის დროს გრიგოლი ღერძიდან გადმოვარდა, იატაკს მხარი დაჰკრა და ლავიწის ძვალი გაიტება. კარგა ხნის ლოგინში წოლის შენდეგ მან ვარჯიში უკვე ვეღარ შეძლო.





იუხედავად იმისა, რომ პავლე სასახლეში „დიდ პოვ-რად“ მუშაობდა, იგი მაინც ვერ ახერხებდა თავისი ოჯახის მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება-საც კი, რის გამოც იძულებული შეიქნა, მატერიალური მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორების მიზნით, გრიგოლი თამამშევის ქარვასლაში მოთავსებულ ერთ-ერთ „შკაფ-ჩიქისათვის“ შეგირდად მიეზარებინა — „ვაქარი გამოვა, კაცო იქნებაო“.

პატარა დუქნები, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ „შკაფები“, თამამშევის ქარვასლის შენობის დერეფნებში იყო მოწყობილი. მო-ვაქრე „შკაფჩიქები“, თბილისის ეს წვრილი ბურჟუაზიის წარმომად-გენლები, დიდ ექსპლოატაციას უწევდნენ თავიანთ შეგირდებს, რომლებიც ფორმალურად ვაქრობას სწავლობდნენ, სინამდვილეში კი თავისი „ხაჯეინების“ ხელზე მოსამსახურეებად იყვნენ გადაქცეულნი.

ამავე ქარვასლის შენობაში თეატრიც იყო მოთავსებული. ქართველები დიდი ხანი ცდილობდნენ თავის თეატრისათვის წესი-ერი შენობა აეგოთ, მაგრამ მათი ეს სურვილი მუდამ განუხორცი-ელებელ ოცნებად რჩებოდა, რადგან ნაციონალური კულტურის განვითარების ამ დიდი საქმისათვის სახსრების გაღება არაეის სურ-და. საქმე მხოლოდ მას შემდეგ მოგვარდა, რაც 1844 წლის დასას-რულს კავკასიაში მეფის ნაცვლად გენერალ-ადიუტანტი გრაფი მი-ხეილ ვორონცოვი დაინიშნა: მისმა თბილისში ჩამოსვლამ საბოლოოდ

გადასკრა აქ თეატრისათვის შენობის აგების მანამდე გადაუწყვეტელი პრობლემა.

იმ მიზნით, რომ ქართველი თავად-აზნაურობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, გაეხადა იგი ცარიზმის ყურმოჭრილ ყმად, შოესპო მისთვის აჯანყებებისადმი ყოველგვარი ლტოლვა (მეფის რუსეთს კარგად ახსოვდა 1832 წლის ამბები), ვორონცოვი შეუდგა ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც თითქოს-და ქართველ საზოგადოებას კულტურული ცხოვრებისათვის საჭირო პირობებს უქმნიდა, თუმცა, სინამდვილეში ეს პირობები მხოლოდ ფორმალური და მოჩვენებითი იყო. ვორონცოვმა ნება დართო ქართველ საზოგადოებას გამოეყენებია ეკლესია, მეცნიერება, პრესა, თეატრი, სკოლა და სხვა თავისი ხალხის ინტერესებისათვის, მხოლოდ ერთი პირობით: ყველგან მამოძრავებელ ძალად თვითმპყრობელური სული უნდა ყოფილიყო, ყველგან მეფის რუსეთის პოლიტიკის ქებათა-ქება უნდა ექადაგათ. ქართველ თავად-აზნაურობასთან და მოწინავე ინტელიგენციასთან ასეთი განწყობილებით, შეგუების, დაყვავების პოლიტიკით, ქართულ კულტურასთან „ნეიტრალური“ დამოკიდებულებით, ვორონცოვი ცდილობდა ემოქმედა თვითმპყრობელური პოლიტიკის სასარგებლოდ.

სწორედ ამ პოლიტიკამ განაპირობა ის გარემოება, რომ ვორონცოვი თვით ჩაუდგა სათავეში თეატრისათვის შენობის აგების საქმეს. მას კარგად ესმოდა თეატრის დიდი მნიშვნელობა; იცოდა, რომ თეატრის სცენიდან შეიძლებოდა მეფის რუსეთის პოლიტიკის პროპაგანდა, რითაც მეტად შეუწყობდა ხელს რუსეთისაკენ ქართული საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას. ვორონცოვმა თბილისში ჩამოსვლისთანავე დაიწყო მდიდარ ვაჭრებთან მოლაპარაკება თეატრის შენობის აგების თაობაზე. იგი ასეთ პირობას უყენებდა მათ: ერევნის მოედანზე (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახ. მოედანი) ვაჭრებს უნდა აეგოთ ორსართულიანი შენობა თეატრისა და სავაჭრო დუქნებისათვის, რომელიც თვით მშენებლებს რჩებოდათ, თეატრი კი ქალაქის საკუთრებაში გადადიოდა მიწის იმ ნაკვეთის ანგარიშში, რომელიც მათ უსასყიდლოდ ეძლეოდათ შენობის აგებისათვის.

დიდი ფიქრისა და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ თეატრის აგება თბილისის ერთ-ერთმა მდიდარმა ვაჭარმა გაბრიელ თამაშვემა იკისრა.

პირობის თანახმად ვორონცოვმა თამაშვეს უსასყიდლოდ გადასცა მიწის ნაკვეთი. საქმე წოგვარდა. 1847 წელს არქიტექტორ

სკულდერის პროექტის მიხედვით დაიწყო თეატრის მშენებლობა. შენობის მხატვრულ გაფორმებაზე ცნობილი მხატვარი გრ. გაგარინი მუშაობდა.

რუსული მმართველობის ამ ტაქტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: ქართველი თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ვაჭართა კლასი ევრონიციონით დიდი კმაყოფილი იყო.

თეატრის ოთხსართულიანი შენობა (აქედან ორი სართული მიწის ქვეშ იყო მოთავსებული), როგორც იმდროინდელი გაზეთები აღნიშნავენ, ბრწყინვალე გამოვიდა. გარდა ადგილობრივი გაზეთებისა უცხოურნიც აღტაცებას გამოთქვამდნენ თეატრის მომხიბლავი გაფორმების გამო.

ალ. დიუმა, თავის წიგნში („კავკაზი“, ტომი მეორე, გვ. 440), წერდა: „ჩემი სიცოცხლის მანძილზე თითქმის ყველა თეატრი მინახავს, მაგრამ თბილისის თეატრის სილამაზეს ვერც ერთი თეატრის სილამაზე ვერ შეედრებაო“.

1851 წლის გაზაფხულზე თეატრი მზად იყო საექსპლოატაციოდ. პირობისამებრ იგი ქალაქს, ხოლო დუქნები თამამშევეს გადაეცა, რის გამოც შენობას „თამამშევის ქარავასლა“ შეარქვეს.

„თამამშევის ქარავასლა“ ყოფილი ერევნის მოედნის შუაგულში იდგა. ცენტრალური ფასადით თბილისის დღევანდელ მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს შენობას გადაჰყურებდა. გვერდითი ფასადების კიბეებს, როგორც მაშინ ეძახდნენ „თუჯის ლომები“ ამშვენებდა. შემდეგ ეს „ლომები“ დადგეს მდ. ვერის ხიდზე, საბჭოთა კავშირის გძირთა მოედანთან.

1874 წელს თეატრი ცეცხლის აღმა შთანთქა.

„შკაფნიკთან“ მუშაობის პერიოდში გრიგოლმა თეატრში საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობები, მუსიკოსები და დეკორატორები გაიციო და ზოგიერთ მათგანს დაუახლოვდა კიდევ. 18—19 წლის ქაბუკი თეატრის ხშირი სტუმარი გახდა; ბუნებით ენერგიულმა, ენამოსწრებულმა, შრომისმოყვარე და პატიოსანმა „ვაჭარმა“ სულ მალე თეატრის მოსამსახურეთა ყურადღება მიიქცია. თავისუფალ დროს იგი სულ მათთან ატარებდა და ბევრ რამესაც სწავლობდა. პირველ ყოვლისა იტალიური და ფრანგული ენების შესწავლა დაიწყო. მართალია, მის მეცადინეობას სისტემატური ხასიათი არა ჰქონია, მაგრამ იმ ზოგიერთ მითითებასა და რჩევა-დარიგებას, რომელსაც მას იტალიური დასის წევრები აძლევდნენ, გრიგოლი თავისი ნიჭის წყალობით ადვილად ითვისებდა და პრაქტიკულად იყენებდა კიდევ. ისიც, თავის მხრივ, ყოველთვის ეხმარე-

ბოდა მათ ყოველი სახის სამუშაოში—არ თაკილობდა, ზოგ შემთხვევაში, შავი და ჭუჭყიანი საქმის შესრულებასაც კი. ამ შრომას მისთვის უქმად არ ჩაუვლია. იტალიელი მსახიობებისაგან მან ბევრი რამ შეისწავლა. ენებთან ერთად გრიგოლი პიკოლოზე¹ დაკერას დაეუფლა და ისე დახელოვნდა, რომ შემდეგ ორკესტრშიც კი უკრავდა ხოლმე. გარდა მუსიკისა იგი ადვილად გაერკვა სასცენო ტექნიკის საიდუმლოებებშიც.

ხელოვნების წარმომადგენლებთან უშუალო კავშირმა საბოლოოდ გაარკვია და ჩამოაყალიბა ხელოვნებაზე ტატიშვილის თვალსაზრისი. სწორედ ამ თეატრში ყოფნისას გაუღვივდა გრიგოლს ხელოვნებისადმი დიდი ლტოლვა და სიყვარული. აქვე გაიგო მან თუ რას წარმოდგენდა ქსილოგრაფიული ხელოვნება.

„შკაფჩიკთან“ მუშაობის პერიოდში გრიგოლი ხშირად ხედებოდა ქართველ ოქრომკედლებს, აკვირდებოდა მათ მუშაობას და იძინდა ბეჯითი და მუყაითი შრომის ჩვევებს. ოქრომკედლებთან მიღებულმა ცოდნამ გარკვეული გავლენა იქონია მის მუშაობაზე. შემდგომში იგი თავის ნამუშევრებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ასრულებდა თითქმის ისეთივე ტექნიკით, რომელსაც ოქრომკედლები და იუველირები ლითონის გრავირების დროს იყენებდნენ.

ქსილოგრაფიულ დარგში ტატიშვილის პირველი ცდები თეატრის მხატვრებთან და ოქრომკედლებთან ურთიერთობის პერიოდთანაა დაკავშირებული.

ჩვენ კონკრეტულად არ შეგვიძლია ვთქვათ თუ პირველად ვინ შეასწავლა ტატიშვილს ხეზე გამოსახულებების კვეთა. ამაზე თვითონაც ვერ იძლეოდა გადაჭრილ პასუხს. იგი ამბობდა: „დავაკვირდი ქართველი ოქრომკედელი გრავიორების მუშაობას, წიგნებში ნახატებს, ზოგი რამ გამოვკითხე იტალიელ მხატვრებს, ზოგი რამ წიგნებში წავეკითხე, მოვისაზრე, მივხვდი, შრომა დავედ და მოვახერხეო“².

როგორც აქედან ჩანს, ტატიშვილს სპეციალური განათლება ქსილოგრაფიული ხელოვნების ათვისებისათვის არ მიუღია. მას არც შეეძლო შეესწავლა ეს ხელოვნება გარკვეული პირისაგან, რადგან იმ დროს არამც თუ თბილისში, საქართველოშიც და, შეიძლება

¹ პიკოლო—პატარა ფლეიტა, აწყობილი ერთი ოქტავით უფრო მაღლა ვიდრე ჩვეულებრივი..

² „ნათობი“, 1943 წ., №8. ტატიშვილი, ი.—„გრ. ტატიშვილი“.

ითქვას, მთელ ამერიკაევკასიაში არავენ იყო ამ დარგში გამოცდილი სპეციალისტი ან ხელოვანი.

ტატიშვილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ქართული ქსილოგრაფიული ხელოვნება განვითარების მეტად მაღალ დონეზე აიყვანა, რალაც „მოისახრა, მიხედა და შრომა დასდო“.

მშობლიური ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული გრიგოლი მთელის სერიოზულობით მოეკიდა ქსილოგრაფიული ხელოვნების დაუფლების საქმეს და გულმოდგინე შრომით შეძლო რთული ტექნიკის ათვისება.

ხეზე გამოსახულების კვეთა ანუ ქსილოგრაფია (ბერძნული სიტყვებიდან: „ქსილოს“—ხე და „გრაფოს“—წერ) გრაფიურის ერთერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს.

კლიშე მზადდება შემდეგნაირად: დაახლოვებით 2,5 სმ სისქის მაგარი ჯიშის ხის ზედმიწევნით სწორ და გაპრიალებულ ზედაპირზე ჯერ ფანქრით, შემბრუნებული სახით, იხატება ასო ან რაიმე გამოსახულება. გრაფიორს ხელში უჭირავს გულდასმით გაღესილი ფოლადის შტიხელი სოკოს მსგავსი სახელურით და ნელი, მაგრამ მტკიცე მოძრაობის ხის ნაქრიდან ფაქიზად იღებს წვრილ ბურბუშელებს, ფანქრით აღნიშნულ ხაზებს მაქსიმალური სიზუსტით ჰკვეთს ორივე მხრიდან. ყურადღების უკიდურესი დაძაბვით ადევნებს იგი თვალს ხელის თვითეულ მოძრაობას, რადგანაც იცის, რომ მცირე შეცდომასაც კი შეუძლია უვარგისი გახადოს კლიშე. ის ადგილები, რომლებიც ქალაღზე არ უნდა დაიბეჭდოს იკვეთება დაახლოვებით ორიდან ხუთ მილიმეტრ სიღრმეზე. დამუშავებულ კლიშეზე, ე. ი. ხის პატარა ნაქრების ამოკვეთის შედეგად მიღებულ რელიეფზე, ლილვაკის საშუალებით უსვამენ საღებავს, ზედ ადებენ ქალაღის ფურცელს და დაქნიხვის შემდეგ ხის დაფაზე ამოკრილი გამოსახულება ქალაღზე გადაღის უკვე სწორი სახით.

ძველად, კლიშეებისათვის მასალად იყენებდნენ ხის ბოჭკოების მიმართულებით გადახეჩილ მსხლის, ბზის ან სხვა რომელიმე მაგარი ჯიშის ხის ნაქრებს. ასეთი სახით დამუშავებული ხის ფიცარი დიდ სიძნელეებს უქმნიდა ოსტატს მუშაობაში, რადგან ბოჭკოების მიმართულებისადმი დიაგონალური ხაზების გავლება არც თუ ისეთი იოლი საქმე იყო და ქსილოგრაფის ცოდნისა და ნებისყოფის სრულ დაძაბვას მოითხოვდა. მე-18 საუკუნის დასასრულიდან ხის ნაქრებს უკვე ახალი წესით ამუშავებენ—ეხლა ხეს უკვე ბოჭკოები-

სადმი პერპენდიკულარულად ხერხავენ. ამ შემთხვევაში ქსილოგრაფს საშუალება ექმნებოდა ხაზები ყოველი მიმართულებით ამოეჭრა, გაეკეთებია წერტილები, მკვეთები და ხის დამუშავების ასეთი ტექნიკის საშუალებით სასურველი ტონები შეექმნა.

ქსილოგრაფია შორეულ აღმოსავლეთში ჩაისახა. მის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ჩინეთმა ითამაშა. ქსილოგრაფიული ხელოვნების პირველი ნიმუშები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს ეკუთვნის და უბრალო საბეჭდ ტვიფარებს წარმოადგენს. ცნობილია, რომ მე-4 საუკუნეში ჩინელები იმპერატორის ბრძანებულებებს უკვე ქალაღზე ბეჭდავდნენ ხეზე ამოკვეთილი ასოების საშუალებით. „868 წელს ჩინელმა ხელოსანმა ვან ძემ წიგნის საბეჭდად გამოიყენა გრაფიურა ხეზე. ეს პირველი ნაბეჭდი წიგნი— მსოფლიო კულტურის ძვირფასი ძეგლი— არქეოლოგებმა იპოვეს ჩვენი საუკუნის დასაწყისს ჩრდილო დასავლეთ ჩინეთში „ათასი ბუდას გამოქვაბულში“¹. ევროპაში ქსილოგრაფიული ხელოვნება აღმავლობის გზას დაადგა მას შემდეგ, რაც გუტენბერგმა მოძრავი-ასაწყობი ხის შრიფტი და საბეჭდი დაზგა გამოიგონა. ხეზე ამოჭრილი სურათებისა და ორნამენტებიდან ანაბეჭდების მიღებამ დიდად შეუწყო ხელი ნაბეჭდი წიგნების სწრაფ გავრცელებას, რადგან მხატვრულად გაფორმებულ და ილუსტრირებულ წიგნებს ხალხი უფრო მეტად ეტანებოდა.

ქართულ მიწაწყალზე ქსილოგრაფიულ ხელოვნებას აკვანი დაერწა პირველი ქართული სტამბის დაარსებასთან ერთად. მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეექვსემ განახორციელა მოწინავე ქართველთა ოცნება— თავის ქვეყანაში საკუთარი ეროვნული სტამბა მოეწყოთ, ქართული ხელნაწერი წიგნების მრავალსაუკუნოვანი კულტურა განვითარების სულ სხვაგვარი, ახალი გზით წარიმართა. „Развитие книгопечатания, появление книжных иллюстраций и украшений, выполненных гравюрой по дереву положили конец книжному декору средневековых рукописей“².

მართალია წიგნების ბეჭდვის საქმეს საქართველოში ის ის იყო საფუძველი ჩაეყარა, მაგრამ სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები თავისი მხატვრული გაფორ-

¹ ივლიცი, ა. მ. და სომორვი, ბ. ა., როგორ ბეჭდავენ წიგნებს, ტექნიკა და შრომა, თბილისი, 1955 წ., გვ. 23.

² Ампранашвилли. Ш. Я., Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры (лекция I и II), Тбилиси, 1953 г., стр. 37.

მების მხრივ, არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპაში ნაბეჭდ წიგნებს; ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმების ბრწყინვალე ტრადიცია, რაც ასე ოსტატურად იქნა გამოყენებული ნაბეჭდი წიგნების მხატვრულ გაფორმებისათვის.

ვახტანგ მეექვსის სტამბიდან გამოსული წიგნებისათვის განკუთვნილი კლიშეები ქსილოგრაფიული წესითაა დამზადებული. ამ კლიშეებიდან დღეისათვის ორი ცალკეა შემორჩენილი: ერთზე თვით ვახტანგ მეექვსის პორტრეტი ამოკვეთილი, ხოლო მეორეზე კომპოზიცია — „სული წმიდის მოფენა“¹. 1709 წელს გამოცემულ „სახარებისათვის“ დამზადებული „ვახტანგ მეექვსის“ და იმავე წელს გამოსულ „სამოციქულოში“ მოთავსებულ კომპოზიციის „სული წმიდის მოფენისათვის“ განკუთვნილი კლიშეები ჩვენ ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმდროინდელი ქართული ქსილოგრაფიული ტექნიკის შესახებ. ეს გრაფიურები ხის ბოქვების პარალელურად გადახერხილ ბზის ნაკრებზეა ამოკვეთილი. მიუხედავად უხეში დამუშავებისა, მაინც კარგად ჩანს თვითული შტრიხი. კომპოზიციები მეტად რთულად არის შედგენილი. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი ქსილოგრაფები ფეგურებს მხოლოდ ხაზების საშუალებით კვეთენ. ისინი ჯერ კიდევ არ არიან დაუფლებულნი ხაზების კომბინირებულ კრას და ამით ტონების შთაბეჭდილების შექმნას.

იმის გამო, რომ ვახტანგ მეექვსის სტამბაში მომუშავე ქსილოგრაფებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ქსილოგრაფიულ ხელოვნებას და ამით კი ნაბეჭდი წიგნების ილუსტრირებისა და გაფორმების საქმეს, ჩვენ საქართველოში ქსილოგრაფიული ხელოვნების განვითარების დასაწყისად მე-18 საუკუნის დამდეგი უნდა ჩავთვალოთ.

ქსილოგრაფიული ხელოვნება ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის წიგნის შემდეგ კონსერვირების ფაზაში შევიდა და მე-19 საუკუნის პირველ ათეული წლების დასაწყისში ნაწილობრივ აღიკვეთა კიდევ.² მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ქსილოგრაფიული ხელოვნების აღორძინება, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ჭატიშვილის მოღვაწეობასთან. ქსილოგრაფიის განვითარებას, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ქართველ საზოგადოებრიობის

¹ კლიშეები დაცულია საქ. სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმში.

² კვასხვაძე, შ., ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება. ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი. 1709—1722, „ხელოვნება“, თბილისი, 1952 წ. გვ. 198.


განვითარებულმა გემოვნებამ, რომელიც უკვე მაღალმხატვრულად გაფორმებულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს მოითხოვდა.

იმის გამო, რომ ჩვენში იმ დროს არ მოიპოვებოდა ქსილოგრაფიულ დარგში მომუშავე არც ერთი სპეციალისტი, გამომცემლები იძულებულნი იყვნენ რუსებისათვის ან უცხოელებისათვის მიეცათ საჭირო კლიშეების დაკვეთები, რაც მათ მეტად ძვირი უჯდებოდათ¹. ამევე დროს დასავლეთ ევროპისა თუ რუსი ქსილოგრაფების მიერ შესრულებული გრაფიურები ვერ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მზარდ სულიერ მოთხოვნილებებს, რადგან ეს გრაფიურები მოკლებულნი იყვნენ ეროვნულ—ქართულ საფუძველს.

ტატიშვილმა ღირსეულად გააგრძელა პირველი ქართველი ქსილოგრაფების მიერ ქართულსავე ნიადაგზე დაწყებული საქმე. მან ძალისა და უნარის დაუზოგველად დიდი წვლილი შეიტანა ჩვენში ქართულ თუ სხვა ენებზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მხატვრული გაფორმების მნიშვნელოვან საქმეში. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენ მას ახალი ქართული სახეითი ხელოვნების განვითარების დასაწყისი პერიოდის პირველ ქართველ გრაფიორს ვუწოდებთ.

¹ საინტერესო ცნობას გვაწოდის, მაგალითად, სომხური ჟურნალი „თარაზი“ („მოდა“): „იმისათვის, რომ სომხურ ჟურნალ „აღბიურისათვის“ („წყარო“) საცირტულე გვერდი დაემზადებიათ, ჟურნალის რედაქცია იძულებული გახდა 500 მანეთზე მეტი გადაეხადა პეტერბურგელ ქსილოგრაფ რეშევსკისათვის“ („თარაზი“, 1911 წ. №7, 8).





ართველ ოქრომკედელ გრაფიორებისა თუ იტალიელ დეკორატორების შემწობით ქსილოგრაფიის ტექნიკური მხარის ზოგადი გაცნობის შემდეგ, ტატიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ხის ფირფიტებზე გამოსახულებების კვეთას; თუმცა მისი ეს პირველი ნამუშევრები ტექნიკურად ჯერჯერობით ტლანქად არიან შესრულებულნი, მაგრამ მათზე წარმატების ნიშანი მაინც გვევთრად ჩანს.

დღეისათვის, ტატიშვილის ადრეულ ნამუშევართაგან შემონახულია მხოლოდ ორი ნაწარმოები. ამათაგან ერთი კლიშეს, ხოლო მეორე ანაბეჭდს წარმოადგენს.

საშუალო ზომის კლიშე, რომელზედაც ჯამბაზის გამოსახულებაა ამოკვეთილი, ბოკოების პარალელურად გადახეჩილ ხის უბრალო ნაქერს წარმოადგენს¹. ჯამბაზის ფიგურა, როგორც ჩანს, ამოკვე-

¹ ზემოაღნიშნული კლიშე და, საერთოდ, გრ. ტატიშვილის პირადი არქივის უდიდესი ნაწილი დაცულია აკად. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, სადაც იგი გადმოტანილი იქნა 1942 წელს განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ნიკოლოზ რეხვიაშვილის თაოსნობით, რომელსაც იქვე გვერდა გადაეუხადოთ მადლობა მმ დახმარებისათვის, რაც მან აღმოგვიჩინა გრ. ტატიშვილის არქივის შესწავლის დროს.

გრ. ტატიშვილის კლიშეები დაცულია, აგრეთვე, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს სსრ ლიტერატურის სახ. მუზეუმის ფონდებში. გრ. ტატიშვილის რამდენიმე კლრშე ინახება საქართველოს სამხატვრო აკადემიაში.

თილია უბრალო, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „კალმის დანით“. იმის შესახებ, რომ ტატიშვილი ქსილოგრაფიის დარგში მუშაობას იწყებს სწორედ ასეთი დანით, მიგვითითებს თბილისში 1901 წელს მოწყობილ ამიერკავკასიის საიუბილეო გამოფენისათვის სპეციალურად დაბეჭდილი ტატიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, სადაც ნათქვამია: „Та: ишвили, гравер-самоучка, начинает гравировать простым перочинным ножом разные незамысловатые рисунки для цирковых афиш и народных увеселений (см. афишу за 1868 год)“¹.

ის გარემოება, რომ ჯამბაზის გამოსახულებაზე არ არის წასმული საღებავი, გვაფიქრებინებს, რომ კლიშე ტატიშვილს გაკეთებული აქვს მხოლოდ ხეზე კვეთის ტექნიკის ათვისების მიზნით.

აღნიშნულის გარდა, გრ. ტატიშვილის მიერ დამზადებული 17 კლიშე (ბზა. ზომა: 24X24 მილიმეტრი) ზედაზენის მონასტერში ინახება. ეს კლიშეები 47-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა ბორის ილიას-ძე კანდელაკმა იპოვა სრულიად შემთხვევით (1957 წლის 24 ოქტომბერს) მონასტრის ეზოში—გივი ზაალის-ძე გურამიშვილის (ი. ქაქავაძის მეუღლის—ოლგას ბიძა) საფლავის ქვის გასწორების დროს. ბ. კანდელაკმა ნაპოვნი კლიშეები შესანახად ზედაზენის მონასტრის მცველს გადასცა. თვითვე კლიშეზე ამოკეთილია ქართული მხატვრული ასო და ამ ასოზე დაწყებული საგნის გამოსახულება. მაგალითად: დ—დათვი, ზ—ზარი, ყ—ყანწი და ა. შ.

თუ როგორ მოხდა ტატიშვილისეული კლიშეები ზედაზენის მონასტრის ეზოში ჩვენ ამის შესახებ ვაღამყვეტად არაფერი შეგვიძლია ვთქვათ. 1947 წელს ზედაზენის მონასტრის ეზოშივე ნაპოვნი სტამბის მოწყობილობა (როგორც ცნობილია, მენშევიკები ზედაზენზე ფულებს—ბონებს ბეჭდადენენ) გვაფიქრებინებს, რომ კლიშეები წაღებული უოფილა თბილისიდან ჭერ კიდეც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

¹ 1901 წელს მოწყობილ ამიერ-კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე გრ. ტატიშვილის ექსპონირებულ ნაწარმოებებთან გამოკრული ცნობა ერთადერთი, დღემდე მოღწეული ტატიშვილის დროინდელი ოფიციალური საბუთია, სადაც ქსილოგრაფის მოკლე ბიოგრაფიული მასალა მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფიული ცნობა სისტემაში არ არის მოყვანილი, არაუღია ზოგიერთი პერიოდი და მკრთალადაა გაშუქებული ზოგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, ზაც სრულად ვერ წარმოგვიდგენს ტატიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ნამდვილ სურათს, ჩვენ მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მკითხველისათვის გავცენო ამ დოკუმენტის მთლიანი ტექსტი:

„Григорий Татишвили.

Гравер-самоучка.

(К Кавказской Юбилейной Выставке).

Григорий Павлович Татишвили, уроженец гор. Гори, Тифл. губ., мальчиком 14 лет привезен был в Тифлис в 1862 году для получения образо-

ზემოთმოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ ტატიშვილმა 1868 წელს დაიწყო მუშაობა ქსილოგრაფიის დარგში საციკო აფიშებისათვის კლიშეების დამზადებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქსილოგრაფიის დარგში ტატიშვილის მუშაობის დაწყების თარიღად იმავე 1868 წელი იქნეს აღიარებული.

ციკლის სარეკლამო აფიშის კლიშე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხელთ არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებული ანაბეჭდის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ იგი ტატიშვილს დამუშავებული აქვს იმავე ტექნიკით როგორც ჯამბაზისა, თუმცა შტრიხების გავლებაში მაინც ჩანს გარკვეული წინსვლა.

საციკო აფიშას (ზომა: 44×45 სმ.) დიდი მხატვრული ღირებულება, რასაკვირველია, არა აქვს. შეხედავთ თუ არა მას, უხეში-

ვანი, но по ограниченности средств ему это не удалось. Мальчик занялся торговлей. Случайно Татишвили попадает в круг итальянцев-музыкантов и декораторов при Казенном театре. тогда помещающемся в центре Караван-сарая Тамимшева, и он начинает увлекаться художественной частью. Не имея никакого руководителя, Григорий Татишвили все же начинает присматриваться к работам этой области, особенно его внимание обращается к граверным работам. Вскоре сам начинает гравировать простым перочинным ножом разные незамысловатые рисунки для церковных афиш и народных увеселений (см. афишу за 1868 год). В 70-х годах граверными работами Татишвили иллюстрирует любочное издание „Караманави“.

Татишвили не удается добывать себе пропитание этим ремеслом, далеко еще им не научившись, и он продолжает торговлю сам, заняв „шкаф“ в Караван-сарая Тамимшева, но любимого дела не оставляет, занимаясь им между прочим. Начало 80-х годов его выводит исключительно на любимое им дело: в Тифлисе зарождаются педагогические журналы — грузинский „Нობთა“ и армянский „Агбюр“ — и Татишвили находит в ту пору достаточный себе заработок от этих редакций заказами клише украшений, иллюстраций и т. п., для названных журналов и разных их изданий. С появлением этих журналов и разных изданий редакций тех же журналов, в местных — грузинских и армянских — изданиях вообще начинается спрос на разного рода украшения и рисунки для них и Татишвили окончательно отдается любимому делу.

В конце 80-х годов Татишвили делает уже опыт по цинкографии, первые образцы конх посетителя выставки могут видеть здесь. Без всякого руководителя-специалиста Татишвили одним лишь своим упорным трудом дошел до того успеха в гравировании по дереву и металлу, образцы конх выставлены здесь в оригинале или в оттисках.

Экспертная Комиссия 1-ой Кавказской Сельскохозяйственной Выставки 1889 года удостоила Татишвили награждением большой серебряной медалью.⁴

ბეკდვის შედეგად, რალაც ერთმანეთში არეული თეთრი და შავი ფერი გხედებათ თვალში, მაგრამ შემდეგ ეს პირველი შთაბეჭდილება



ჯამბაზი (ამოკვეთილი „კალმის დანით“ ხის უბრალო ნაპერხე).

ჭრება და თქვენ წინ, სურათის მარცხენა ნაწილში ჩნდება შუა საუკუნეების დროინდელი უზარმაზარი ევროპული ციხე-სიმაგრე,

ყველა თავისი სპეციფიკური ნიშნით. ციხე-სიმაგრე მაღლობზეა აღმართული. ალაყაფის კარებიდან დაღმართზე მიემართება ფართო გზა და პირდაპირ ზღვაში ეშვება. ნაპირთან დგას ორ ანძიანი, აფრებ აკეცილი ხომალდი, რომლიდანაც ციხე-სიმაგრის მიმართულებით საილუმინაციო შუშხუნებს ისვრიან. შუშხუნების მიერ გაეღილი გზა წყვეტილი ხაზებითაა აღნიშნული. აფიშის ზევითა-ნაწილში ერთ სიბრტყეში გამოხატულია სამი საჰაერო ბურთი



ტირის აფიშა (გრავეურა ხეზე).

რომლებიც სხვადასხვა სადღესასწაულო აღმითაა შორთული. ერთ-ერთ მათგანზე გადმოკიდებულია სავარჯიშო ლერძი, რომელზედაც აკრობატი ვარჯიშს ასრულებს. სურათის წინა ნაწილზე ყურადღებას იპყრობს პატარა ძაღლი, რომელიც თავისუფლად ადის, ერთი ბოლოთი მიწაში ჩარჭობილ პალოზე, ხოლო მეორეთი ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ კოშკზე გამობმულ, დაჭიმულ თოკზე. საჰაერო ბურთების ზევით მოდიდო ასოებით გამოყვანილია წარწერა: „PRESA D'ALGE-

RI^ა („აღიერის პრესა“) და რუსული ასოები „Г“ და „Г“^ა, რომლებიც ტატიშვილის სახელისა და გვარის დასაწყის ასოებს წარმოადგენენ. დასაშვებია, რომ აფიშას ეს წარწერა გრ. ტატიშვილმა იტალიელ მსახიობთა დაკვეთით გაუკეთა.

ტატიშვილმა კლიშე წინასწარ გაკეთებული ესკიზის მიხედვით დაამზადა. ეს, უბრალო ქალაქზე ფანქრით შესრულებული ესკიზი, ტატიშვილის დღეისათვის ცნობილ ნახატებიდან ყველაზე უფრო ადრეულია¹.

მიუხედავად ნახატის სისუსტისა, აფიშა მაინც მიგვითითებს ახალგაზრდა ტატიშვილის მიერ კომპოზიციის შედარებით სწორად აგების უნარზე, პერსპექტივის გრძობაზე და რაც მთავარია ნათელს ჰყოფს იმას, რომ ტატიშვილმა თავის მიერ ამორჩეულ ხელობას დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი, ჩააქსოვა მასში მთელი თავისი გრძობა და მონდომება. კომპოზიციურად კარგად არის გააზრებული ციხე-სიმაგრის ადგილი, ეფექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს ხომალდის მოძრაობით გამოწვეული პატარა ტალღების თამაში და თვით ამ ხომალდის ჩრდილი, რომელიც ტალღებს ეცემა.

ტატიშვილს, რომელმაც სურათოვან აფიშისათვის საქართველოში პირველმა დაამზადა კლიშე, აფიშების ამ სახით გაფორმების პრინციპი აღებული აქვს რუსეთსა და დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში გავრცელებულ აფიშებისაგან, რომელთა შესახებ მას, შესაძლოა, ცნობები მიაწოდეს თამამშვივის ქარვასლის შენობაში არსებულ თეატრში საგასტროლოდ ჩამოსულმა უცხოელმა თუ რუსმა მსახიობებმა.

დღეისათვის არსებული ეს სარეკლამო აფიშა იმდროინდელ ქართულ აფიშებიდან ერთადერთ შემორჩენილ სურათოვან აფიშას წარმოადგენს.

ასეთი სახის ნამუშევრებით იწყებს ტატიშვილი თავის მოღვაწეობას ქსილოგრაფიის დარგში. მთელ თავის თავისუფალ დროს იგი ხეზე სხვადასხვა გამოსახულებების კრას ანდომებს, რითაც თანდათანობით ეუფლება კვეთის ტექნიკას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულ ტატიშვილის არქივში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მოზრდილმა ქალაქის ფურცელმა, რომელზედაც მსხვილი და უხეში რუსული ასოებით დაბეჭდილია: „Г. П. Татишвили, I-й Типли-

¹ ტატიშვილის მიერ ფანქრით შესრულებული ესკიზი დაცულია საქ. სსრ სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

ский Гравер по дереву фирма с 1869 года. Для Экспертной комиссии". ეს წარწერა გამოქვეყნებულია და ამრიგად ჩვენთვის იგი უცხო არ ყოფილა, მაგრამ საკმე იმაშია, რომ ტატიშვილის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ავტორები რატომღაც არ ითვალისწინებენ მოხსენებულ განცხადებაში ჩართულ წინადადებას: „Для Экспертной комиссии“. ზოგიერთი შეკვლევა (იხ. 1. ვახ. „კომუნისტი“, 1946 წ., № 31, ბ. გორდეზიანი — „ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი“, 2. დუდუჩავა, მ. — ახალი ქართული ხელოვნება, გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1950 წ., გვ. 34, 35) ეყრდნობა რა ამ განცხადებას ასკვნის, რომ ტატიშვილი 1869 წელს ნამდვილად აარსებს თავის საკუთარ საფირმო სახელოსნოს. ეს დასკვნა სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ განცხადებიდან ამოვიღებდით შემდეგ სამ სიტყვას: „Для Экспертной комиссии“. მაგრამ ეს სიტყვები განცხადების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ამიტომაც ჩვენ უფლება არა გვაქვს არ მივაქციოთ მას სათანადო ყურადღება. გრ. ტატიშვილს არც 1869 წელს და არც მომდევნო წლებში არ გაუხსნია საკუთარი საფირმო სახელოსნო. ამას ადასტურებს, ერთის მხრივ, ის გარემოება, რომ 1869 წლისათვის ტატიშვილი ქსილოგრაფიის დარგში სრულებით გამოუცდელი იყო — მას რაღაც ერთი, ორი წლის წინ ჰქონდა დაწყებული ხეზე გამოსახულებების კვეთა და ისიც უბრალო „კალმის დანით“. მეორე მხრივ — იმდროისათვის ტატიშვილს ნამდვილი საკვეთი შტიხელები არც კი გააჩნდა. გარდა ამისა დღეისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება არაერთი ოფიციალური საბუთი ან ცნობა, რომელიც ტატიშვილის მიერ საფირმო სახელოსნოს გახსნას ადასტურებდეს. რა თქმა უნდა „თბილისის პირველი გრაფიკის“ ტიტული ტატიშვილისათვის ჯერ ნაადრევი იყო. იგი ნამდვილ ხელოვანად მხოლოდ შრომას და ისიც მხოლოდ მუყაით შრომას შეეძლო გაეხადა.

რაც შეეხება ზემოთმოყვანილ განცხადებას, იგი ტატიშვილის ფირმის ტიტულს კი არ წარმოადგენს, არამედ, როგორც ეს თვით განცხადებიდან ჩანს, საექსპერტო კომისიისათვისაა განკუთვნილი. ეს განცხადება ხაზს უსვამს მხოლოდ ტატიშვილის მხრივ ქსილოგრაფიული ხელოვნებისადმი დაინტერესების საკითხს. ტატიშვილმა საექსპერტო კომისიის წინაშე, შესაძლოა, მართლაც დააყენა საგრაფიკო ფირმის დაარსების საკითხი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფირმის გახსნის სურვილი, რაც, ბუნებრივია, განუხორციელებელი

დარჩა. აბა, ვინ მისცემდა საკუთარი ფირმის დაარსების უფლებას ქსილოგრაფიულ დარგში ჯერ კიდევ სრულებით გამოუცდელ პირს.

გადის დრო. ტატიშვილს უკვე აღარ აკმაყოფილებს თავისი ნამუშევრები. იგი გრძნობს რომ სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად საჭიროა სპეციალური საგრაეიორო იარაღები—შტიხელები. ამ იარაღების შოვნა იმ დროს მხოლოდ ევროპაში და რუსეთში თუ შეიძლებოდა. ამისათვის მან ახლად გაცნობილ, პეტერბურგში სასწავლებლად მიმავალ ახალგაზრდა დავით ერისთავს მიმართა თხოვნით ჩამოეტანა მისთვის ნამდვილი საკვეთი იარაღები. დავით ერისთავი, შემდეგში პიესა „სამშობლოს“ ავტორი, საზოგადოებრივი მოღვაწე, თავისი ქვეყნის მოტრფიალე და ნიჭისა და ხელოვნების დიდი პატივისმცემელი, დაპირდა ტატიშვილს საგრაეიორო იარაღების ჩამოტანას.





ატიშვილმა „შატჩიკთან“ მუშაობის პერიოდში შეთავსებით პიროტექნიკოსობა დაიწყო. ფეთქებადი ნივთიერებებისაგან საილუმინაციო შუშხუნების დამზადების ხელოვნება გრიგოლმა ჯერ კიდევ თეატრის დეკორატორებისაგან შეისწავლა. 1870 წლისათვის იგი უკვე

დახელოვნებული პიროტექნიკოსია და ხშირად დაკვეთებსაც იღებს. ახალი პროფესიის ათვისებასთან დაკავშირებით მას მეტსახელად „შუშხუნ გიგაც“ კი დაარქვეს.

ერთხელ, ერთ-ერთი ზეიმის გამო გრიგოლს კოჯრის პარკის შუშხუნებით განათება მოუხდა. მუშაობის პროცესში შუშხუნების მარაგი, რომელიც გრიგოლს ცალკე კალათში ეწყო, უცებ აფეთქდა. ავარდნილი ალი მოეკიდა იქვე ახლო მდგომ ჯარისკაცს, რომელიც მართალია გადაჩრა, მაგრამ ტანისამოსი კი ადგილ ადგილ შემოეწვა. შეწუხებული გრიგოლი დაზარალებულ ჯარისკაცს დასახმარებლად მივიარდა, თუმცა სახე აღისაგან ძლიერ ჰქონდა აღეწილი და ზოგ ადგილას დამწვარიც კი. შემთხვევის ადგილზე მოვიდა სამხედრო მუნდირში გამოწყობილი კომენდანტი, რომელიც ჯარისკაცს გამოექომაგა და გრიგოლს ჩხუბი აუტეხა. გრიგოლი არწმუნებდა, რომ იგი არაფერში იყო დამნაშავე, მაგრამ გაწინააღმდეგობით კომენდანტი მას არც კი უსმენდა და პოლიციის უბანში წასვლას მოითხოვდა. მას შემდეგ, რაც მან უწმაწური სიტყვები იხმარა, მოთმინებიდან გამოსულმა გრიგოლმა ხელი გააბრტყა კომენდანტს. იმ დროს სამხედრო პირისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება

ნიშნავდა „მუნდირის შეურაცხყოფას“, რისთვისაც სასამართლო სასტიკად სჯიდა დამნაშავეს. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, ტატიშვილმა თავი მოარიდა გაცეცხლებულ კომენდანტს. თბილისში დაბრუნებისას მეგობრებს რჩევა ჰკითხა. მათ პირდაპირ უთქვამთ:

— რაკი მაშინვე არ მოგკლა, ეხლა, მართალია ვერაფერს გიზამს, მაგრამ ჯობია თავი გაარიდო და თბილისიდან დროებით წახვიდე-ო.

გრიგოლი ასეც მოიქცა. დანება თავი „შკაფჩიკთან“ მუშაობას და გაემგზავრა ფოთში, სადაც ამ დროს გაცხარებული მუშაობა იყო გაჩაღებული ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობაზე.

რამდენიმე დღის სამუშაოს ძებნით დაქანცული გრიგოლი იძულებული გახდა ამ მშენებლობაზე შავ მუშად დამდგარიყო. მიუხედავად მძიმე ფიზიკური მუშაობისა, გრიგოლი აქაც პოულობდა დროს თავისი საყვარელი საქმისათვის—თავის ჯიბის დანით ხის ნაჭრებზე სხვადასხვა გამოსახულებებს კრიდა. მშენებლობაზე მის ამ საქმიანობას ყურადღება მიაქციეს და ცოტა ხნის შემდეგ, ამის თუ სხვა დამსახურების გამო, რონოდების სამღებრო სახელოსნოს უფროსადაც დანიშნეს, თუმცა აქ იგი დიდხანს უკვე აღარ დარჩენილა. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ ტატიშვილი კვლავ თბილისს დაუბრუნდა. აქ, მივიწყებული ჰქონდათ კოჯრის ინცინდენტის უბნებში სირბილი უკვე აღარ მოუხდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ტატიშვილმა, რომელსაც ვაჭრობის დარგში გარკვეული გამოცდილება ჰქონდა მიღებული, გადაწყვიტა თვით გაეხსნა საკუთარი „შკაფი“.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ შეისრულა კიდევ თავისი წადილი. გრიგოლი დაუამხანავდა ვინმე მანდენოვს და მასთან ერთად თამამშვივის ქარვასლაში გახსნა დუქანი, სადაც უმთავრესად ქსოვილებით დაიწყო ვაჭრობა. მართალია, ასე თუ ისე ახერხებდა სავაჭრო საქმეების მოგვარებას „ყოველთვის მოძრავი, დაბალი ტანის, მკვირცხლი გამომეტყველების და არშინის კობტად მხმარებელი“¹ გრიგოლი, მაგრამ ეს საქმე მას ძირითადად არ აინტერესებდა, რადგან ამ დარგში უნარი ნაკლებად მოსდევდა.


¹ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 370.

იმის შესახებ, რომ ტატიშვილი ბუნებით არ იყო ვაქრობის საქმისადმი მოწოდებული ლაპარაკობს შემდეგი ფაქტი: სამუშაოს სპეციფიკის გამო, საქონლის ახალი წყების შესაძენად გრიგოლს ხშირად უხდებოდა გამგზავრება ბათუმში, სადაც იმ დროს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ საქონელი. ერთხელ, როცა გრიგოლი ბათუმიდან თბილისს დაბრუნდა, ნახა, რომ დუქანის, რომელშიც ის და მანდენოვი ერთად ვაქრობდნენ, აბრაზე მხოლოდ ამ უქანასკნელის გვარი იყო აღნიშნული. მანდენოვს გრიგოლის თბილისში არყოფნის დროს ჩამოეხსნა აბრა, რომელზედაც ორივეს გვარი—ტატიევი და მანდენოვი იყო დაწერილი და უსირცხვილოდ მიეთვისებინა სავაქრო დუქანი. საქმე სერიოზულად წარიმართა. მოთმინებიდან გამოსულმა გრიგოლმა, ვინმე „გაბრიელის“ სახელით ცნობილ ვეჟილის რჩევით საქმე სასამართლოს გადასცა და ამავე ვეჟილის დახმარებით მოიგო კიდევ ისე, რომ სასამართლოში არც კი გამოცხადებულა, თუმცა მას იქ სხვადასხვა ფორმალური მხარეების შესრულება და აღმასრულებელი ფურცლის აღება ევალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ვეჟილი დაჟინებით მოითხოვდა გრიგოლის სასამართლოში მისვლას, რადგან ტატიშვილს იქ ფულის გარკვეული თანაღ ქონდა მისაღები, გრიგოლმა ფულის აღება თვით ამ ვეჟილს მიანდო. ამ კინკლაობაში სპაროცესო ვადაც გავიდა, რის შემდეგ ასაღები ფული დაიკარგა. ნათესაების ხშირ საყვედურებზე გრიგოლი ყოველთვის ერთ პასუხს იძლეოდა—„მართალი ვიყავი და სასამართლოში რატომ უნდა წავსულიყავი“. ცხადია ასეთ პასუხს ნამდვილი ვაჭარი არასოდეს არ გასცემდა.

გრიგოლი ვაქრობის დარგში მუშაობას ყოველთვის დროებით მოვლენად თვლიდა და თუ მას მისდევდა, მისდევდა მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ მას ამ საქმიანობისათვის არ გააჩნდა სათანადო მისწრაფება, რომ იგი ჯერ კიდევ მის ჩამოუყალიბებელ შემოქმედებით მოთხოვნილებას სულ სხვა სამოღვაწეო ასპარეზზე უნდა გაეყვანა და ამიტომ იმ პერიოდშივე შეეცადა დადგომოდა ისეთ გზას, სადაც ნამდვილად გამოავლენდა თავის ნიჭსა და უნარს. მართლაც ძირეული გარდატეხა გრიგოლის ცხოვრებაში დავით ერისთავისაგან 1871 წელს პეტერბურგიდან ნამდვილი საგრაიორო იარაღების ჩამოტანამ განაპირობა.

ტატიშვილმა საფაქრო საქმეს სავსებით დაანება თავი და ქსილოგრაფიის დარგში დიდი გატაცებით დაიწყო მუშაობა. მალე ისე დახელოვდა, რომ შეკვეთების აღებაც დაიწყო. ზოგი აბრაზე წარწერის ამოკვეთას სთხოვდა, ზოგიც ვინიეტის გაკეთებას, ზოგიც კიდევ რას... მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითი სამუშაო იყო. ნამდვილი შეპოქმედებითი მუშაობა ტატიშვილმა წიგნების მხატვრული გაფორმებით დაიწყო.






ამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს თვალი გადავავლოთ ტატიშვილის შემოქმედებითი აღმავლობის განვითარებას 1871 წლამდე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ტატიშვილის პირველივე გამოქვეყნებული ნაწარმოები გადაბმულ ქართულ ასოებს წარმოადგენს გვაფიქრებინებს,

რომ გრიგოლს კარგა ხნის მუშაობა მოუხდა ქართული ასოების გრაფიკული დამუშავების სფეროში. რა თქმა უნდა ტატიშვილის მხრივ ასოების გრაფიკულ მოყვანილობაზე სერიოზული ყურადღების გამახვილებას ხელი შეუწყო ქართველ ოქრომჭედელ გრაფიკორებთან უშუალო კავშირმა. ტატიშვილმა, რომელიც გრძნობდა, რომ მას მხატვრობაში არ ჰქონდა სათანადო მომზადება გადასწყვიტა ხელოვნებისადმი თავისი სწრაფვა, უმთავრესად, ქართული თავი ასოების შექმნითა და მათთვის კლიშეების დამზადებით გამოეხატა. მართლაც, ტატიშვილის ინდივიდუალობა სწორედ ასოების გრაფიკულ დამუშავებასა და შემდეგ წიგნის ზოგად მხატვრულ გაფორმებაში იჩენს თავს.

გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი წიგნის მხატვრული გაფორმების ნიმუში პირველად საყმაწვილო ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა. „კრებულის“ პირველი ნომერი 1871 წლის იანვარში დაიბეჭდა „გ. წერეთლისა და ამხანაგობის“ სტამბაში და სამი წლის განმავლობაში ყოველთვიურად გამოდიოდა.

ჟურნალი თავის ფურცლებზე ათავსებდა როგორც ქართული ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებებს, ისე სხვადასხვა ისტორიულ

ნარკვევს, საზოგადოებრივი მიმოხილვის საკითხებს და თარგმნილ მასალას. მისი დანიშნულება იყო „საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოხატვა. ხალხისათვის ცოდნის მიწოდება, მასში პატიოსანი ხასიათის აღზრდა, იმ განხეთქილების მოსპობა, რომელიც ბოლოს უღებს საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებს მის წარმატებებს“.



ქურნალი „კრებულის“ სათაური (გრავეურა ხეზე).

პირველ ხანებში ქურნალის რედაქცია უსახსრობისა და ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ახერხებდა „კრებულის“ თვითთული ნომრის თავის დროზე გამოცემას, რაც მკითხველთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გამოსწორდა, როცა მასში გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა: ი. ქავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. წერეთელმა, დ. ერისთავმა, რ. ერისთავმა, ს. მესხმა, ა. ყაზბეგმა და სხვებმა დაიწყეს თავიანთი ლიტერატურული ნაწარმოებების გამოქვეყნება.

გრ. ტატიშვილი ამ მნიშვნელოვანი ქურნალის მხოლოდ გარეკანს აფორმებს. აქ გადაბმული ქართული ასოებით გამოყვანილია თვით ქურნალის სახელწოდება—„კრებული“.

გრაფიკულად მაღალ დონეზე შესრულებულ ასოთა გარდა საქართველოში უძველეს დროიდან გვხვდება ერთმანეთში გადაბმული ასოებით შედგენილი სიტყვებიც, რომელთა მხატვრული დანუშაგება, ზოგ შემთხვევაში, ასოთა ულამაზეს გრაფიკულ მოხაზულობას ქმნის.

არქიტექტურული ძეგლები, ქართული ქედური ხელოვნების მრავალი ნიმუში და, განსაკუთრებით კი, ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები და ქვაზე ამოკვეთილი ძველი წარწერები, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია სამთავისის ტაძრის (1030 წ.) აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ თაღოვან არეში დიდი ოსტატობითა და სიზუსტით ქვაზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა, ოსტატს მდიდარ მასალას აძლევს ქართული მხატვრული დამწერლობის შექმნისათვის.

ქართული ქედური ხელოვნების ნიმუშებზე გადაბმული ასოები გვხვდება, მაგალითად, მე-11 საუკუნისა და მე-16 საუკუნის ნაქედ ხატებზე (საქ. სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმი. — ი. № 61 და № 588) და ა. შ.

ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებში გადაბმული ასოების მრავალი შესანიშნავი ნიმუში მოიპოვება. აღსანიშნავია, მაგალითად, ნიკოლოზ ორბელიანის ხელით კალიგრაფიულად, დიდი, მრგვლოვანი, ჩართული ასოებით დაწერილი ლექსი: „ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო...“ (H: 1035. ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. 1727 წ.) ანდა მე-19 საუკუნის ხელნაწერი „საგალობელი კრებული“ (A: 1430:6). წიგნის მინაწერში, „წიგნი ესე ეკუთვნის ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკას, აღწერილია 1855-ის წლისათა. არხიმანდრიტი ტარასი“, ბოლო სიტყვა „ტარასი“ ხელრთვის მეტად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. მონოგრამის სახითაა შედგენილი სიტყვა „ტარასი“ მე-19 საუკუნის ხელნაწერ „მანანა ღვთისმშობლისა და სხვათა შესხმის“ (A: 1441) მინაწერში.

გადაბმული ასოები, პირველ ქართულ სტამბაში ნაბეჭდ წიგნებშიც გვხვდება. აქ, თვითეული სახარების („სახარება“, 1709 წ. სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა) სათაური ძველ ქართულ ხელნაწერებში გადაბმულ ასოთა პრინციპებს ექვემდებარება და სხვ.

ცხადია გრ. ტატიშვილი იცნობდა ძველ ხელრთვებსა და მხატვრულად გადაბმულ ასოებს. ზემოაღნიშნული „კრებულის“ სათაური მან სწორედ ქართულ ხელნაწერებში არსებული გადაბმული ასოების შედგენის პრინციპებს დაუქვემდებარა, თუმცა იგი საკვ-

ბით თავისებურად და, შეიძლება ითქვას, აბლებურადაც გადაამუშავა. ეს სიახლე ასოთა კომპოზიციურ განლაგებაში გამოიხატა.

მონოგრამა „კრებული“ ოთხი სახის მხატვრული ასოსაგან შედგება. მართალია ასოების ერთმანეთში გადაბმა შეტად რთულ კვანძებს ქმნის, მაგრამ მიუხედავად ამ სირთულისა, მონოგრამა კომპოზიციურად სწორედ არის გადმოცემული, პროპორციებიც სათანადოდ დაცულია და გარკვევითაც იკითხება.

მონოგრამა ორი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა უცვლელად. „კრებულის“ გამოცემის შესამე, უკანასკნელ წელს, ტატიშვილმა ეს სათაური გადაამუშავა, ასოები დახვეწა, შეავსო დამხმარე სტილიზებული ხვეულებით, კუდებით და მონოგრამა უფრო ფაქიზი გახადა.

აღნიშნული ნამუშევარი ტატიშვილის პირველი სერიოზული წარმატება იყო, რამაც მას სახელი მოუხვეჭა, როგორც მომწიფებულსა და ჩამოყალიბებულ გრაფიკოს-კალიგრაფს.

შემდგომ ნამუშევრებიდან დღემდე შემორჩენილია ტატიშვილის მიერ შესრულებული გადაბმული ასოების ერთი ნიმუშიც, რომელიც მან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიუძღვნა. მონოგრამაზე გამოსახული ასოები: „წ. კ. ს.“ ხსნიან საზოგადოების დასახელების შემდეგ სიტყვებს: „წერა კითხვის საზოგადოება“. მონოგრამა დაბეჭდილია ლითოგრაფიული წესით.





აცობრიობის კულტურისა და აზროვნების განვითარებაში წიგნი უდიდეს როლს ასრულებს. იგი ის უძვირფასესი ანდამატია, რომელიც დაუსრულებლად იზიდავს მასებს, იპყრობს მის გონებას, აწვდის ცოდნას; წიგნი აკეთილშობილებს ადამიანს, უდიდეს გავლენას ახდენს მის სულიერ სამყაროზე. იგი ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების განმსაზღვრელია.

ადამიანები უძველესი დროიდან გრძნობდნენ წიგნის უდიდეს მნიშვნელობას და ხელნაწერებით ავრცელებდნენ მას.

ერთ-ერთი ძირითადი პირობა, რომელმაც მეტად შეუწყო ხელი წიგნების სწრაფად გავრცელებას, საბეჭდი დაზვის გამოგონება იყო. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა აცობრიობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში, მტკიცე საყრდენი შეუქმნა მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ხალხთა კულტურულ აღმავლობას და რევოლუციების იდეოლოგიური მომზადების ძირითადი საფუძველი გახდა.

წიგნის მხატვრულ გაფორმებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენი ხელნაწერი წიგნები მხატვრულად ფორმდებოდა შესანიშნავი სამკაულებით, აშიებით, თავი ასოებით, ბოლოსამკაულებით და ხელრთვით. ქართული მინიატურა მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

წიგნის დასურათება და მხატვრული გაფორმება ხელოვნების ერთ-ერთი სერიოზული უბანია. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

შინაარსის ვაგებისა და ათვისების საქმეში. მხატვარი, რომელიც წიგნს აფორმებს, უკეთებს მას ილუსტრაციებს, საშუალებას აძლევს მკითხველს თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს მხატვრული სახეები და ის იღვას, რაც წიგნის შინაარსშია გამოხატული.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ იდგა თავის დონეზე წიგნების ბეჭდვის საქმე. წიგნები გამოდიოდა კანტი-კუნტად. თითქმის არც ერთი მათგანი არ ფორმდებოდა მხატვრულად. გამომცემლები, საერთოდ, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ წიგნის ამ მხარეს. მათთვის ისიც საკმარისი იყო, რომ მხოლოდ წიგნის ტექსტი დაბეჭდილიყო წესიერად. ასეთ გარემოებას რა თქმა უნდა ქართველი საზოგადოება ადვილად ვერ ეგუებოდა.

ამ ხარვეზის აღმოფხვრას ხელი შეუწყო გრიგოლ ტატიშვილმა, რომელიც ის ის იყო გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წიგნების მხატვრულ ვაფორმებას, მათ ლაზათიანად გამოცემას ჩვენ სწორედ გრიგოლ ტატიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ.

ტატიშვილის მიერ შესრულებული და მის მიერვე დამზადებული კლიშეებით დაბეჭდილ ილუსტრაციებს ჩვენ პირველად 1875 წელს გამოცემულ „ყარამანიანის“ საშუალებით ვეცნობით.

„ყარამანიანი“ სადევგმირო თხზულებაა. იგი აბუ-ტაჰირ-მუჰამედ — ბენტარსუსმა დასწერა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გავლენითა და მიბაძვით. ქართულად ეს ნაწარმოები პირველად ერეკლე მეფის სიძეს, სახლთუხუცესს და სარდალს დავით ორბელიანს პირდაპირ სპარსული ხელნაწერიდან უთარგმნია დაახლოებით 1762—1774 წლებში¹. თხზულება მალე მეტად პოპულარული გახდა ქართველ საზოგადოებაში თავისი სათავგადასავლო შინაარსის, მდაბიო, მარტივი და „საამოდ სასმენელი“ ენის წყალობით.

წიგნში მოთხრობილია მეფე თეიმურაზის შვილის, ერანელთა მეფის ჰუშანგის სწორუპოვარი ფალავნის — ყარამანის გმირული თავგადასავალი.

„ყარამანიანის“ გამოცემა 1875 წლის 23 აპრილს დაიწყო თბილისში, მელიქოვის სტამბაში და ვაგრძელდა 1883 წლამდე. სულ 16 დასურათებული კარი იქნა გამოცემული. თხზულების თექვსმეტ კარად დანაწილება გამოწვეული იყო იმით, რომ „ყარამა-

¹ კაკალიძე, კ. — „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, თბილისი, 1952 წ., ტომი 2, გვ. 224.

ნიანის¹ ერთიანად დაბეჭდვას დიდი შრომა და ხარჯი უნდებოდა, ხოლო მისი ნაწილ-ნაწილად ბეჭდვა კი მყიდველს გაუადვილებდა მთელი წიგნის, ე. ი. 16 კარის შექენას¹.

გამომცემლებმა დავით ლაზარევმა და ნიკოლოზ კობალაძემ, გაითვალისწინეს რა წიგნზე საზოგადოების მზარდი მოთხოვნილება, გადაწყვიტეს „ყარამანიანი“ რაც შეიძლება კარგად გაფორმებული გამოცათ—დაერთოთ მისთვის ილუსტრაციები. ამისათვის კი საჭირო იყო კლიშეების დამზადება, ხოლო ხეზე სურათების ამომკრელი—ქსილოგრაფი საქართველოში არავენ მოიპოვებოდა გარდა გრიგოლ ტატიშვილისა.

ნიკოლოზ კობალაძემ, რომელსაც გაგონილი ჰქონდა, რომ ტატიშვილი დავით ერისთავისაგან ჩამოტანილი იარაღებით ჰკვეთდა ხეზე სხვადასხვა გამოსახულებას, მიმართა მას, ნახა მისი ნამუშევრები, მოეწონა და ბოლოს თავისი მოსვლის მიზეზი გაუმგლავნა. პირველად გრიგოლს შეეშინდა ხელი მოეკიდა ამ საპასუხისმგებლო საქმისათვის, რადგან თავის თავს ვერ გრძნობდა საკმაოდ მომზადებულად და კლიშეების დამზადებაზე უარი სთქვა, მაგრამ ბოლოს, თვით კობალიძის მიერ წახალისებული, დათანხმდა, გაეცნო რედაქციაში არსებული ხელნაწერი „ყარამანიანის“ ილუსტრაციებს² და შინაარსს, დაიწყო მუშაობა და ორი წლის (1875—1876 წ. წ.) მანძილზე თავის მიერვე ფანქრით შესრულებულ ესკიზების მიხედვით ოცდაათი კლიშე დაამზადა.

„ყარამანიანის“ ილუსტრაციებზე მუშაობის პროცესში ტატიშვილზე გარკვეული გავლენა იქონია ხელნაწერ „ყარამანიანში“ არსებულმა ილუსტრაციებმა. ტატიშვილმა დაკვირვებით შეისწავლა ისინი. შეადარა სხვა ხელნაწერებს და გამოიყენა მათი საერთო ხასიათი. გრიგოლმა თავის ილუსტრაციებში შეძლებისდაგვარად დაიცვა ხელნაწერ „ყარამანიანში“ არსებული სურათების სტილი. და კომპოზიციური განლაგება, ფიგურების თავისებური დაყენება და ზოგ შემთხვევაში მოქმედი პირების ჩაცმულობაც კი. ტატიშვილი ხელნაწერ შინაარსს აქცევდა ყურადღებას. მაგალითად, ისევე, როგორც ხელნაწერში, თავის სურათებშიც ტატიშვილი წარწერებს უკეთებს. სურათებზე გამოხატულ პირებს და სხვა.

¹ „ყარამანიანი“, 1912 წ., თბილისი, გვ. 3.

² მხედველობაში გვაქვს 1846 წ. გადაწერილი „ყარამანიანი“, რომელიც დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში II ფონდში 1278 ნომრის ქვეშ.

ტატიშვილს ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მის ილუსტრაციებში აღმნიშვნებისა და ცხოველების ფიგურები ჯერ კიდევ მოუხეშავია, ხშირად არ არის დაკული პროპორციები, ხაზები უხეში კვეთის გამო. პირობითია, არ იგრძნობა ფიგურების რელიეფობა.

„ყარამანიანზე“ მუშაობისას ტატიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წიგნის შინაარსის ზუსტი და შესატყვისი სურათების შექმნას, თუმცა ჯერჯერობით მან ვერ დაძლია ძველი ქართული მინიატურის გავლენა; მის მიერ შესრულებული ილუსტრაციები გვიანი ხანის „ყარამანიანის“ ხელნაწერების ილუსტრაციების უშუალო გავლენის ნიშნებს ატარებენ.

მართალია, „ყარამანიანის“ ილუსტრაციებში ჯერ კიდევ არა ჩანს ტატიშვილის ოსტატური ხელი, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართულმა საზოგადოებამ კმაყოფილებითა და წრფელი გულით მიიღო დასურათებული გამოცემა. ამ მეტად სასარგებლო და კარგი საქმიანთვის ტატიშვილი ღირსეულად დაათასეს.

„ყარამანიანის“ ილუსტრაციები ჩვენ ორ კატეგორიაში შეგვიძლია გავეერთიანოთ: ერთია—ერთფიგურიანი ან ჯგუფური პორტრეტი, მეორე—ამა თუ იმ მოქმედების ამსახველი სურათები. სიმრავლის გამო ჩვენ „ყარამანიანის“ ილუსტრაციებს სათითაოდ არ აღვწერთ. დავკმაყოფილდებით ორიოდ დამახასიათებელი ნიმუშით, რომელიც ნათელჰყოფს, როგორც ილუსტრაციების ორივე კატეგორიას, მათ საერთო ხასიათსა და მხატვრულ ღირსებას, ისე ამ პერიოდში ტატიშვილის მიერ ქსილოგრაფიული ტექნიკის ათვისების დონეს.

ერთპიროვნულ პორტრეტებიდან აღსანიშნავია სატიტულე გვერდის წინ ჩაკრული წიგნის პირველივე ილუსტრაცია, რომელზედაც თვით ყარამანია გამოხატული. არაბუნებრივად დაყენებული ფიგურა ერთ ადგილზეა გაყინული და გაშეშებული. ჯაკვის პერანგით შემოსილი ტანი, რომელიც „elл fаce“-შია მოცემული, არა პროპორციული და ტლანქია. ტანთან შედარებით ფეხები მეტად მსხვილად არის გამოსახული. ტერფები უპერსპექტივოდ, ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული. ყარამანს მარჯვენა ხელში ლახტი უჭირავს, ხოლო იქ სადაც მარცხენა ხელი უნდა იყოს ელიფსის ფორმის, უხეშად გაფორმებული ფარია მოცემული. სხეულის მარცხენა მხარეს გამოსახული ქართული ხმალი თითქოს ჰაერშია გაჩერებული, არ იგრძნობა ხმლის სიმძიმე.

წიგნში არსებული სხვა გმირების ცალკეული პორტრეტები

(„გარდანქეშან აიარი“, „ყოვლიბიანი“ და სხვა) ისეთივე მხატვრული ღირებულებისა არიან, როგორც ზევით აღნიშნული პორტრეტი. ჯგუფურ პორტრეტებში გამოსახული პირები არ არიან ურთიერთ კომპოზიციურ კავშირში და განყენებულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფიგურებს წარმოადგენენ. პორტრეტზე ფიგურების გახლაგება სქემატურია. ასეთ პორტრეტებს წარმოადგენენ, მაგალითად, ის სურათები, რომლებზედაც გამოსახულია „უიანგ შახი, ყარამანი, გარდაიქეშანი, ბარამი, ჯაბილი, ყათრანი და ფერიები“ ან „გულიჯანი, უხნიანი, გულჩინი, ქუჩუკი, ხოსროვშირი, ყოვლიბიანი, არამჯიზოლი, სალბიურამანი, რუიზაი“ და სხვა.

ილუსტრაციების მეორე კატეგორიაში გამოსახული პირები უკვე აღარ არიან ერთ ადგილზე გახვევებულ მდგომარეობაში, მაგრამ მათი მოძრაობა მაინც არაბუიებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგალითად, იმ სურათზე, სადაც ყარამანისა და სპარდიერბარის ბრძოლაა მოცემული, კომპოზიცია არაბუნებრივადაა აგებული, ხოლო ნახატი სუსტია და პრიმიტიული, ძლიერი ფალაფანი სპარდიერბარი რატომღაც მორჩილად უბრას თავს ყარამანის ხმალს; ყარამანი კი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ჰკვეთს თავს მოწინააღმდეგეს.

წიგნში არის ისეთი სურათებიც, სადაც, შედარებით მეტი ემოციურობა და ექსპრესიულობა იგრძნობა. აქ კომპოზიციებიც უფრო მოფიქრებულადაა აგებული, ფიგურების მოძრაობაც შედარებით ბუნებრივი ხასიათისაა. ასეთია მაგალითად: „გულჩინისაგან ასიმის სიკვდილი“, „ოთხთა ოცი ქაჯებთან“, „ხოსროვშირი, რომელსაც გარს მანსრეები (ფანტასტიური ურჩხულები, რომლებსაც თევზის თავები აქვთ გამოზმული. მ. უ.) ეხვევიან“ და სხვა.

ილუსტრაციებს გარდა წიგნში მხატვრული გაფორმების რაიმე სხვა ელემენტი არ გვხვდება, მხოლოდ ერთგან, 1878 წელს გამოცემული მეექვსე კარის სატიტულე გვერდზე, მოთავსებულია პატარა ზომის სამკაული-სურათი, რომელზედაც ცხენზე მჯდომი ყარამანი აღახტით ხელში გამოიატული.


ანაბეჭდების შესწავლის შედეგად ნათელი ხდება, რომ „ყარამანიანი“ არსებული სურათები ბრტყელწვერიანი შტიხელით არის დამუშავებული. ტექნიკურად ხაზები მეტად სუფთად და გულმოდგინედაა ამოკვეთილი, რაც ტატიშვილის პუბლიკატურლობაზე მიგვიბრუნებს¹.

¹ „ყარამანიანი“ რამდენიმე ფანქრით შესრულებული ესკიზი დატულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

ტატიშვილი ცდილობს ფიგურებს მეტი რელიეფობა მისცეს, მაგრამ მიუხედავად ამ ცდისა, ისინი ყველგან მაინც ერთს სიბრტყეში არიან მოცემულნი. ზოგჯერ ჩრდილების ადგილზე ხაზების არასწორი მიმართულების შედეგად, მთლიანად ირღვევა რელიეფობა, რაც მნახველზე, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

მიუხედავად მრავალი ნაკლისა, „ყარამანიანის“ ილუსტრაციებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან საქართველოში ამ წიგნით იწყება, საერთოდ, ქართული ნაბეჭდი ლიტერატურულ ნაწარმოებთა ილუსტრირების საქმე, ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი წიგნების შემდეგ.

„ყარამანიანის“ გამოცემით ქართველმა საზოგადოებამ დაინახა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გრ. ტატიშვილს ქართული წიგნების წესიერად გამოცემის საქმეში. ამ გარემოებამ კი ისე წაახალისა გრიგოლ ტატიშვილი, რომ მან მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავისი უნარი მთლიანად ხელოვნების ამ დარგისათვის მიეძღვნა. ამ გადაწყვეტილებისათვის მას არასოდეს არ უღალატია.





ასული საუკუნის 60-იან წლებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა და რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ ეკონომიურ-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად დღის წესრიგში ქვეყნის კულტურული დონის ამაღლების საკითხიც დააყენა—კერძოდ, სახალხო განათლების, ბეჭდვითი საქმის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ხალხის ინტერესებთან მისი დაკავშირების საკითხი. ახალი თაობის ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები გონებრივ საზრდოს იღებდნენ იმ დემოკრატიულ-სოციალურ შეხედულებებიდან, რომლებიც რუს რევოლუციურ-დემოკრატიულ მებრძოლი ორგანოს „სოცრემენიკის“ ფურცლებიდან გამოსჰქვიოდა.

„რუსი ხალხის სულიერმა კულტურამ, ფილოსოფიურმა აზროვნებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდი და დაუფასებელი როლი ითამაშა ქართველი ხალხის კულტურის განვითარებაში. დიდმა რუსმა მოაზროვნეებმა, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილმა იდეოლოგებმა—გერცენმა, ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლუბოვმა ღრმა გავლენა მოახდინეს მოწინავე ქართველ მოაზროვნეებსა და მწერლებზე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“¹.

ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა ჩვენი სახელოვანი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობა. გოგებაშვილი ეკუთვნოდა ქართ-

¹ ასათიანი, ლ.—ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძვე ხალხებთან, თბილისი, 1955 წ., გვ. 5.

ველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა იმ სასახელო პლეადას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ეროვნული კულტურის დანერგვაში. გოგებაშვილმა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, კრიტიკოსი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ხელი მოჰკიდა რთულ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს: მან, სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, დაიწყო ქართველი ხალხისათვის სწავლა-განათლების მიწოდება. გოგებაშვილის მთავარ მიზანს ახალგაზრდობისათვის ლიტერატურული ქართული ენის სწავლება წარმოადგენდა.

სწავლება მშობლიური დედა-ენისა, რომელიც თვით იაკობის სიტყვებით რომ ვთქვათ — იმ დროს „ჰგავდა მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჯანგს აჰმევიანებს. ამიტომ, ობიექტურად, თავისთავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ლატაკი და დღე ნაკლულს არსებას მოგვაგონებს“¹.

იაკობ გოგებაშვილი იზრდებოდა რუსეთის რეაქციული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. იგი ღირსეული თანამებრძოლი იყო ილია ჭავჭავაძისა — „მისებრ პრინციპული, პირდაპირი, მტკიცე, მართალი, დინჯი და წინდახედული“².

ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწესთან ერთად გოგებაშვილმა დაიწყო სახალხო განათლებისა და მშობლიური დედა-ენის იმ კუნჭულიდან გამოყვანა, სადაც იგი „უგუნურმა პატრონმა“ შეფის რეაქციამ — „მიადო და ჯანგს აჰმევიანებდა“.

თავისი სახელმძღვანელოებით იაკობ გოგებაშვილს ქართველთა შორის სწავლა განათლების გავრცელების საპასუხისმგებლო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ახალგაზრდობა გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე იზრდებოდა; მრავალმა თაობამ ისწავლა ამ წიგნების დახმარებით მშობლიური ენა, დააგროვა ცოდნა და განავითარა თავისი აზროვნება; გოგებაშვილის წიგნებმა

¹ გოგებაშვილი, ი. რჩული ნაწილები, ტომი 2, გვ. 361.

² თავისუფალი, გ. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952 წ., გვ. 15.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნული კულტურის დასაცავად და ქართული ენის გადასარჩენად ბევრი რამ გააკეთა. მარტო „ღედა-ენა“ და „ბუნების კარი“ კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში¹.

გოგებაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული საბავშვო ლიტერატურის მზარდი განვითარებაც.

ყოველივე ამის გამო, ნათელი ხდება თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა ილუსტრირებას. ისევე, როგორც წიგნის ტექსტს, მის სურათებსაც უნდა შეეწყო ხელი ბავშვებში მორალური დონის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. თვალსაჩინოება შესანიშნავი საშუალება იყო იმისათვის, რათა ბავშვს შეჰყვარებოდა ბუნება, ჩასწვდომოდა მის საილუმოებებს, განვითარებოდა ფანტაზია.

გოგებაშვილის ამ წიგნებმა თუ მოზარდი თაობისა და, საერთოდ, მთელი ქართველი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი გრიგოლ ტატიშვილსაც მიუძღვის.

გოგებაშვილმა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა და გადაჭრით მოითხოვდა წესიერ, შინაარსის ზუსტად ამსახველ და მხატვრული ლირებულებითაც მაღალ დონეზე მდგარ ილუსტრაციებს, თავისი გამოცემების ილუსტრირების საქმე ძირითადად გრ. ტატიშვილს მიანდო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ტატიშვილი შეძლებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო დავალების ლირსეულად შესრულებას.

გრიგოლ ტატიშვილის შესახებ, პირად საუბარში, მეტად საინტერესო, ცოცხალი მასალა მოგვაწოდა მხცოვანმა მწერალმა და ქართული კულტურის თავდადებულმა მოამბემ, აწ განსვენებულმა, თედო სახოკიამ. იგი ტატიშვილს იცნობდა 1891 წლიდან და შემდეგში მისი ერთერთი მეგობართაგანიც გამხდარა.

მოიგონა რა ტატიშვილის ცხოვრებიდან რამდენიმე ეპიზოდი, თედო სახოკია ჩვენთვის მეტად საყურადღებო ფაქტზე შეჩერდა. კერძოდ, ტატიშვილისა და გოგებაშვილის ურთიერთობის საკითხზეაი, რა გვიამბო მან:

„გარდა იმისა, რომ გიგა და იაკობი მეტად კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან, მას შემდეგ რაც მათ ერთად დაიწყეს მუშაობა, მათი შემოკმედებითი მეგობრობაც სამაგალითო

¹ თავიშვილი, გ.—იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952 წ., გვ. 15.

ვახდა. ისინი სულ ერთად იყვნენ და ერთადვე გოგებაშვილის წიგნების მოხატვაზე საუბრობდნენ. მათ ნავსაყუდელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, წიგნის მაღაზია და კანცელარია წარმოადგენდა. მე, აკაკი, ყაზბეგი, ვაჟა, შიო მღვიმელი, ზეორე შიო (შიო არაგვისპირელი. მ. უ.) და ბევრი სხვა ხშირი სტუმარი ვიყავით ამ ადგილისა. გიგას თავისი ნახატები სწორედ აქ მოჰქონდა. იაკობი დიდხანს და გულისყურით აკვირდებოდა მათ და თუ მოიწონებდა სულ გიგას ქებაში იყო, რადგან იცოდა, რომ ტკბილი სიტყვა მეტად ახალისებდა მის მეგობარს. შენიშვნებზე გიგას კამათი უყვარდა, მაგრამ ბოლოს მაინც იაკობის თვალსაზრისზე დგებოდა და შეცდომებს ამ მითითებების მიხედვით ასწორებდა“-ო.

მართალია, ტატიშვილთან ერთად გოგებაშვილის წიგნების დასურათებაზე სხვა მხატვრებიც მუშაობდნენ (ალექსანდრე ბერიძე, ალექსანდრე მრგვლიშვილი, ოსკარ შმერლინგი და მრავალი სხვა), მაგრამ ამ წიგნების ხორცშემასმელად ჩვენ მაინც გრიგოლ ტატიშვილი უნდა ჩავთვალოთ, რადგან ყველა სურათისათვის ეს ამზადებდა სათანადო კლიშეებს.

გოგებაშვილის პირველი ილუსტრირებული სახელმძღვანელო, რომელიც უდაოდ ტატიშვილის დაულალავი შრომის შედეგად გამოქვეყნდა— „ღედა ენა“ იყო.


არცერთ წიგნს არ ღირსებია ისეთი გავრცელება რევოლუციის წინაღობის დროს საქართველოში, როგორც „ღედა ენას“. იგი პირველად 1876 წელს გამოვიდა და ამ დროიდან გოგებაშვილის სიკვდილამდე¹ გამოიცა 27-ჯერ 467.000 ცალის რაოდენობით. „ღედა ენა“ 1912 წლის შემდეგაც გამოდიოდა²; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში „ღედა ენა“ ერთადერთი სრულფასოვანი სახელმძღვანელო იყო ნშობლიური ენის სწავლების საქმეში.

ტატიშვილი „ღედა ენისათვის“ კლიშეების დამზადების საკითხს მეტად ფაქიზად მოეკიდა; უპირველესად ყოვლისა ეს ჩანს თვით

¹ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს.

² „ღედა ენის“ გამოცემებში, რომლებიც 1911 წლის (ტატიშვილი ამ წელს გარდაიცვალა) შემდეგ გამოდიოდა, ილუსტრაციები კვლავ ტატიშვილის მიერ დამზადებული კლიშეების საშუალებით იბეჭდებოდა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ კლიშეებზე არსებული გამოსახულებანი უკვე ლითოგრაფიულ ქვაზე გადაქტონდათ. ასეთი სახის გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1920 წელს გამოქვეყნებული „ღედა ენის“ 36-ე გამოცემა და სხვა.

დასწერეთ, რა და რა არის აქ დახატული?



„დედა ენის“ ერთი გვერდი. დახატული და ზეზე ამოკვეთილი
გრ. ტატიშვილის მიერ.

ანაბეჭდებიდან, რომლებზეც ნათლადა გამოყვანილი ყოველი ხაზი, ყოველი შტრიხი. ტატიშვილი უკვე თავისუფლად ჰკვეთს თავისი შტიხელით გამოსახულებებს, ეუფლება კომბინირებულ კვეთას, რაც, თავის მხრივ, ქსილოგრაფიის დარგში მის წარმატებებზე და წინსვლაზე მიგვითითებს. გარდა ამისა—ყოველთვის, როდესაც საკუთარი ეკიზის მიხედვით ანუშავებდა კლიშეებისათვის განკუთვნილ ხის ნაჭრებს, იგი ითვალისწინებდა იმ მითითებებს, რომლებსაც გოგებაშვილი და მასთან მომუშავე მხატვრები რჩევა-დარიგების სახით აძლევდნენ ხოლმე¹.

„ღედა ენა“ ანუ „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“ (1878 წ.) უმათავრესად ილუსტრირებულია პატარა ზომის სურათებით, რომლებიც განკუთვნილია როგორც ტექსტის ცალკეულ სიტყვების, ისე იქ არსებული მოთხრობებისა და ლექსებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გოგებაშვილი წიგნისათვის სრულფასოვან და მაღალმხატვრულ სურათებს მოითხოვდა, წიგნის სურათებით გადაჭარბებული აესებისა და აჭრელების სასტიკი წინააღმდეგი იყო, რადგან მისი აზრით ეს ბავშვის ყურადღების გაფანტვას იწვევდა. „შინაარსის აზრიანად ათვისებას მხოლოდ ზომიერად გამოყენებული სურათობრივი თვალსაჩინოება უწყობს ხელსო“—ამბობდა იაკობ გოგებაშვილი.

ტატიშვილი გოგებაშვილის გამოცემებზე მუშაობის დროს არ ყოფილა მხოლოდ დაკვეთების მექანიკური შემსრულებელი. იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა წიგნებში სურათების განლაგების საკითხში, რითაც ნაწილობრივ უადვილებდა სამუშაოს დიდ პედაგოგს.

წიგნში ცალკეულ სიტყვებს (ია, ხე, თითი, იხვი, ნავი, ქათამი, მტევანი, არწივი და სხვა) დართული აქვს შესატყვისი სურათი, რომელიც პატარა ბავშვს უადვილებს სიტყვების დამახსოვრებას და ნათელ წარმოდგენას აძლევს თვით სავახზე. გარდა ამისა, წიგნში არის მოჭმელების ამსახველი სურათებიც. ასეთებია, მაგალითად: ვაფი ლოკულობს, ჩიტე ტოტზე ჰკიდია; ზოგ სურათზე რამდენიმე სავანია მოცემული. ასეთებია: მაგიდა და სკამი, ჩიტე და მელია და ა. შ.

¹ დღეისათვის შემორჩენილია ტატიშვილისადმი მიწერილი ბარათი, სადაც გოგებაშვილი გრიგოლს რამდენიმე სურათის ზეზე ამოკრას სთხოვს, მიუთითებს რა იქვე ამ სურათების ზომასაც.

ბუნების კარი

ანუ


ერმათათვის საკითხავი წიგნი

უმცროსს კლასებში სახმარებელი

შედგენილი

იაკობ ბოგუბაშვილის-შიერ.

ფასი ყდით ოთხი აბანი.



შეკამეტე გამოცემა (65,000)
პრავალი ახალი სურათით და ქაღალთ.

თფილისი, 1904.

მსწრაფლ-მბეჭდათ ბ. ძუთათელაძისა, ხ.კ. 21.

„დედა ენის“ შემდეგ გამოცემებში ტატიშვილი უკვე მოთხრობების, ლექსებისა და ზღაპრების ილუსტრაციებზე მუშაობს. აქვე, წიგნის უკანასკნელ „სასულიერო-ზნეობრივ“ განყოფილებაში იგი იძლევა სხვადასხვა კომპოზიციას რელიგიურ თემაზე და სხვა.

„დედა ენაში“ დაბეჭდილი სოსო ჯულაშვილის, დღეისათვის მეტად პოპულარული, ლექსისათვის „დილა“ ტატიშვილი ამზადებს სამ კლიშეს—ზამბახის, ტაოროლასა და ბულბულის გამოსახულებით. ამ სურათების შექმნით ტატიშვილი ახალგაზრდა სტალინის ლექსის პირველ ილუსტრატორად ჯვევლინება.

გრიგოლ ტატიშვილის მიერ დამუშავებული კლიშეებით სარგებლობდა იმ დროს თითქმის ყველა გამომცემლობა. ამის ნათელ მაგალითს თვით ის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები წარმოადგენენ, რომლებშიც მრავლადაა დაბეჭდილი ტატიშვილისა თუ სხვა მხატვრების მიერ შესრულებული ნახატები. მართალია, ამათგან უმრავლესი სხვა მხატვრებს ეკუთვნის, მაგრამ მათ თანავეტორად ჩვენ ჰაინც ტატიშვილი მიგვაჩნია. საქმე იმაშია, რომ სხვა მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი, კლიშეზე გადატანის შემდეგ, იცვლიდა ან ნახატრისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას და ექვემდებარებოდა გრაფიკოსის გემოვნებას. ტატიშვილი თავისებურ იერს აძლევდა ნახატებს. მართალია, ნახატში იგი არ უკარგავდა მხატვარს მისთვის დამახასიათებელ სახეს, მაგრამ თავის მხრივაც ბევრს უმატებდა. ტატიშვილი ჰგავს ისეთ მაღალკვალიფიციურებულ მთარგმნელს, რომელიც თარგმნის დროს ითვალისწინებს ხოლმე იმ ენის სპეციფიკას, რომელზედაც გადააქვს სათარგმნი მასალა. სწორედ ამიტომეა, რომ ჩვენ ტატიშვილზე ვამბობთ, რომ იგი თავისებური ავტორია ყველა იმ სურათისა, რომელიც მას ოდესმე ხის დაფაზე გადაუტანია.

გოგებაშვილის მეორე წიგნი, რომელიც გრ. ტატიშვილის სახელთანაა დაკავშირებული „ბუნების კარია“.

„ბუნების კარი“ პირველად 1868 წელს დაიბეჭდა ილუსტრაციების გარეშე. შემდეგ იგი სისტემატურად გამოდის შევსებული და გადამუშავებული სახით, როგორც ტატიშვილის დროს ისე მისი გარდაცვალების შემდეგაც. წიგნის ასეთი ხანგრძლივი არსებობა გამოწვეული იყო იმით. რომ იგი როგორც „სკოლებისა და ოჯახებისათვის სახელმძღვანელო წიგნი, დამყარებული იყო პედაგოგიურს ჰუმანიტ პრინციპებზე და სავსებით შეესაბამებოდა ცხოვრე-

ბას, სკოლას და მეტადრე იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა იმ დროს ქართული ენა¹.

„ბუნების კარი“ შედგენილია ღრმა გააზრებისა და ყოველი წერილმანის გათვალისწინების საფუძველზე. გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ მოზარდი თაობის შთაბეჭდილებანი მრავალფეროვანია, რომ მათ შესაბამისად წიგნის ილუსტრირება ითხოვდა სხვადასხვაგვარ მიდგომას. ამიტომ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წიგნში მოცემულია „მრავალ-მხროვანი და მრავალფეროვანი სახე პირველ დაწყებითის ენციკლოპედიისა, სადაც ბევრია მოთხრობანი და წერილები ბოტანიკიდან, ზოოლოგიიდან, ანატომიიდან, ფსიქოლოგიიდან, ფიზიკიდან, გეოგრაფიიდან, ისტორიიდან და სხვა. ამასთან ერთი და იგივე საგანი ჯერ პროზით არის განმარტებული და მერმე იქვე ლექსით დასურათებული“².

წიგნის გამოცემით გოგებაშვილი მიზნად ისახავდა აღეზარდა ისეთი ღირსეული ადამიანები, რომლებსთვისაც უცხო იქნებოდა ეგოისტური ჩვევები, და რომლებსაც მომავლის გზას მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე გაუშუქებდა. დიდი პედაგოგი ზიზლით იხსენიებდა ისეთ ადამიანებს „როგორც არიან ინგლისსა და ამერიკაში, სადაც ორგულნი სარწმუნოებისა, მონანი არიან ფულისა, დოლარისა და სტერლინგისა და ბევრით დაბლა სდგანან ადამიანური ღირსებით თავის წინაპრებზე“³.

„ბუნების კარი“, ისევე როგორც გოგებაშვილის სხვა დანარჩენი წიგნები, მტკიცედ იდგა ეროვნულ ნიადაგზე. მოზარდ თაობას ასწავლიდა არა მარტო ქართულ ენას, არამედ სამშობლოს აწყყოსა და წარსულს, მის ბუნებასა და ადათ-ჩვევებს, უნერგავდა მას კეთილ-შობილურ გრძნობებს, უწვთარებდა გონებას და უმტკიცებდა ნებისყოფას. ყოველივე ზემოქმედების გამო წიგნი გამფორმებისაგან მოითხოვდა დიდ ოსტატობასა და საქმისადმი ღრმა სიყვარულს.

„ბუნების კარის“ ყველაზე სრულყოფილ გამოცემად, როგორც შინაარსობლივ ისე მხატვრულის თვალსაზრისით, 1911 წლას გამოცემა ითვლება. გამოცემის წინასიტყვაობაში გოგებაშვილი პირდა-

¹ გოგებაშვილი, ი. „ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებლად“, 11-ე შეესებული გამოცემა, ტფილისი, 1901 წელი, გვ. 1.

² 1828 წელს, წიგნის მეხუთე გამოცემა, სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა შეაფასა „როგორც ქართული ენის მშვენიერი სახელმძღვანელო სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიული კლასებისათვის“ (იქვე).

³ გოგებაშვილი, ი. ბუნების კარი, 11-ე გამოც., 1901 წ., ტფ., გვ. 2.

⁴ იქვე, გვ. 4.



ი. გოგებაშვილის მოთხრობა „კატა და ძეხვის“
ილუსტრაცია. ნახატი ა. მრეულიშვილის. გრაფიკა
ხეხე გრ. ტატიშვილისა.

პირ ამბობდა ამის შესახებ. იგი აღნიშნავდა: „ჩვენ ახლა სრულიად დამთავრებულად მიგვაჩნია „ბუნების კარი“ და ამიტომ მასში აღარ მოვახდენთ აღარაფითარ ცვლილებას ახლო მომავალში“-ო.

„ბუნების კარის“ ოთხივე ნაწილია დასურათებული. აქ ვხვდებით როგორც „ღედა ენაში“ გამოყენებულ, ისე სპეციალურად ამ წიგნისათვის შესრულებულ სურათებს, რომლებზედაც გამოსახულია სხვადასხვა ფრინველი, ცხოველი, საოჯახო ნივთი, სამუშაო იარაღი და მრავალი სხვა. ბევრია არქიტექტურული ძეგლების (ალავერდი, სიონი, მცხეთა და სხვა ტაძრები); რელიგიური სიუჟეტების ამსახველი და ისტორიული პირების სურათებიც. ამ სურათების უმრავლესობა ტატიშვილს ხეზე ამოკრილი აქვს მხატვარ მიხეილ საბინინისა და ფოტოგრაფ ალექსანდრე როინიშვილის ნამუშევართა მიხედვით.

ტატიშვილი „ბუნების კარისათვის“ განკუთვნილ სხვა მხატვრების მიერ შესრულებულ სურათებზედაც მუშაობდა. მხატვრები: ალექსანდრე მრეველიშვილი, მოსე თოიძე, ოსკარ შმერლინგი და მრავალი სხვა თავიანთ ნაწარმოებებს არა მარტო გოგებაშვილის ამ გამოცემაში, არამედ სხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ. მათი სურათებისათვის კლიშეებს ყოველთვის ტატიშვილი ამზადებდა და ამზადებდა მეტად კეთილსინდისიერად და დიდი მონდომებით.

„ბუნების კარში“ ტატიშვილმა ოსკარ შმერლინგის ილუსტრაციებისათვის მრავალი კლიშე გააკეთა. ასეთებია მაგალითად: ზღაპრებისათვის „რწყილი და კიანჭველა“, „საწყალი მელია“, „მებადურის შვილი“, „ქალების მუშაობა“ და სხვა. ა. მრეველიშვილის სურათებიდან აღსანიშნავია, მაგალითად, სურათი „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო“ და ა. შ.

აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში იაკობ გოგებაშვილის არქივის №148-ის ქვეშ დაცულია ოსკარ შმერლინგის გრაფიკული ნახატები, რომლებიც მხატვარმა სპეციალურად ი. გოგებაშვილის წიგნებისათვის შეასრულა 1896 წელს. ეს ნახატები „რწყილი და კიანჭველას“, „მებადური და ოქროს თევზის“ და სხვა ზღაპრებისა და მოთხრობების ილუსტრაციებს წარმოადგენენ.

თვითეული სურათის უკანა მხარეს გრ. ტატიშვილს ფანქრით მიწერილი აქვს თავისი შენიშვნები. მაგალითად: 1. ზღაპარი „რწყილი და კიანჭველასათვის“ განკუთვნილ იმ სურათზე, სადაც რწყი-

ლი და თოკზე გამაეალი ქიანქველაა გამოსახული, გრ. ტატიშვილს მიწერილი აქვს: „2 დიუმი—1,30 მან.“. 2. იმ სურათზე, სადაც მონადირე კლავს მელის (ზღაპარი „მელია და ჩიორა“); 4 დიუმი—2,60 მან.“, 3. იმ სურათზე, სადაც კატას თავის კლანქებში მოუგდია თავვი (-კატა და თავვი)—„1,5 დიუმი—97 კაპ“. და სხვა.

ამ შენიშვნებიდან ვგებულობთ, რომ 1896 წლისათვის, ეს იმ დროს, როდესაც გრ. ტატიშვილის სახელი მეტად პოპულარული იყო ქართველ საზოგადოებრიობაში, ქსილოგრაფი კლიშეზე ერთი კვადრატული დიუმის (2,54 კვადრატული სანტიმეტრი) ფართობის ამოკვეთაში შემკვეთელისაგან იღებდა მხოლოდ 65 კაპიკს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელი ხდება თუ რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება გრ. ტატიშვილს.

რა თქმა უნდა, ასეთი მცირე საფასური გრ. ტატიშვილს არ ყოფნიდა თავისი ოჯახის საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და თუ ყოფნიდა ისიც დიდის გაქირვებით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გრიგოლ ტატიშვილს ერთი სამუშაო წლის განმავლობაში ექნებოდა რალაც შუალედი, როცა იგი ნაკლებად იყო დატვირთული შეკვეთების შემსკირების გამო, ჩვენთვის გასაგები იქნება, რომ მისი წლიური შემოსავალი არ იქნებოდა სავსებით სახარბიელო. მაგრამ გრ. ტატიშვილი არ იყო ფულისა და სიმდიდრის მოყვარული, იგი სხვა გაქანების ადამიანი იყო. მისი ცხოვრების მთავარ მიზანს მხოლოდ სამშობლოს, მშობლიური ხალხის კეთილდღეობა წარმოადგენდა და ჩვენც სწორედ ამიტომ ვაფასებთ დღეს ასე დადებითად სახელოვანი ქსილოგრაფის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დაახლოვებით, 1885 წლიდან გოგებაშვილი ქართულ სკოლები-სათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს შედგენაზე იწყებს მუშაობას. გამოჩენილი პედაგოგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის სწავლების საქმეს და პირდაპირ მოითხოვდა, რომ რუსული ენის შესწავლისათვის მეტი სერიოზულობით მოეკიდათ ხელი, დაეცვათ ქართული და რუსული ენების ენობრივი სიწმინდე, ერთმანეთში არ აერიათ სიტყვები თუ გამოთქმები. გოგებაშვილი, პირველყოფლისა, რუსული და ქართული ენის მასწავლებლებისაგან მოითხოვდა ენის სიწმინდის დაცვას; იგი აღნიშნავდა: „Уже много-много замечено, что при обучении родному языку и рус-

скому и при переводах с одного языка на другой учителя нередко сами сбиваются с правильной речи и шпоят в русскую речь грузинизмы, а в грузинскую—русизмы¹.

რუსული ენის პირველი დასურათებული სახელმძღვანელო ქართულ სკოლებსათვის—„რუსკოე სლოვო“ 1827 წელს გამოვიდა. მან დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის საზღვრებს გარეთაც².

გრიგოლ ტატიშვილს დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდა წიგნის დასურათების დროს.

სახელმძღვანელო მრავალი პატარა ზომის სურათით არის ილუსტრირებული. სურათით არის გაფორმებული თვით სატიტულე გვერდიც, რომელზედაც გამოსახულია პატარა ყრმა. მასთან მოცემულია მისი დედა, რომელიც ბავშვს წიგნს უკითხავს.

ისევე როგორც „დედა ენაში“, „რუსკოე სლოვოშიც“ ცალკეულ სიტყვებსა და მოთხრობებს თავისი შესატყვისი სურათი ერთვის, რომელიც ამ სიტყვებში თუ მოთხრობებში მოცემულ შინაარსს ხსნის.

„რუსკოე სლოვოში“ არის რამოდენიმე ისეთი განყოფილება, სადაც ბავშვი სურათების მეშვეობით სწავლობს საგნებს, მოვლენებს და ა. შ. განყოფილებაში: „Напишите, названия предметов, здесь нарицательных“—მოცემულია სხვადასხვა საგნის ამსახველი მრავალი სურათი (ხე, თაფი, თოკი, სკამი, ხახვი, ხაფანგი, იხვი, ფეხი და სხვა), რომლებიც დახატული და ხეზე ამოჭრილია ტატიშვილის მიერ. განყოფილებაში: „Напишите, кто что делает?“ ტატიშვილი იძლევა სურათებს, რომლებზედაც—1. პატარა ბავშვი იატაკზე მიცოცავს, 2. ბავშვი მირბის, 3. ბავშვები თამაშობენ. 4. პატარა ბიჭი პირს იბანს, 5. პატარა ქალი წიგნს კითხულობს, 6. ყმაწვილი ვენახში ყურძენს კრეფს და ა. შ. განყოფილებაში: „Уроки русского языка на основе рисуночной наглядности“—მოცემულია სხვადასხვა ხასიათის სურათი, რომლებთანაც დასმული რამოდენიმე კითხვა (ვის ხედავთ თქვენ ამ სურათზე?, ბიჭი ზის თუ

¹ Гогольшвили, Я. Руководство для учителей и учительниц к преподаванию по книге того же автора „Русское слово“, издаваемое второе, Тифлис, 1898г. გვ. 3, 4.

² 1896 წელს გამოცემულ „რუსკოე სლოვოს“ შესავალში რედაქცია აღნიშნავდა, რომ პეტერბურგელმა პედაგოგებმა სპეციალური განხილვის შემდეგ დადებითი შეფასება მისცეს გოგებაშვილის სახელმძღვანელოს და მის შესახებ პრესაში სათანადო რეცენზიებიც გამოაქვეყნეს.

დგას? რას აკეთებს იგი? და ა. შ.) ბავშვს სალი აზროვნების უნარს უნფითარებს, აჩვენებს მოკლედ და ამომწურავ პასუხს და სხ.

მართალია, ტატიშვილის სურათების მხატვრული ღირებულება არა დგას მაღალ დონეზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ქმნიან ნათელ წარმოდგენას სურათზე გამოსახული საგნისა თუ მოვლენის შესახებ. გოგებაშვილის უშუალო მითითებების გათვალისწინებით დამუშავებული და შერჩეული ეს სურათები მაინც იმსახურებენ დიდ მოწონებას და სიყვარულს, როგორც თავისი მნიშვნელობით, ისე ნახატის უბრალოებითა და სისადავით.

ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და, კერძოდ, გოგებაშვილთან მუშაობის პროცესში ტატიშვილმა მთელის სერიოზულობით შეიგნო მოზარდი თაობისათვის გოგებაშვილის წიგნების უდიდესი მნიშვნელობა და იმდენად გაიტაცა იგი თავისი მშობლიური, ქართული ენისადმი საყვარულმა, რომ გადასწყვიტა შემდეგში თვით გამოეცა მხატვრულად გაფორმებული წიგნები და ალბომები. მისი აზრით ისინი უდაოდ შეუწყობდნენ ხელს ქართველთა შორის მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის მნიშვნელოვან საქმეს. მართლაც, გოგებაშვილის მსგავსად, რომელიც გადაქრით მოითხოვდა დედა ენისათვის ყოველ ქართულ ოჯახში მიექციათ ყურადღება, რისთვისაც გამოსცა კიდევ წიგნები: „ქართული ანბანი სახლობაში სახმარებელი“, „კუნწულა“, „ქონა“ და სხვა, ტატიშვილმაც, ცოტა მოგვიანებით, ამავე პრინციპებისადმი დაქვემდებარებული წიგნებისა და ალბომების გამოცემა დაიწყო, რითაც მეტად შეუწყო ხელი ქართული ენის სიწმინდის დაცვას. ამ წიგნებსა და ალბომებს ცოტა ქვემოთ განვიხილავთ.

შრომაში, ჩვენ თანამიმდევრულად, ქრონოლოგიურად, ვიხილავთ იმ გამოცემებს, რომლებშიც გრიგოლ ტატიშვილი იღებდა აქტიურ მონაწილეობას და ამით მკითხველს, შეძლებისდაგვარად, საშუალებას ვაძლევთ გაეცნოს ტატიშვილის შემოქმედებითი ზრდის პროცესს. მაგრამ გოგებაშვილის გამოცემების განხილვა მათი გამოქვეყნების თარიღის მიხედვით (ისინი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სულ სხვადასხვა წელს გამოდიოდა), გამოიწვევდა გოგებაშვილის გამოცემების ილუსტრაციებისა თუ მხატვრული გაფორმების წყვეტილ ანალიზს. ყოველივე ამის გამო ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გოგებაშვილის გამოცემები, მიუხედავად მათი გამოქვეყნების სხვადასხვა დროისა, ერთ მთლიანობაში განვიხილოთ და წარმოვადგინოთ ამავე თავში.

ვასახელებთ რამდენიმე ძირითად გამოცემას:

1. „კოკორი“. გამოვიდა 1885 წელს მე-9 გამოცემად. წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია მხოლოდ თავი ასოები.

2. „იანანამ რა ჰქმნა“. გამოვიდა 1890 წელს. ამ წიგნს ტატიშვილი მხოლოდ თავი ასოთი აფორმებს. აქ, ტექსტის დასაწყისში ნახმარია თავი ასო „თ“, რომელიც სტილისტური გადამუშავებაა. „ნობათში“ არსებული თავი ასო „თ“-სა (იხ. „ნობათი“, 1883 წ., № 1, გვ. 36.). თუ „ნობათში“ ასოს ტანი ყვავილოვან ხეულებშია ჩართული, აქ ამ ხეულების ნაცვლად მოცემულია ფართო ფოთლები, რომლებიც ასოს მხოლოდ შუა ნაწილს ფარავს და მეტად ეფექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული თავი ასოს გარდა წიგნში მხატვრული გაფორმების სხვა ელემენტი არ გვხვდება.

1904 წელს გამოქვეყნდა „იანანამ რა ჰქმნას“ მეორე გამოცემა, რომელიც გოგებაშვილმა „სამუდამოდ შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. გამოცემა გაფორმებულია ო. შმერლინგის ილუსტრაციებით, რომლებიც მან ჯერ კიდევ 1895 წელს შეასრულა. სურათებისათვის კლიშეები ტატიშვილმა დაამზადა. საკუთრივ ტატიშვილს თავი ასოები ეკუთვნის. თავი ასოებისგან ზოგი მოცემულია მხოლოდ შავ მიწარზე, ზოგი კი შავ მიწარზე, რომელზედაც თეთრი წინწყლებია მოფანტული. პირველ სახეს ეკუთვნის შემდეგი ასოები: თ, ვ, ლ, რ, ე, მ; მეორეს: დ, ს, ქ, ბ, ა; ასოები ყველგან ერთი ზომისაა და უდრის 1,5×1 სმ-ს. ისინი, ყველა შემთხვევაში, გადახლართულნი არიან სხვადასხვა ლეროსებრ ჩუქურთმასთან.

3. „თავდადებულნი ქართველნი“ — გამოიცა 1895 წელს. წიგნში, რომელსაც ეპიგრაფად რუსთაველის აფორიზმი „სჯობს სიციოცხლესა ნაძრახსა სიკედილი სახელოვანი“ აქვს წამძღვარებული, მოთავსებულია ისტორიული ხასიათის პატარა მოთხრობები: „მღვდელი თევდორე“, „აზნაური იოთამ ზედგენიძე“ და „თავადი ცოტნე დანიანი“. ამ მოთხრობებით გოგებაშვილმა ერთხელ კიდევ მოაგონა ქართველ საზოგადოებას და უმთავრესად მოზარდ თაობას, სამშობლოსადმი თავდადებულთა ნათელი და სპეტაკი სახელები და მოუწოდა მათ ამ ადამიანთა მსგავსად ეზრუნათ სამშობლო ქვეყნის ბედნიერ მრმავლისათვის.

აღნიშნულ მოთხრობებისათვის ტატიშვილი ხეზე ჰყვეთს ო. შმერლინგის მიერ შესრულებულ ცხრა სურათს. ტექნიკურად ეს

კლიშეები მალალ დაზნეუ დგანან; ჩვენ მხედველობაში გვაქვს კლიშეების ქსილოგრაფიული დამუშავება. წიგნის ილუსტრაციებიდან ტატიშვილის მიერ დახატული და ხეზე ამოკვეთილია მხოლოდ ერთი. იგი წიგნის ბოლოს, ცალკე თავად გამოყოფილ მოთხრობა „გამარჯებულ დედას“ ეკუთვნის. სურათზე გამოხატულია ის მომენტი, როდესაც ფარაონის ქალიშვილი ბანაობის დროს ლერწმებში პოულობს წყალზე მოტივტივე, გასანთლულ კალათს, რომელშიც ახალდაბადებული ებრაელი ბავშვია ჩასმული.

წიგნში მოცემული თავი ასოები ორი სახით წარმოგვიდგებიან:

1. შავ მიწარზე მოცემულია ასოები: მ, მ, ძ, ე, გ, წ, ქ, მ. (ერთიდაიგივე ასო ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავდება თავისი მხატვრული გაფორმებით); 2. თეთრი წინწყლებით მოფენილ შავ მიწარზე შექმნილი ასოებია: ს, თ, შ, ო, ა.

უკანასკნელი ტიპის თავი ასოები გამოყენებულია აგრეთვე „იანანამ რა ჰქნას“ მეორე გამოცემაში. ასოები ყველგან სტილიზებული ფოთლოვანი ჩუქურთმებითაა გაფორმებული.

4. „მოსავლის მცველნი“ ანუ „სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“. გამოქვეყნდა 1896 წელს.

ამ წიგნით გოგებაშვილი შეეცადა ქართველი გლეხი დაერწმუნებია ადამიანის ყოვლისშემძლეობაში, მის მიერ ბუნების ძალთა დამორჩილების შესაძლებლობაში. გოგებაშვილი გულის ტკივილით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად საქართველოს მდიდარი ბუნებისა, ხალხი მაინც ღარიბად ცხოვრობსო. „რა მიზეზის გამო?“—კითხულობდა იგი და თვითონვე პასუხობდა: „იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს თავისი მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეგება, იმდენად არაფერი, რომ ხშირად იგი ებრძვის იმისთანა ბუნების ძალებს, რომელნიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან, ხოლო ხელსუწყობს და ესარჩლება იმისთანა რამეებს, რომელნიც ზარალის მეტს არასა სძლენიან მასო“¹. გოგებაშვილი თავის მოთხრობებში ყველა ქართველს მოუწოდებს შეისწავლოს თავისი ქვეყნის ბუნება, თავისი მთარე და დაიცვას ის არსებანი, რომლებიც მისავე სასიკეთოდ შრომობენ და იღწვიან. ასეთი ხასიათის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი“, „ფრთიანი კატა ანუ კოტი“, „დიდი მოკეთე მტრის კანში ანუ ბელურა ჩიტი“, „თხუნელა“, „ღამურა“, „გომბეშო“, „მწყერი“ და მრავალი სხვა, რომ-

¹ გოგებაშვილი, ი. მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, ტფ., 1896 წ., წინაიტყვაობა.

ლებშიც აღწერილია როგორც „მოსავლის მცველთა“ გარეგნობა, ისე მათი ჩვეულებები.

მოთხრობების შინაარსთან ერთად ამ სასარგებლო ცხოველ-ფრინველების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს წიგნში დაბეჭდილი ტატიშვილის ილუსტრაციებიც, სადაც ეს ცხოველები თუ ფრინველები გამოხატულნი არიან მათთვის დამახასიათებელ მოქმედებაში, რაც თავის მხრივ მათ მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე მიუთითებს.

ისევე, როგორც წინა გამოცემები, წიგნი მხატვრულად ფორმდება მხოლოდ თავი ასოებით, რომლებიც ისე შავ და შავ-თეთრ წინწყლებიან მიწარზე არიან მოცეპულნი. პირველი სახისათვის თერთმეტი, ხოლო მეორესათვის თოთხმეტი თავი ასოა წარმოდგენილი.

5. „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. გამოვიდა 1897 წელს. წიგნის ერთადერთ სურათზე გამოხატულია ციენზე მჯდომი ერეკლე მეფე, რომელსაც „ვილატამ გადმოაყარა ზემოდან მთელი ბლუჯა ქლიაივი“. ვინმე „ზაალ“-ის მიერ დახატული სურათი ხეზე ამოკვეთილია გრ. ტატიშვილის მიერ.

6. „კონა პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერე-ბიდან“. გამოვიდა 1900 წელს.

წიგნში არსებული 57 სურათი იმავე მიზანს ემსახურება, რაც „მოსავლის მცველთა“ ილუსტრაციები. მხატვრული გაფორმების ელემენტები წიგნში წარმოდგენილი არ არის. ილუსტრაციებიდან უმრავლესობა ტატიშვილის მიერაა შესრულებული. კლიშეებიც მის მიერვეა დამზადებული.


ამგვარად, ტატიშვილი გოგებაწვილის თითქმის ყველა ძირითად გამოცემაში იღებს მონაწილეობას, როგორც ილუსტრატორი, წიგნების მხატვრული გამფორმებელი და ქსილოგრაფი.


იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოები და ცალკეული მოთხრობები საჩუქრად გაუგზავნა საქართველოსა და უცხო ქვეყნების მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს და, მათ შორის. ქართული კულტურის დიდ დამფასებელსა და ჩვენი ქვეყნის გულწრფელ მეგობარს — მარჯორი უორდროპს. ინგლისელი ქალი, დიდი სიყვარულის გრძნობით გამსქვალული ქართველი ხალხის, მისი ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ, თვალყურს ადევნებდა ჩვენი კულტურული ცხოვრების ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას. იგი საგანგებოდ აგროვებდა და სწავლობდა როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს, ისე ახალ თხზულებებსაც. მარჯორი უორდროპმა

მთელი თავისი ნაყოფიერი შემოქმედება ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმნის საქმეს მიუძღვნა. შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“, სულხან-საბა ორბელიანის „იგაყარაყების“, ილია ჭავჭავაძის „განდევილისა“ და ეხლახან აღმოჩენილი ილიას „მგზავრის წერილების“ უორდროპისეული თარგმანები დღესაც არ კარგავენ თავის მაღალ ღირსებებს და ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის ბრწყინვალე ნიმუშებად გვევლინებიან.

1896 წლის 21 ივნისს მარჯორი უორდროპმა, რომლის საკუთარ ქართულ ბიბლიოთეკას სევენოუკში (ინგლისი) ი. გოგებაშვილის ზევით აღნიშნული წიგნებიც შეემატა, დიდ პედაგოგს ინგლისიდან მადლიერების გრძნობით აღსავსე წერილი გამოუგზავნა, სადაც იგი დადებითად ახასიათებს როგორც წიგნების შინაარსობლივ, ისე მათ მხატვრულ ღირსებებსაც. ეს მაღალი შეფასება, რა თქმა უნდა, გრიგოლ ტატიშვილსაც შეეხება, რადგან აღნიშნული წიგნები ილუსტრირებულია გრ. ტატიშვილის მიერ ხეზე ამოკვეთილი კლიშეების საშუალებით.

ამ ქებას, ალბათ, მეტად ასიამოვნა და გაახარა როგორც ჩვენი სასიქადულო პედაგოგი ისე მისი წიგნების გამფორმებელიც.





ასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ტატი-
შვილი ხელს კიდებს ჟურნალ-გაზეთების გაფორმების
საქმეს. პირველი ჟურნალი, რომელიც ტატიშვილმა გაა-
ფორმა „ნობათი“ იყო. ჟურნალი გამოვიდა 1883 წლის
დეკემბერში.

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა უმთავრესად
ორმა მიზეზმა განაპირობა. ამ მიზეზების შესახებ ჟურნალის პირველი
ნომრის დამატებაში რედაქტორ-გამომცემელი ანდრე ლულაძე პირ-
დაპირ აღნიშნავდა, რომ საქართველოში იმ დროს არ არსებობდა
საყმაწვილო გამოცემა, თუმცა, ასეთი გამოცემა კი მეტად საჭირო
იყო, რადგანაც „დღითი დღე მატულობს ჩვენს ცხოვრებაში იმის
მოთხოვნილება, რომ თვითველ ოჯახს და თვით საზოგადოებასაც
ჰქონდეს ისეთი საკითხავი სტატიები, რომელიც ყმაწვილს გაართობს,
აღზრდის და სწავლის სურვილს მოუმატებს“.

რედაქცია დარწმუნებული იყო, რომ ჟურნალის გამოცემა სკო-
ლასა და ოჯახს შორის აუცილებელი კავშირის დამყარებასა და
განმტკიცებას მეტად შეუწყობდა ხელს.

„საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის
ცხოვრებაში, მის წარმატებებში. ეს არის საძირკველი, რომელზედაც
შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა. გონებით
მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, .თუ იგი დარბია. საყრდენი
ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით“—წერდა გამოჩენილი

მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით¹.

„ნობათი“ მხოლოდ 1883, 1884 და 1885 წლებში გამოდიოდა. მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა ჟურნალი აქვეყნებდა წერილებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან: ფიზიკიდან, გეოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და პედაგოგიკიდან.

ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები: ა. წერეთელი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ეკ. გაბაშვილი და ა. ყაზბეგი.

მიუხედავად შინაარსის მრავალფეროვნებისა, გამომცემლებს კარგად ესმოდათ, რომ მხატვრულად გაუფორმებელი ჟურნალი მკითხველს ვერ გაუწევდა იმ სამსახურს, რისთვისაც იგი მოწოდებული იყო და ამიტომაც, იმთავითვე მიაქციეს დიდი ყურადღება მის მხატვრულ გაფორმებას; „ნობათის“ გარე მორთულობას ჩვენის მხრით ექნება მიქცეული ეგოდნათ დიდი ყურადღება, რაოდენათაც მის შინაარსსა, რადგან მხოლოდ მარტო შინაარსსა და გარეგან თვისებებს შორის დადგენილს პარამონიას შეუძლია აღზარდოს მთელი ადამიანიო“-ო, წერდა რედაქტორი².

„ნობათის“ გამომცემამდე ხუთი თვით ადრე რედაქციამ პეტერბურგში შეუქვეთა ჟურნალის სატიტულე გვერდი და ილუსტრაციები, მაგრამ 1883 წლის 15 დეკემბერს, პეტერბურგიდან მათ ოფიციალურად მიიღეს ცნობა შეკვეთის შეუსრულებლობის შესახებ³. ამის შემდეგ გამომცემლებმა „ნობათის“ სათაურისათვის კლიშეს დამზადება და, საერთოდ, ჟურნალის მხატვრული გაფორმება მიანდო გრიგოლ ტატიშვილს, რომელმაც დიდი გულისყურითა და მონღომებით დაიწყო მუშაობა და მოკლე ხანში დაამთავრა კიდევ-

¹ „დროება“, 1884 წელი, № 7.

² „ნობათი“, 1883 წელი, № 1, დამატება.

³ ჟურნალის მხატვრული გაფორმების შესახებ რედაქცია „ნობათის“ პირველ ნომერში აცხადებდა: „ხუთი თვეა, რაც პეტერბურგში შევთვალეთ საქიოლ სურათების დამზადება; სხვათაშორის უნდა გაეკეთებიათ ერთი დიდი სურათი სათაურისათვის, ორი სურათი ზღაპრის „ლომ-კაცისათვის“ (გ. წერეთლისა. მ. უ.) და ათი მხატვრობით შემკობილი ასო-თავრულები. სანწუხაროთ, დეკემბრის თუთხმეტს მივიღეთ ტელეგრამა, რომლითაც გვაცნობეს, რომ სურათები ჯერ კიდევ მხათ არ არიანო რადგან ვადაწყვეტით არ ვიცოდით, როდის ვიგდებდით ხელში ამ სურათებს, ვამჯობინეთ სანიმუშო ნომრის გამომცემის დაჩქარება დროებითი სათაურითა“.

ქურნალის გარეკანი ტატიშვილის მიერ ხეზე ამოკვეთილია იმ დროს საქართველოში მომუშავე მხატვარ ნ. სალაგიოვის მიერ შესრულებული ესკიზის მიხედვით¹. აქ, ქურნალის სათაური „ნობათი“ გვერდის ზემო ნაწილშია მოქცეული. ასოები ერთმანეთში შერწყმული ფოთლოვანი ჩუქურთმებისაგანაა შედგენილი, ხოლო ერთმანეთთან დაკავშირებულია ხლართული ღერო-ფოთლოვან-ყვავილოვანი ჩუქურთმებით. სათაურის ქვეშ მალალი მთებია გამოსახული. იგი წარმოადგენს იმ დიდებულ ხეობას მყინვარის მთის ახლო, რომელზედაც მომდინარეობს შფოთიანი თერგი². მთები მოფენილია ციხე-კოშკებით. მხატვრის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მეტად ორიგინალურად აკავშირებს ქურნალის სათაურს და მთების გამოსახულებას ორნამენტალური ხვეულებით, რომელშიც ჩახლართულია ყურძნის მტევანი, ვაშლი და მსხალი. ისინი საქართველოს ბუნების სიუხვის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენენ. „ამ სურათის გასინჯვით ყმაწვილი შეიძენს არა ერთს ცნობას, არა ერთი შთაბეჭდილებით გამდიდრდება მისი გონება“ — წერდა გოგებაშვილი გაზეთ „დროებაში“³.

„ნობათის“ ეს გარეკანი მხოლოდ პირველი ნომრისათვისაა გამოყენებული. დანარჩენი ნომრების გარეკანი უკვე პეტერბურგში დაბეჭდილი ცინკოგრაფიული წესით.

ტატიშვილი ქურნალს აფორმებს ლამაზი, სადა, და მკაფიო თავი ასოებით, სურათებითა და ბოლოსამკაულებით⁴.

ჩვენ, ტატიშვილის მიერ შედგენილ თავი ასოებსა და ბოლოსამკაულებს პირველად „ნობათის“ საშუალებით ვეცნობით. აქ წარმოდგენილი თავი ასოებისა და ბოლოსამკაულთა მხატვრული ღირებულება აშკარად მეტყველებს, რომ ტატიშვილს ასოებზე მუშაობა ჯერ კიდევ 1883 წლამდე ჰქონდა დაწყებული. მასალების უქონლობის გამო ჩვენ გადაჭრით არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ სახელდობრ რომელ წელს ან, საზოგადოდ, როდის შეუდგა იგი ასოების გრაფიკულ დამუშავებას; იგივე უნდა ითქვას ორნამენტების გრაფიკული დამუშავების შესახებაც. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის

¹ „ნობათის“ გარეკანის ესკიზი დაცულია საქ. სსრ სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. ზომა 18,5 X 12,6 სმ., ქალ. ფანქ.

² „დროება“. 1884 წ., № 41, ი. გოგებაშვილის რეცენზია „ნობათის“ გამოსვლის გამო.

³ იქვე.

⁴ „ნობათის“ 64-ე გვერდზე აღნიშნულია: „ასომთავრულები ქურნალ „ნობათში“ დაწატულია და ამოჭრილი ბ. გ. ტატიშვილისაგან“.

აშკარაა, რომ ტატიშვილი პირველად ქართველ ოქრომჭედელ გრაფიორთა დახმარებით ეცნობა მხატვრულად გაფორმებულ ასოთა გრაფიკულ მოხაზულობას. მხოლოდ ოქრომჭედელ გრაფიორებს, რომლებიც ვერცხლისა ან ოქროს ნივთებზე წარწერებსა თუ მონოგრამებს კვეთდნენ, შეეძლოთ მიეცათ ტატიშვილისათვის გრაფიკულად დამუშავებული ქართული ან რუსული ასოების ნიმუშები.

მდიდარი გემოვნება ტატიშვილს საშუალებას აძლევდა შეექმნა ასოებისა და ორნამენტების სხვადასხვაგვარი გრაფიკული სახეობა. დროდადრო იგი თავის ცოდნას ასოებისა თუ ორნამენტების გრაფიკული დამუშავების დროს, რუსეთში და დასავლეთ-ევროპაში გამოცემულ წიგნებსა თუ ჟურნალებში არსებული მხატვრული ელემენტების შესწავლით ამდიდრებდა (ცნობილია, რომ ტატიშვილი საფრანგეთიდან იღებდა ჟურნალ „ფიგაროს“). ზოგიერთ შემთხვევაში იგი თავისებურად ამუშავებდა ამ წიგნებსა თუ ჟურნალებში დაბეჭდილ თავი ასოებს, იღებდა რა მათგან მხოლოდ ასოების შედგენილობის პრინციპებს და ა. შ.

„ნობათში“ თავი ასოები ყველგან ყუავილოვან მიწარზეა მოცემული. მიწარი თავისი ხლართული ხაზების კომბინირებული გადმოცემით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჟურნალში მოცემულია სულ 33 სხვადასხვა თავი ასო, რომლებიც რვა სახეობაშია გაერთიანებული:

პირველია, როდესაც ასოს ტანი შავია და ჩრდილი ხაზობრივი (ასო „წ“, გვ. 1).

მეორეა, როდესაც ასოს ტანი შემოხაზულია შავი კონტურებით და ჩრდილი მთლიანად შავია (ასო „ჩ“, გვ. 26).

მესამეა, როდესაც ასოს ტანი შემოხაზული შავი ხაზით, გული შავია და ჩრდილი ხაზობრივი (ასო „თ“, გვ. 36).

მეოთხეა, როდესაც ასოს ტანის შესადგენად გამოყენებულია ერთმანეთში გადაგრეხილი ნუერებიანი ხის ტოტები (ასო „ე“, გვ. 287).

მეხუთეა, როდესაც ასოს ტანი შავია, ხოლო ჩრდილად გამოყენებულია თეთრი აშია (ასო „შ“, გვ. 75).

მეექვსეა, როდესაც ასოს ტანის შესადგენად ადამიანთა და ფრინველთა ფიგურებია გამოყენებული (ასო „მ“, გვ. 328 და ასო „ქ“, გვ. 26—1885 წლის გამოცემაში).

მეშვიდდა, როდესაც ასოს ტანი შედგენილია შავი შტრიხებისაგან (ასო „ი“, გვ. 55, 1885 წ.).

მერვეა, როდესაც ასო ჩართულია იმ სურათში, რომელიც ტექსტის შინაარსს ხსნის. მაგალითად: 1. ასო „დ“ (გვ. 253) გამოყენებულია ა. წერეთლის ლექსის „შელა და ყურძენის“ თავი ასოდ. მელია, რომელიც ასო „დ“-ს გვერდითაა გამოხატული, ხარბი თვალებით შეჰყურებს ვაზზე ჩამოხუნძლულ ყურძნის მტევნებს. თვით ასო შედგენილია ხის ტოტებისაგან. ნახატი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს როგორც კომპოზიციური შედგენილობით ისე ტექნიკური შესრულებითაც, 2. ასო „გ“ (გვ. 120, 1885 წ.) გამოხატულია იმ სურათზე, სადაც ციცაბო კლდეზე მჯდომი პატარა მწყემსი ბიჭია მოცემული და სხვა.

„ნობათში“ გამოყენებული მხატვრული თავი ასოების შექმნით ტატიშვილი უკვე ჩამოყალიბებულ გრაფიკოსად და დაოსტატებულ ქსილოგრაფად გვევლინება. ასოების გრაფიკული დამუშავების დროს იგი უკვე აღარ ავლენს იმ პრიეტივიზმს, რაც დამახასიათებელი იყო მის ილუსტრაციებისათვის. აქ უკვე მკაფიო და მტკიცე ხელითაა გამოყვანილი ყოველი შტრიხი. ტატიშვილი თავი ასოებს არ იძლევა მშრალ და სტატიურ მსგომარეობაში. იგი კომბინირებული კვეთის საშუალებით სხვადასხვაგვარი ტიპის, შეტად დინამიურსა და ფაქიზ ასოებს ქმნის.

თავი ასოთა გარდა ბევრია ეურნალში ბოლოსამკაულიც, რომელთაგან ზოგი ყვავილოვან ჩუქურთმას, ზოგი ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ ჩუქურთმათა წყებას, ხოლო ზოგი კი პირდაპირ რიზეტს წარმოადგენს.

ეურნალში გვხვდება ტატიშვილის მიერ ხეზე ამოკვეთილი სანოტე ნიშნებიც. ისინი კლიშეზე ისეა ამოკრილი, რომ ბექდვის დროს ნიშნები და ხაზები ქალაღზე თეთრად გამოვიდა, ხოლო მიწარი კი შავად. ამ სახით წარმოდგენილი ნოტები, რასაკვირველია, აძნელებდა კითხვას. ასეთია, მაგალითად, ალ. ჭავჭავაძის „სიმღერა“, დაბეჭდილი 1883 წლის „ნობათის“ პირველი ნომრის ბოლო ფურცელზე.

დიდ ინტერესს იწვევს თვით ტატიშვილის მიერ შეკრებილი და ხეზე ამოკრილი რებუსები და ამოცანები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. „დოში მქადით გემრიელია“.
2. „თავი მურწისა სჯობია, ბოლო ლოქოსი“.
3. „ორი კაცი ერთ კაცზე დაშქარია“.

4. „მელიას თავისი საღრჩობელა უყვარდა“.
5. „წელი ხის ტოტის ნაქერი, თავი მიწისა აბია,
თუ კაცი ხელს არ შეახლებს, მას სული გაუნაბია;
მწარე ბალახს ქამს ცეცხლითა, მაშინ ვით გველეშაპია,
პირით და კუდით ბოლი სდის, ძვირიც არ არის, იაფია“.
6. „ქალოში ორი უღელი ხარი აბია“.
7. „თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში“ და სხვა.

ეურნალში რებუსებისა და ამოცანების მოთავსება გონივრული წამოწყება იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა, როგორც ბავშვის აზროვნების განვითარებას, ისე ეურნალსაც მეტ სიცოცხლესა და მრავალფეროვნებას აძლევდა. გარდა ამისა იგი ახალგაზრდობას ასწავლიდა ქართულ თქმებს. როგორც გოგებაშვილის რეცენზიიდან ჩანს, ეურნალში რებუსებისა და ამოცანების მოთავსებას ქართველი საზოგადოების დიდი მოწონება დაუმსახურებია.

„ნობათის“ შინაარსა და მხატვრულ გაფორმებას, როგორც აღნიშნული იყო, სათანადო ყურადღება მიაქცია და გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც 1884 წლის იანვარში გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა რეცენზია ეურნალის პირველი ნომრის შესახებ. გოგებაშვილმა ეურნალის მხატვრულ გაფორმებას შემდეგი სიტყვები მიუძღვნა: „საბავშვო ეურნალში გარეგან სახეს, შეხედულობას ცოტა მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ორიოდ სიტყვას ვიტყვით „ნობათის“ გარეგნობაზე. ამ მხრივ გამოცემა ფრიად მოსაწონია. სათაური ფურცელი ლამაზია და ხელოვნურად შემკულია სურათებით, ქალღმერთი ძალიან კარგი, შრიფტი გარკვეული, ტექსტს შემოვლებული აქვს გარშემო ორკეცი წითელი არშია, საჭირო სურათები არა ერთსადაც არის ჩართული და ზოგიერთთა წერილებს დასაწყისში ამშვენებენ ახლად შემოღებული დიდი მთავრული ასოები... რებუსები დასაწყისი არ არის“¹.

იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ეურნალ „ნობათის“ შინაარსობლივი მხარის კრიტიკულ განხილვასთან ერთად მის მხატვრულ გაფორმებასაც მიაქცია სათანადო ყურადღება, გვევლინება გრ. ტატიშვილის პირველ ოფიციალურ შემფასებლად.

„ნობათის“ მხატვრული გაფორმებით ტატიშვილმა მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მან თავი ასოების, ბოლოსამკაულებისა და გაფორმების სხვა ელემენტების შექმნითა და პრაქტიკული გამოყენებით მყარი საფუძველი

¹. „დროება“, 1884 წ., № 13.


ჩაუყარა იმ დროს ქართული წიგნების გაფორმების საერთო საქმეს, რაც, რა თქმა უნდა, იმდროინდელ პოლიგრაფიულ წარმოებაში დიდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ გოგებაშვილი, რომელსაც კარგად ესმოდა წიგნის მხატვრული გაფორმების მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნავდა „ახლად შემოღებული დიდი მთავრული ასოების“ შესახებ.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომელიც ტატიშვილს თავისი საქმის მოყვარულ და სპეტაკ მუშაკად ავლენს: რედაქცია, სადაც ტატიშვილი მუშაობდა, ზოგჯერ იმ მეტად მცირე თანხას, რომელიც მხატვარ-ქსილოგრაფს ეკუთვნოდა, ვერც კი იხდიდა ხოლმე უსახსრობის გამო. ვალი თანდათანობით იზრდებოდა. ტატიშვილის უბის წიგნაკიდან ჩანს (უბის წიგნაკი დაცულია საქ. სსრ სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში № 8-44-680

-ის ქვეშ), რომ 1884 წლის სექტემბრისათვის მას მისაღები ჰქონდა ექვსი მანეთი. უბის წიგნაკშივე რედაქციის სახელით ხელწერილი აქვს დადებული, თვით ჟურნალის რედაქტორს ანდრე ლულაძეს; აქ სწერია: „24 ენკენისთვის კიდევ დავრჩი მოვალედ ექვსი მანეთი ნობათის ნამუშევრისა. ანდრე“.

ამხანაგებისა თუ ნათესავეების შეკითხვაზე, თუ რატომ არ მოითხოვს იგი თავის კუთვნილ გასამრჯელოს, ტატიშვილი ასე პასუხობდა: „თვითონაც არაფერი აქვთ და აბა რა უნდა გამოეართვო“!

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტატიშვილის მიზანი ჟურნალში მუშაობის დროს იყო მხოლოდ საზოგადოებრივი საქმისადმი უმწიკვლო და კეთილსინდისიერი სამსახური! ტატიშვილის ამ თვისებებზე ლაპარაკობს მისი მთელი ცხოვრება და შემოქმედება.





მ-19 საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში დღის წესრიგში დადგა კლასიკური პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემის საკითხი. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ან იმ ლიტერატურულ მიმართულებების შესახებ, რომლებმაც განაპირობეს კლასიკური პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემა, რადგან ამის შესახებ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი უდიდესი წინსვლა იყო ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა პირველ რიგში მიზნად დაისახეს ამ პერიოდის უძველესი ნიმუშის—„ვისრამიანის“ გამოქვეყნება. „საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა ქართულის მწერლობისათვის აუცილებელი იყო. მაღალი პოეტური მისი ღირსება, მაღალი ნიჭიერების ბეჭედი, ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა, თვით პროზაული ენა, მაჩვენებელი ლიტერატურის შემუშავების ხარისხისა, ყოველივე ესე ამ თხზულებასა ხდის ძვირფას საუნჯედ ჩვენის მწერლობისას“¹.

„ვისრამიანი“ სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებია. მე-11 საუკუნის შუა წლებში ფალაურიდან სპარსულ ენაზე ლექსად უთარგმნია პოეტ ფახფურ ჯორჯანელს, ხოლო შემდეგ, თამარ დედოფლის დროს, ქართულად გადმოუკეთებია სარგის თმოგველს. იგი სპარსული დედნის თავისუფალ მხატვრულ თარგმანს წარმოადგენს და შესრულებულია დიდი ხელოვნებით.

¹ „ვისრამიანი,“ 1884 წელი, გვ. IX, ტფილისი.

„ვისრამიანი“ დროთა განმავლობაში მრავალჯერ გადაუწერიათ. ხელნაწერების მეცნიერული დამუშავების შედეგად რომანის მთლიანი ტექსტი, პირველად, 1884 წელს დაიბეჭდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

ექვთიმე ხელაძის სტამბის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც სტამბის ისტორიის გარდა იმდროინდელი ბეჭდვითი საქმის ერთ მეტად მტკივნეულ საკითხსაც ეხება. იგი წერს:

„1850 წლებში, ქართველთა შორის ასტყდა საუბარი ქართულის დროგანმომავლობითი გამოცემის შესახებ. გამოცემას მრავალნი ნატ-



ვისრამიანი

რობდნენ. ვორონცოვმა მალე დართო თვიური „ცისკარის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წელს გ. ერისთავის რედაქტორობით „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. ეურნალის გამოსაცემად რედაქტორმა ჩუქებით სტამბის იარაღიც შეიძინა იმ დროის მთავარ-მართებლის სტამბიდან, „ცისკარის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცისკარი“ 1854 წლის ბოლოს მოიხშო და 1855 წ. სტამბა დაიხურა. 1856 წელს „ცისკარი“ ივ. კერესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიად იყიდა 900 მანეთად... ივ. კერესელიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცისკარი“ და ყველა თავისი გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა ხანს ეპყრა. 1873 წელს ექვთიმე ივანეს-ძე ხელაძეს მიჰყიდა. ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებობს. ამ სტამბას საკმარისი ღვაწლი მიუძღვის ქართულ მწერლობაზე. ამ სტამბაში დაიბეჭდნენ ძრიელ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ დაიბეჭდნენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულ მწერლობაში პირველად იქმნენ აღბეჭდილნი. მაგალითებრ: — „ქილილა და დამანა“, გამოც. გრიგოლ გურიელისა, „ვისრამიანი“ და ბევრიც სხვა წიგნები...

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახურიც მიუძღვის. ქართველთა წინაშე, ნამეტურ ქარველ გამოცემლებთა, რომლებმაც-კი ქართული წიგნების გამოცემა იწყეს 1873 წლის შემდეგიდან. აი ერთი მე, ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება წიგნების გამოცემის მოხერხებაც ვერ შემძლებოდა, რადგან მაშინ თბილისში სულ ოთხი სტამბა იყო, სამს სტამბაში ჩემისთანა-ლარიბი კაცი ფეხს ვერ მიაღვამდა, რადგანაც ყველა ამ სტამბებში წიგნების საბეჭდ ფასს ისე იღებდნენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების ბეჭდვისა, აბა როგორ მოვახერხებდით ასეთ ფასების ძლევას, მაგრამ ბ. ექ. ხელაძემ წავგახალისა, ამოწყობას და ბეჭდვას ისეთი ფასები დაადო, სხვა სტამბის საბეჭდს ზომაზე ისე დააპატარავა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ადვილად კიდებდა რამე წიგნის გამოცემას და ბეჭდავდა. ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მესტამბებმაც დაუკლეს ბეჭდვის ფასებს¹.

„ვისრამიანი“ გამოსაცემად გაამზადა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: ილია ქავჭავაძემ, ალექსანდრე სარაჯიშვილმა და პეტრე უმიკაშვილმა.

თავდაპირველად გამომცემლებს „ვისრამიანის“ ილუსტრირებაც სურდათ. მათ განიზრახეს ხელნაწერ „ვისრამიანში“² არსებული მინიატურების გამოყენება, მაგრამ ეს სურვილი სურვილადვე დარჩა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა საამისო ტექნიკური შესაძლებლობანი—რეპროდუქციების ბეჭდვის ტექნიკა ქართულ სტამბებს ჯერჯერობით არ ჰქონდათ ათვისებული, და თუ ჰქონდათ ისიც მეტად დაბალ დონეზე იდგა. ამ მდგომარეობის გამო გამომცემლები წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის მხოლოდ გრ. ტატიშვილის მიერ ქსილოგრაფიული წესით დამუშავებული თავი ასოებით დაკმაყოფილდნენ³.

როგორც იმდროინდელი გაზეთებიდან ჩანს, „ვისრამიანის“ პირველ გამოცემას მოუთმენლად მოელოდა ქართველი საზოგადოებრიობა.

¹ კიკინაძე, ზ. „ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა (1625—1900)“, აკაკის თეიური კრებული № XII, ტფილისი, 1900 წ.; გვ. 138—140.

² „ვისრამიანის“ ეს ხელნაწერი (S:27) საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული.

³ „ვისრამიანის“ 1884 წლის გამოცემის მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „სათაური და დასაწყისი ასოები ამოსკრა გრიფოლ ტატიშვილმა“.

ამ დროისთვის, ტატიშვილს თელიდენ როგორც უკვე გამოცდილ ქსილოგრაფად და „ლამაზი ასოების“ შემდგენელად. მისი სახელის პოპულარიზაციას, რა თქმა უნდა, თავის მხრივ ხელი შეუწყო საზოგადოების მიერ აღიარებულმა „ნობათის“ მხატვრულმა გაფორმებამ. ამიტომაც იყო, რომ „ვისრამიანის“ გაფორმება მასვე მიანდევს.

„ვისრამიანი“ მხოლოდ თავი ასოებით არის გაფორმებული. წიგნისათვის ტატიშვილის მიერ შედგენილია გრაფიკულად მეტად სადად გამოყვანილი თავი ასოები, რომლებიც უმთავრესად ყვავილოვან მიწარზე არიან მოცემულნი. წიგნში სულ შვიდი სახეობის თავი ასოა წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ მიწარის სხვადასხვაგვარობით განირჩევიან.

პირველი სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარად ფართო ფოთლოვანი ყვავილებია გამოყენებული. („ი“—გვ. 1, „შ“—გვ. 11, „ყ“—გვ. 433.).

მეორე სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარად გამოყენებულია სტილიზებული ხის ტოტები, პატარა ზომის ფოთლებითა და ყვავილებითურთ („ი“—გვ. 4, „რ“—გვ. 13, „ხ“—გვ. 16, „ძ“—გვ. 131, „ო“—გვ. 158.).

მესამე სახეს მიეკუთვნებიან ის ასოები, რომელთა მიწარად გამოყენებულია სტილიზებული ღერო-ფოთლოვან-ყვავილოვანი ჩუქურთმა, რომელიც სხვადასხვა სახის გეომეტრიულ ფიგურებადაა დამუშავებული („ს“—გვ. 8, „ა“—გვ. 44, „მ“—გვ. 64, „შ“—გვ. 305 და „ე“—გვ. 383.).

მეოთხე სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარად გამოყენებულია ბაროკოს სტილისათვის დამახასიათებელი ორნამენტთა („რ“—გვ. 26, „რ“—გვ. 28—ეს ორი „რ“ სრულებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, „ზ“—გვ. 233, „გ“—გვ. 308 და „გ“ გვ. 311—ამ შემთხვევაშიც ორი „გ“ განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი გრაფიკული მოხაზულობით).

მეხუთე სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარად გამოყენებულია სტილიზებული ორნამენტალური ბადე, რომლის ქვედა ნაწილში ადამიანის სახეა გამოხატული („მ“—გვ. 91, „თ“—გვ. 289.).

მეექვსე სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარზე გამოსახულია ვაზი მტევნებითურთ („მ“—გვ. 50, „პ“—გვ. 362.).


მეშვიდე სახისაა ის ასოები, რომელთა მიწარად გამოყენებულია სხვადასხვა სახის ყვავილთა სტილიზებული გვუფი. („ვ“—გვ. 314, „ღ“—გვ. 339 და „უ“—გვ. 356.).



გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი და ხეზე ამოკვეთილი თავი ასოები მნახველს იზიდავს თავისი სისადავითა და სინატიფით. მეტად ორიგინალურ კომბინაციებშია მოკმეული თავი ასოთა მიწარი. წიგნის თავი ასოთა მხატვრულ გაფორმებისათვის ყვაელოვანი მიწარი ტატიშვილის მიერ წინასწარ მოფიქრებულადაა შედგენილი. მან „ვისრამიანის“—ამ სამიჯნურო ნაწარმოების შინაარსს ყვაელოვანი სამყარო აღბათ იმიტომ შეურჩია, რომ მისთვის ყვაელები და სიყვარული ურთიერთ განუყოფელი ცნებებია. ტატიშვილს სურდა, ამ ფოთლებითა და ყვაელებით ხაზი გაესვა ნაწარმოებში ასახული სიყვარულის ღრმა გრძნობისათვის, რომელიც მთელი თხზულების სტიმულად გვევლინება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ 1938 წელს, როდესაც „ვისრამიანის“ მეორე გამოცემა გამოქვეყნდა, გამომცემლებმა მიზანშეწონილად სცნეს და უცვლელად გაიმეორეს ტატიშვილის მიერ პირველ გამოცემისათვის შედგენილი თავი ასოები.

როგორც ვხედავთ, ტატიშვილი 1883, 1884 წლებისათვის საფუძვლიანად ეუფლება გრაფიკულ და ქსილოგრაფიულ ხელოვნებას. იგი არ კმაყოფილდება თავი ასოთა მხოლოდ ერთი, განსაზღვრული ტიპის შექმნით. ტატიშვილი ქმნის თავი ასოთა მრავალ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეობას, რითაც უდაოდ ამდიდრებს იმ დროს გამოსული ქართული წიგნების დეკორს.





იდი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ ტატიშვილს ქართული და არაქართული ეურნალ-გაზეთების გაფორმების საქმეში. მე-19 საუკუნის 80-იან წლებიდან დაწყებული, ვიდრე ტატიშვილის სიკვდილამდე, არ გამოსულა თითქმის არც ერთი ილუსტრირებული ან მხატვრულად გაფორმებული გამოცემა, რომელშიც ტატიშვილს არ მიეღოს მონაწილეობა. ტატიშვილს, რომელმაც, პატიოსანი შრომის შედეგად, საზოგადოების თვალში კეთილსინდისიერი და იმ დროს ყველაზე უფრო ძლიერი მხატვარ-ქსილოგრაფის სახელი მოიხვეჭა, სიამოვნებით აძლევდნენ გამომცემლები დაკვეთებს, მთლიანად ან დობდნენ მათი გამოცემების მხატვრული გაფორმების საქმეს.

პირველი გაზეთი, რომლის მხატვრული გაფორმებით ტატიშვილმა ბიძგი მისცა, საერთოდ, ქართულ ეურნალ-გაზეთების გაფორმების ფრიად მნიშვნელოვან და საკირო საქმეს, „თეატრი“ იყო.

ყოველკვირეული ლიტერატურული და მხატვრული გაზეთის— „თეატრის“ პირველი ნომერი 1885 წლის 14 ივლისს გამოვიდა. გაზეთის დანიშნულება იყო დაწერილებით აეწერა ადგილობრივი თეატრების მდგომარეობა, თვალყური ედევნებია ლიტერატურის განვითარებისათვის. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა რეცენზიები პიესებისა და წარმოდგენების შესახებ, ბიბლიოგრაფები, გამოჩე-

ნილ პირთა ბიოგრაფიული ცნობები, წერილები ქართულ, რუსულ და სომხურ თეატრებზე, ლიტერატურული ნაწარმოებები, გამოცანები, რეზუსები, შიარები და სხვა.

„თეატრი“ წერდა, რომ იგი „მცხნად ისახავდა განეკურნა საზოგადოება იმ სენისაგან, რომელიც აბრკოლებდა მის წინსვლასა და განვითარებას“. ეს სენი კი, გაზეთისავე სიტყვით: „უსაქმურობა, უთავბოლოება და უცოდინარობა იყო“¹.

მიუხედავად იმისა, რომ ისეთ პატარა ორგანოს, როგორც „თეატრი“ იყო, სინამდვილეში არ შეეძლო შეესრულებინა თავისთავზე აღებული ასეთი გრანდიოზული ამოცანა, მან მაინც გარკვეული წვლილი შეიტანა საზოგადოების განვითარებაში.

პირველად გრ. ტატიშვილმა გაზეთისათვის სათაური დაამზადა. მოზრდილი შავი ასოებით შედგენილი სათაური—„თეატრი“ კამპარისებურად ერთკუთხედიან გვერდის ზევითა ნაწილს. სიტყვის პირველი და ბოლო ასო შემკულია ფოთლოვანი ხეულებით და ერთ მთლიანობაში ჰკრავს სათაურს. ამით გაზეთი მეტად მდიდრულ იერს იღებს. ეს სათაური ორი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ, გაზეთის ფორმატის შემცირების გამო, ტატიშვილს მოუხდა მეტად საღა ასოებისაგან შედგენილი ახალი სათაურების დანზადება.

ტატიშვილი მტკივნეულად განიცდიდა საზოგადოების ყველა მახინჯ გამოვლინებას. გრიგოლი, რომელიც სოციალური უთანასწორობის გამწვავების მოწამე გახდა, კარგად ხედავდა თუ რა ექსპლოატაციას უწევდნენ მშრომელებს, თუ როგორ ატყუებდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ ისედაც დაბეჩავებულ გლეხობას; და თუშკა გადამწვეტი ნაბიჯის გადადგმა გლეხთა ინტერესების დასაცავად არ შეეძლო, იგი, შეძლებისდაგვარად, მაინც იბალებდა ხმას უსამართლობის წინააღმდეგ. ტატიშვილის პროტესტი მკვეთრად გამოვლინდა მას შემდეგ, რაც მან, თავის ნაწარმოებებში, ცხოვრების სინამდვილის ასახვა დაიწყო. ტატიშვილის სულისკვეთება ნათლად ჩანს „თეატრში“ დაბეჭდილ სურათ „გლეხის ოჯახიდან“, რომელშიც ავტორი ილაშქრებს გაუნათლებელი და დაბეჩავებული ხალხის ჩაგვრისა და, განსაკუთრებით, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. სურათზე გამოსახულია ჩარდახიანი შურემი, რომელშიც წყვილი კამეჩია შებმული. შურემზე მოჩანს ადამიანთა ფიგურები. სურათს თან ერთვის ტატიშვილისავე ლექსი:

¹ „თეატრი“, 1885 წ., № 2, გვ. 23.

მეპეტეჩი

მეპეტეჩი

მეპეტეჩი

მეპეტეჩი

„ზრომის შემდეგ სვიმონასა
გახდომია დედა ავათ
მატყუარა მკითხავს უთქვამს,
წადით არბოს¹ სალოცავად“.

აქ, ტატიშვილი გაბედულად ლაპარაკობს მშრომელი ხალხის საელალო მდგომარეობის შესახებ. გლეხი სვიმონა, რომელიც შრომით წლებზე ფეხს იდგამს, ეკლესიისა და არსებული წყობილების აღვირახსნილი ქადაგების მსხვერპლი ხდება. სვიმონას სახით ტატიშვილს გამოყვანილი ჰყავს მთელი მშრომელი საზოგადოება, რომელიც ცრურწმენით შეპყრობილი, ბრმად მიჰყვება ცხოვრების მდინარებას, ვერ ამჩნევს იმ მიზეზებს, რომლებიც მის ამ სალათას ძილს თავგამოდებით ნანას უმღერიან.

„გლეხის ოჯახიდან“ ტატიშვილის მიერ ხელმოწერილია ორი სახით: ერთია—„გ. ტატივეი“, მეორე—„ძიგარო“. ეს უკანასკნელი პირველად ამ ნაწარმოებზე გვხვდება.

გრიგოლ ტატიშვილისათვის ნეტსახელად „ძიგაროს“ შერქმევა თამამშვიის ქარვასლაში არსებულ თეატრთანაა დაკავშირებული. როგორც ვიცით, თეატრის სცენიდან ათეული წლების განმავლობაში ავრცელებდნენ საქართველოში ევროპულ და რუსულ კულტურას. ამიტომ მან გარკვეულად პროგრესული როლი ითამაშა ჩვენში, რადგან ქართველი საზოგადოება სწორედ მისი საშუალებით გაეცნო ვერდის, როსინის, დონიციეტისა და სხვათა შესანიშნავ კმნილებებს.

სიმღერები ამ კომპოზიტორთა ოპერებიდან მეტად პოპულარული გახდა თბილისის მოსახლეობაში. მაგალითად, „სეველიელი დალაქიდან“ ფიგაროს ცნობილი არია, საყვარელ სიმღერად გადაიქცა იმ დროს. ამის შესახებ მიხეილ თუმანიშვილი იგონებდა: „ქუჩიდან ჩამორბოდა ერთი იმერელი მუშა და დასძახოდა: ფიგარო იქა, ფიგარო აქა, ფიგარო ზევით, ფიგარო ქვევით! ასე სულ გადარეულან, ყველას მოსდებია ოპერის რალაც სწეულება. პატარა ბიჭების კვილმა „ლა დონე მობილეს“ ხმაზე, ხომ ილაჯი წაიღოო“.

სწორედ ამ ფიგაროთი გატაცების პერიოდში შეარქვეს ტატიშვილს მეტსახელად „ძიგარო“ იტალიელმა მსახიობებმა, რომლებთანაც დიდი მეგობრობა ჰქონდა გრიგოლს. ამის შემდეგ ქართველი საზოგადოება ტატიშვილს მხოლოდ ამ სახელით თუ იცნობდა—რამდენიმე სიტყვა ტატიშვილის ავტოგრაფების შესახებ:

¹ არბო—ქ. გორის მახლობლად არსებული უძველესი სალოცავი.

² თუმანიშვილი, მ. თხზულებები, ტფილისი, 1881 წ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის 'პირველ ათეულ წლებში გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მრავალი სურათის, თავი ასოს, თავსამკაულისა და ბოლოსამკაულის შემქმნელისა და ხეზე ამომკვეთის ეინაობას, მკითხველები უმთავრესად ანაბეჭდების მარჯვენა მხარის ქვედა კუთხეში ოდნავ გვირდზე გადახრილი ქართული ასო „ტ“-თ იგებდნენ. ეს ინიციალი ტატიშვილის დანარჩენ ავტოგრაფებს შორის ყველაზე უფრო პოპულარული იყო იმ დროს.

ტატიშვილის ყველაზე ადრეული ავტოგრაფი ჩვენ ჯერ კიდევ 1868 წელს დაბეჭდილ ცირკის აფიშაზე გვხვდება. აქ, მხოლოდ ტატიშვილის სახელისა და გვარის დასაწყისი რუსული ასოები „Г. Т.“ არის მოცემული. რუსული ასოებით შედგენილი ავტოგრაფები გვხვდება აგრეთვე „ყარამანიანში“ — ყარამანის პორტრეტზე „Т. Г.“¹ და იმ სურათზე, სადაც ყარამანისა და სპანდიერ ბარის ბრძოლაა გამოხატული. სურათის კლიშეზე ტატიშვილს თავისი ინიციალები ჩვეულებრივად, პირდაპირ ამოუჭრია, რის გამოც ანაბეჭდზე ისინი შებრუნებული სახით გამოსულან. „ყარამანიანში“ გვხვდება რუსული ავტოგრაფის მესამე სახეც. აქ ასოები უკვე მონოგრამის სახითაა მოცემული. ხშირად ტატიშვილი პირდაპირ „Татиев“-ს აწერდა. ტატიშვილის ავტოგრაფებიდან ჩვენ კიდევ რამდენიმე სახეს ვიცნობთ: ერთია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნეტად პოპულარული ქართული „ტ“, შემდეგ „გ. ტ.“, „ტატიევი“, „გ. ტ-შვილი“, „ტატიშვილი“, „ჭიგარო“ და სხვა.

გრიგოლის მიერ ამოკვეთილი მეორე გრაფიურა, რომელიც „თეატრის“ ამავე ნომერში დაიბეჭდა, (1885 წ. № 2) ელუარდ მიულერის¹ ქანდაკება „მიჯაჭველი პრომეთეოსი“ იყო. ტატიშვილმა სპეციალურად იმ მიზნით დაამზადა ეს სურათი, რომ ამით ქართველ ხალხში კვლავ ძველებურად გაელვძებინა თავისუფლების მედგარი სული და ბრძოლის ცეცხლით აენთო იგი.

ტატიშვილი „თეატრის“ მხოლოდ 1885 და 1886 წლის დამდეგს გამოსულ ნომრების მხატვრულ გაფორმებაში იღებს მონაწილეობას. მართალია, ტატიშვილის მიერ ამოკვეთილი კლიშეები მომდევნო წლების ნომრებშიც იხმარებოდა, მაგრამ რადგანაც გაზეთის მხატ-

¹ ელუარდ მიულერი (1828—1895) — გამოჩენილი გერმანელი მოქანდაკე-1857 წლიდან ცხოვრობდა რომში, სადაც შექმნა რიგი შესანიშნავი ქანდაკებებისა. ამათგან აღსანიშნავია: „სატირა ტრაგიკულ ნიღაბში“, „შეშინებული ნიმფა“, „ევა ბავშვებით“ და ცნობილი „პრომეთე და ოკეანიდები“.

ვრული გაფორმების საკითხში მათი როლი მეტად უმნიშვნელო იყო, ჩვენ ამ ნომრების გარშემო მკითხველთა ყურადღებას აღარ გავაჟი-ხვილებთ.

1885 წელს გამოსულ „თეატრის“ ნომრებში მოთავსებული ილუსტრაციების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. აქ გვხვდება გამოჩენილ პირთა პორტრეტები (მოლიერი, შექსპირი, სეიფტი, ნ. ოსტროვსკი)¹, პეიზაჟები („სალამო ტყეში“, „ქალაქ ქუთაისის ზემონაწილი“) და ლიტერატურულ ნაწარმოებებისათვის განკუთვნილი ილუსტრაციები („და წყაროსაკენ ყელმოღერებით მარდი ირემი მიისწრაფოდა“) და სხვა.

სურათები მეტად მოქნილი ხელითაა შესრულებული. აქედან უკვე ცხადად იგრძნობა, რომ ტატიშვილი საესეებით დაეუფლა ქსილოგრაფიულ ტექნიკას; იგი თავისუფლად და ოსტატურად ჰკვეთს ხეზე, იცავს ყველა იმ ნორმას, რაც დახელოვნებულ და პროფესიონალ მხატვარ-ქსილოგრაფს მოეთხოვება.

„თეატრში“ ილუსტრაციებს გარდა², საემარისი რაოდენობითაა გამოყენებული თავი ასოები და ბოლოსამკაულები.



1885 წლის ნომრებში უმთავრესად სამი ტიპის თავი ასოები გვხვდება:

პირველ ტიპს ეკუთვნის ისეთი თავი ასოები, რომელთაც აქვთ შავი და ფართე ტანი, ხოლო გარშემო ერტყმის შავი ხაზობრივი აშია („ს“—„თეატრი“, № 1, გვ. 1; „შ“—№ 4, გვ. 33; „მ“—№ 1, გვ. 10.).

მეორე ტიპს ეკუთვნის ისეთი თავი ასოები, რომელთაც ტანი თეთრი აქვთ, ხოლო ჩრდილი შავი და ფართე. („გ“—№ 15, გვ. 145; „რ“—№ 15, გვ. 148; „მ“—№ 18, გვ. 171.). ზოგიერთ ასოზე ადგილ-ადგილ დამატებულია მოჩუქურთმებული ხეეულები, რომლებიც ტატიშვილს აღებული აქვს ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა დეკორიდან.

¹ გრიგოლ ტატიშვილს ხშირად უხლებოდა ქართველი თუ არა ქართველი საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების შესრულება. მაგალითისათვის, აღნიშნონთ შემოქმედების ბოლო პერიოდში დახატული და ხის დაფაზე ამოკვეთილი პორტრეტი გიორგი წერეთელისა; იგი გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1900 წ., 16 იანვარი, № 1016) მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

² „თეატრის“ ნომრებში მრავლად გვხვდება ჩვენი გამოჩენილი მწერლების პორტრეტები, რომლებთაგან უმრავლესი შესრულებულია მხატვარ ალ. ბერიძის მიერ.



გაზეთ „თეატრისათვის“ შესრულებული თავი ასოები (ჯრავიურა ზეზე).

მესამე ტიპს ეკუთვნის ხის ტოტების მოხაზულობიდან შედგენილი ისეთი თავი ასოები, რომლებიც დამატებით შემკულია ლეროებით, ფოთლებითა და ყვავილებით („ბ“—№ 14, გვ. 130; „რ“—№ 19, გვ. 202; „ვ“—№ 25, გვ. 253.).

1886 წლის დასაწყისში ასოთა მეოთხე ტიპიც გვხვდება. აქ ასოები გამოხატულნი არიან შავ ოთხკუთხა მიწარზე, რომელზედაც ერთმანეთში გადახლართული სხედასხვა სახის ყვავილები და ფოთლებია მოცემული. მიწარზე დაყრილია თეთრი წინწყლები, რითაც შავი ტონალობა მეტად რბილდება და ნაზი ხდება. ასეთი თავი ასოებია, მაგალითად, „ა“ (№ 8, გვ. 80), „გ“ (№ 11, გვ. 113), „ლ“ (№ 18, გვ. 188), „ლ“ (№ 21, გვ. 218), „ძ“ (№ 21, გვ. 222) და სხვა.

ბოლოსამკაულებიდან ზოგი სურათოვანია, ხოლო ზოგი კი ორნამენტალური. პირველს ეკუთვნის, მაგალითად, „ხელის მტევანი კალმითურთ და სამელნე“ („თეატრი“, 1885 წ., № 12, გვ. 114) და „ია“ (№ 19, გვ. 127), მეორეს, ერთ სწორ ხაზზე განლაგებული ხეივლები¹, წრეები, გეომეტრიული ფიგურები და სხვა.

გარდა „თეატრისა“ ტატიშვილი მონაწილეობს თითქმის ყველა პერიოდული გამოცემის მხატვრული გაფორმების საქმეში. გაზეთები: „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ბრძოლა“, „გლეხი“, „მიწა“, „დრო“, „ფასკუნჯი“, „La Caucase illustré“ (ეურნალი „ილუსტრირებული კავკასია“ გამოდიოდა თბილისში ფრანგულ ენაზე), საყმაწვილო ეურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“, ეურნალი „მოამბე“, სომხური ეურნალ-გაზეთები „მშაკი“, „ალბიური“, „თარაზი“, „ზეარქალიკი“ და მრავალი სხვა სისტემატურად ფორმდებოდა ტატიშვილის მიერ შედგენილი და ხეზე ამოკვეთილი სურათებით, თავი ასოებით, თავსამკაულებით, ბოლოსამკაულებით, აშიებიტა და სათაურებით.

¹ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოცემების გადათვლიერების დროს ხშირად შეხვდებით მცირე ზომის ბოლოსამკაულებს, რომელთა უმრავლესობა ერთ სწორ ხაზზეა შედგენილი. ბოლოსამკაულებს ყველა შემთხვევაში გააჩნიათ თავისი ცენტრი, რომლის ორივე მხარეს პროპორციულად ნაწილდება ზანებისა თუ გეომეტრიული ფიგურებისაგან შედგენილი სხვადასხვა სახის ჩუქურთმები. ასეთი სახის ბოლოსამკაულები დიდი რაოდენობით აქვს შედგენილი გრიგოლ ტატიშვილს და სხვა მხატვრებსაც, რის გამო დღეისათვის მეტად ძნელდება გარკვევა იმისა, თუ ამათგან რომელი ეკუთვნის გრ. ტატიშვილს. ბოლო ხანებში ეს ბოლოსამკაულები სტანდარტულად იხმარებოდა წიგნების და ეურნალ-გაზეთების გაფორმების დროს. ზოგ მათგანს შემდეგ ადგილზევე აღგენდნენ ხოლმე თვით სტამბის მუშაკებიც.

ჩვენ, დასახელებული ჟურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმების აღწერაზე არ შევჩერდებით, რადგან მათი სათითაოდ გარჩევა წინამდებარე მონოგრაფიას მეტად გადატვირთავდა და დაამძიმებდა. რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ ზოგიერთ აღნიშნული ჟურნალ-გაზეთის არსისა და მიზანდასახულობის შესახებ, რათა ამით მკითხველს საშუალება მივცეთ გაკვირით მაინც წარმოიდგინოს ამ ჟურნალ-გაზეთების მხატვრულ გაფორმებაში ტატიშვილის მონაწილეობისა და როლის მნიშვნელობა.

ჩვენ თანმიმდევრულად ჩამოვთვლით ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთს, მათი პროფილის აღნიშვნით. ჟურნალ-გაზეთებს დავალაგებთ მათში ტატიშვილის მონაწილეობის დაწყების დროის მიხედვით:

1. მრავალრიცხოვან გაზეთს შორის, რომელთა მხატვრულ გაფორმებაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული გრიგოლ ტატიშვილს, მის მიერ პირველად გაფორმებული გამოცემა ქართული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „ივერია“ იყო. გაზეთის ფუძემდებელი და რედაქტორი იყო ი. ქავკავაძე. „ივერია“ აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა საქართველოში ცარიზმის რუსიფიკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, იცავდა ქართული ენისა და ლიტერატურის დამოუკიდებლობას.

ტატიშვილი გაზეთისათვის ამზადებს სათაურს, რომელიც მონოგრაფიის სახით არის წარმოდგენილი. ეს სათაური პირველად გამოქვეყნდა 1878 წელს და იბეჭდებოდა ჟურნალის არსებობის მთელ მანძილზე.

2. გაზეთი „დროება“ გამოდიოდა 1866—1885 წლებში გ. წერეთლის (1866—1876), ს. მესხის (1869—1873; 1874—1879; 1882—1883), კ. ლორთქიფანიძის (1873—1874), ი. ქავკავაძისა (1880—1881) და ი. მაჩაბლის (1883—1885) რედაქტორობით. „დროება“ ქართველი ბურჟუაზიული ინტელექციის პროგრესული მიმართულების—„მეორე დასის“ ორგანო იყო. 1885 წლის სექტემბერში გაზეთი დახურული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ბრძანებულებით.

ტატიშვილი გაზეთის გაფორმებისათვის 1880 წლიდან იწყებს მუშაობას. მის მიერ გაკეთებულია გაზეთის სათაურის კლიშე.

3. „ნობათი“—პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი—გამოდიოდა 1883—1885 წლებში. 1883 წელს გამოვიდა ერთი სანიმუშო ნომერი, 1884 წელს 12, ხოლო 1885 წელს 5 ნომერი.

ტატიშვილის ჟურნალში მოლფაწეობის შესახებ ჩვენ უკვე ზემოდ გვექონდა საუბარი, ამიტომ გამეორების თავიდან აცილების მიზნით, აქ მასზე აღარაფერს ვიტყვი.

4. „თეატრი“, ყოველკვირეული სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1885—1890 წლების მანძილზე. 1885—1886 წლებში რედაქტორობდა ვასო აბაშიძე, 1886 წლის 8 აპრილიდან 28 სექტემბრამდე დროებითი რედაქტორის თანამდებობა ეკავა ვალ. გუნიას, ხოლო 1887 წლიდან რედაქტორი იყო ალექსანდრე ნებიერიძე. „თეატრი“ დაარსა ვასო აბაშიძემ. სულ გამოვიდა 178 ნომერი.

„თეატრის“ მხატვრული გაფორმების შესახებ ჩვენ უკვე ზემოდ გვექონდა ლაპარაკი.

5. „მშაქი“ („მშრომელი“) — ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. აღმოცენდა, როგორც ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1872—1920 წლებში. გაზეთის ფუძემდებელი, რედაქტორი (1892 წლამდე) და გამომცემელი იყო ბურჟუაზიული პუბლიცისტი გრიგოლ არწრუნის. მე-19 საუკუნის 70—90 წლებში გაზეთში თანამშრომლობდნენ პროგრესული მწერლები და საზოგადოებრივი მოღვაწენი. „მშაქის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები სომხურ ბურჟუაზიას მოუწოდებდა მაგალითი აეღო ევროპულ კაპიტალიზმიდან. გაზეთი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა რუსეთის დახმარებით სომხების თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების საკითხს.

ტატიშვილი გაზეთში 1885 წლიდან მონაწილეობდა. მის მიერ გაკეთებულია გაზეთის სათაური, რომელიც მოდიოდა შავი ასოებით-საგანაა შედგენილი.

6. „La Caucase Illustré“ („ილუსტრირებული კავკასია“) გამოდიოდა თბილისში 1889—1902 წლებში თავში ერთხელ¹. რედაქ-

¹ 1900 წელს ჟურნალის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, „ახალი ამბების“ განყოფილებაში, გამოქვეყნებულია ჟურნალის პროგრამა და აგრეთვე ცნობა 1891 წელს მისი დროებითი დახურვის შესახებ:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს ბ-ნ მურიესთვის გამოსცეს ტფილისში ფრანგული ჟურნალი „La Caucase illustré“ ჟურნალს საგნად ექნება კავკასიის შესწავლა. პროგრამა მისი შემდეგია: 1) ისტორია, 2) ეთნოგრაფია და ეთნოლოგია, 3) კავკასიის ცხოველები და ფრინველები და მცენარეულები, 4) არხეოლოგია და ზელოენება, 5) ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია, 6) მეცნიერება და მრეწველობა. ეს ჟურნალი გამოდიოდა 1889 წლიდან, მაგრამ 1891 წელს ბ-მა მურიემ შეაჩერა მისი გამოცემა საზღვარგარეთ წასვლის გამო“. (ვახ. „ცნობის ფურცელი“, № 1011, 1900 წ., 11 იანვარი. ახალი ამბავი.).

ტორი იყო ი. მურიე, გამოცემელი მ. მარტიროსიანი. ჟურნალში უდიდესი ადგილი ჰქონდა დათმობილი სავაჭრო და საწარმოო ფირმების განცხადებებსა და რეკლამებს; ჟურნალში იბეჭდებოდა აგრეთვე ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის წერილები.

ტატიშვილი ჟურნალში მონაწილეობს მისი დაარსების პირველი დღიდან. მის მიერ ჟურნალისათვის დამზადებულია სხვადასხვა ხასიათის მრავალი კლიშე. ჟურნალში პირდაპირ გადმობეჭდილია ტატიშვილის მიერ სხვა გამოცემებისათვის შესრულებული თავი ასოები, ბოლოსამკაულები და თავსამკაულებიც; მაგალითად: „ილუსტრირებული კავკასიის“ პირველ ნომერში (1889 წ.) ჩვენ ვხედავთ 1888 წელს გამოსულ ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“ ნახზარ წიგნის მხატვრული გაფორმების მრავალ ელემენტს და ა. შ.

7. „ჯეჯილი“ — საყმაწვილო ნახატებიანი ყოველკვირეული ჟურნალი. „ჯეჯილის“ გამოცემა დაიწყო 1890 წელს და გამოდიოდა 1923 წლამდე (1921 წელს ჟურნალი არ გამოსულა.). რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

ტატიშვილი ჟურნალში მონაწილეობს 1890 წლიდან.

8. „კვალი“ სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი იყო. განუწყვეტლივ გამოდიოდა კვირაში ერთხელ 1893—1904 წლების მანძილზე. იბეჭდებოდა თბილისში. რედაქტორი 1893—1900 წლებში იყო გიორგი წერეთელი.

ტატიშვილი თავის თუ სხვა მხატვრების მიერ შესრულებულ თავსამკაულებს, თავი ასოებს, ილუსტრაციებს და სხვა ელემენტებს ჟურნალში აქვეყნებს მისი დაარსების დღიდან.

9. „მომბე“ გამოდიოდა 1894—1905 წლებში. იბეჭდებოდა თბილისში თვეში ერთხელ. რედაქტორი იყო ალექსანდრე კყონია, გამოცემელი — ქართულ წიგნების გამოცემელ საზოგადოების რწმუნებული ნ. ლოლობერიძე (1894 წ.), შემდეგ (1895 წლიდან) — ალ. ჯაბადარი (საზ. თავმჯდომარე).


ტატიშვილი ჟურნალისათვის ხეზე კვეთს სათაურს, რომელიც სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალის ნომერებში. ჟურნალში იბეჭდებოდა ტატიშვილის მიერ შედგენილი და ხეზე ამოკვეთილი მრავალი სურათიც.

10. „ბრძოლა“ ქართველ სოციალისტ-დემოკრატთა კავშირის ორგანო იყო. იბეჭდებოდა ბაქოში, კავშირის საილუმლო სტამბაში

1901—1902 წლების მანძილზე. გაზეთი ბოლშევიკური მიმართულების პირველ არალეგალურ ორგანოდ ითვლება.

ტატიშვილი გაზეთისათვის ანზადებს მხოლოდ სათაურს, რომელიც მოზრდილი შავი ასოებისაგანაა შედგენილი.

11. „ნაკადული“, რომელიც გათვალისწინებული იყო მცირე-წლოვან ბავშვებისათვის, გამოდიოდა 1904—1927 წლებში. 1917 წლამდე გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ, შემდეგ კი თვეში ერთ-



თხელ. „ნაკადულის“ მხატვრული გაფორმება იმ დროისათვის სანიმუშო იყო. ისევე როგორც „ჯეჯილში“, აქაც, გარდა ლითოგრაფიული ხერხით დაბეჭდილ ილუსტრაციებისა, მრავლად გვხვდება ტატიშვილის მიერ ქსილოგრაფიული გზით დამზადებული კლიშეებით დაბეჭდილი ილუსტრაციები, სხედასხვა სახის თავი ასო, თავსამკაული, ბოლოსამკაული, რებუსი და სხვა.

12. „გლები“. გამოდიოდა მხოლოდ 1906 წელს. ამ ყოველკვირეული საგლებო გაზეთის რედაქტორი იყო სამსონ ფირცხალავა. „გლები“, როგორც სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი საპროპაგანდო ორგანო, ხელისუფლების განკარგულებით დახურული იქნა 1906 წლის 3 ივლისს.

ტატიშვილი გაზეთში მონაწილეობდა მისი არსებობის მთელ მანძილზე.

13. „მიწა“ ყოველკვირეული საგლებო გაზეთი იყო. გამოდიოდა თბილისში 1906—1907 წლებში (სტამბა „იდეალი“). „მიწა“, რომელიც სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ პოპულარულ საპროპაგანდო გაზეთად ითვლებოდა, იცემოდა დახურული „გლების“ ნაცვლად. გაზეთის რედაქტორი სამსონ ფირცხალავა იყო; ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად გრიგოლ ტატიშვილი მუშაობდა. ორი წლის განმავლობაში გამოვიდა 35 ნომერი. დაიხურა ხელისუფლების განკარგულებით. მის მაგივრად იცემოდა „ახალი ქვეყანა“ (1907 წ.).

ტატიშვილის გაზეთის რედაქტორ-გამომცემლობასთან დაკავშირებით, „მიწას“ მხატვრული გაფორმებისა და მასში ტატიშვილის მონაწილეობის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

14. ყოველკვირეული სალიტერატურო-სამხატვრო გაზეთი „ფასკუნჯი“ იბეჭდებოდა 1908—1909 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი იყო გრ. ტატიშვილი. „ფასკუნჯი“ 1908 წელს იცემოდა გაზეთის სახით, 1909 წელს კი გამოდიოდა 16 გვერდიან ნაკვეთებად. ორი წლის მანძილზე გამოვიდა 25 ნომერი. 1910 წელს გამოსულ თვიურ გამოცემაში გრ. ტატიშვილს აღარ მიუღია მონაწილეობა. „ფასკუნჯთან“ გრ. ტატიშვილის დამოკიდებულების საკითხს განვიხილავთ ქვემოთ.

და მრავალი სხვა.

როგორც დავინახეთ, ტატიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1878 წლიდან გამოსულ ქართულ და არა ქართულ ეურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმების საქმეში.

იმდენად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია ამ ეურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმება, რომ შეიძლება ეს საკითხი განხილული ყოფილიყო ცალკე შრომის სახითაც კი.





რიგოლ ტატიშვილი 1885 წელს ცახელის¹ პოემა „შალვას თავგადასავალს“ აფორმებს. წიგნი გამოსცა იმავე წლის დასასრულს (დაიბეჭდა „მელიქიშვილის სტამბაში“) ელისაბედ (ანუ ლიზა, როგორც მას გრ. ტატიშვილი ეძახდა) ლომიძემ, რომელიც ტატიშვილის პირველი ცოლი იყო. პროფესიით მსახიობი, იგი ტატიშვილთან ერთად დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. სცემდა წიგნებს,

¹ ცახელი (პარმენ ივანეს-ძე თვალქრელიძე) რაკის რაიონის სოფ. ცახში დაიბადა. განათლება მიიღო თაყის ბიძის ანტონის დახმარებით ქალაქ სტაეროპოლში, სადაც წარმატებით დაამთავრა სამოქალაქო სასწავლებელი, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო სამეურნეო სასწავლებელში. ცახელმა სტაეროპოლშივე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მან მთელი თავისი შეგნებითა და გრძნობით შეიყვარა მოზარდი თაობა. გულდასმით სწავლობდა მათ სულიერ სამყაროს და თავის ნიქსა და უნარს მათი აღზრდის საქმეს ახმარდა. 1880-იან წლებში გადმოვიდა თბილისში, დაუახლოვდა ქართველ მწერლებს ი. ჰაე-ჰაეძეს, ა. წერეთელს, ე.კ. გაბაშვილს, ი. გოგებაშვილს და სხვებს და მათი გავლენითა და შთაგონებით 1883 წლიდან გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. მალე მან თავისი გულწრფელი, ღრმა შინაარსიანი და პატრიოტული ლექსებით საზოგადოების ყურადღება მიიპყრო კიდევ: პატარა მკითხველებმა ცახელი თავის საყვარელ მწერლად აღიარეს.

ცახელი, ისევე, როგორც გრიგოლ ტატიშვილი, თავის დროზე პროგრესულ იდეებს ქადაგებდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად: 1905 წელს ცახელი თავის ბინაზე მალაქა რევოლუციონერებს, ინახავდა საბრძოლო იარაღს, ავრცელებდა პროკლამაციებს და სხვა; სწორედ ამისათვის იყო, რომ ცეცხლის ალში გაახვიეს სოფელ ცახში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის შერაზშელებმა ცახელის საცხოვრებელი ბინა. სასტიკი რეპრესიებისა და მიუხედავად იგი ბოლომდე ერთჯული დარჩა თავისი იდეებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირა კიდევ თავისი სიცოცხლე.

ასწავლიდა ქართულ ენას, უნერგავდა თავის მოწაფეებს სამშობლო-სადმი უდიდეს სიყვარულს. გარდაიცვალა 1891 წლის დასასრულს. გრიგოლ ტატიშვილს ელისაბედისაგან დარჩა ორი შვილი: იოსები (შემდეგ ცნობილი მწერალი) და შალვა. პირველი დაიბადა 1886 წლის 5 დეკემბერს, მეორე 1889 წლის 2 აპრილს. უდებოდ დარჩენილი ჩვილი ბავშვების მდგომარეობამ ტატიშვილი საგონებელში ჩააგდო. დედის მაგიერობას იგი ვერ გასწევდა და ამიტომ ლადო მესხიშვილის რჩევით შეირთო ვინმე ბილანიშვილის ქვრივი—მინა-დორა გულისაშვილი. მას პირველ კმრისაგან შვილები არ ჰყოლია და, როგორც მასალებიდან ირკვევა, იგი ტატიშვილს სწორედ შვილების გულისათვის გაჰყოლია ცოლად, რათა, როგორც იგი ამბობდა: „ცხოვრებას აზრი ჰქონოდა და ქვეყნისათვის შვილები იღებარდა“. მართალია, მინადორას განსაკუთრებული განათლება არ ჰქონია მიღებული, მაგრამ იმდროისათვის იგი მეტად ნაკითხი და განათლებული ყოფილა. მისი ძმები—ლადო და გაბო—სემინარიიდანაც დაუთხოვიათ, როგორც „არასაიმედო“ მოსწავლეები. ზესამე ძმა—იერემია—მასწავლებელი ყოფილა; იგი დღესაც ცოცხალია და სოფ. საგარეჯოში ცხოვრობს.

გრიგოლის შვილებს მინადორამ ნამდვილი დედობა გაუწია. იგი მათ რუსეთშიც კი გაჰყვა და იქ ყოველმხრივ ეხმარებოდა უნივერსიტეტში მათი სწავლის პერიოდში. წლების განმავლობაში ერთგულად უვლიდა ავადმყოფ ქმარს. გარდაიცვალა 1934 წელს.

ცახელმა პოემა „შალვას თავგადასავალი“ გადმოაქეთა-გადმოაქართულა რუსი მწერლის კახოვსკაიას ნაწარმოები „Детская шалость“-ის მიხედვით. ეს უკანასკნელი ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწის პალევის ქრესტომათია-სახელმძღვანელო „Родные отголоски“-ში იყო მოთავსებული. „Родные отголоски“-ის პირველი ნაწილისათვის ილუსტრაციები შესრულებული აქვს რუს მხატვარსა და გრაფიკოს პანოვს, ხოლო მეორესათვის მხატვარ კარაზინს.

ტატიშვილმა „შალვას თავგადასავალის“ ილუსტრაციები პანოვის სურათების მიხედვით დააქუშავა.

საბავშვო პოემა „შალვას თავგადასავალი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. იგი ბავშვებს შრომისმოყვარეობისაკენ, სწავლისაკენ მოუწოდებს, უკრძალავს უფროსებთან აბეზარ, უზრდელურ და მოურიდებელ საქციელს.

ტატიშვილი როგორც შემოქმედებით, ისე პირადი ცხოვრებითაც მკვიდროდა დაკავშირებული ცახელთან. ჯერ კიდევ „შალვას თავგადასავალის“ განოცემამდე დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს და

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთმანეთის დიდი პატივისცემლები დარჩნენ.

პარმენ ივანეს-ძე თვალკრელიძეს, ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც ნიჭიერ პოეტს, გულისხმიერ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს.

ტატიშვილისა და ცახელის დაახლოვება დაკავშირებულია 1883 წლის დასასრულს „ნობათის“ პირველსავე ნომერში ცახელის ლექსის „მარინეს“ დაბეჭდვასთან. ლექსი დასავლეთ საქართველოში თქმული ხალხური ლეგენდიდანაა გადმოკეთებული. „ღირსეულ ლეგენდას ხალხისას ღირსეული კალამი შეხვედრია და მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის... მაღალი პოეტური კილო, ხელოვნურად დახატული, შემკული სურათებით, ისე ხელოვნურად, თითქო თვალწინ ხედავდე მათ, ღრმა დრამატიზმი და თავგანწირული სიყვარული მამულისადმი შეადგენენ უმთავრეს ღირსებას ამ ლამაზი ქმნილებიას, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს ეუბნება კაცის გონებასაც და გულსაც“—წერდა იაკობ გოგებაშვილი ცახელის „მარინეს“ შესახებ¹.

ლექსი ტატიშვილმა გაათორმა ლამაზი თავი ასო „ქ“-თი და ბოლოსამკაულით, სადაც გამოხატულია საფლავის ქვაზე მჯდომი ბუ, რომლითაც ტატიშვილმა, სიმბოლურად, იმდროინდელი უბადრუკი საყოფაცხოვრებო პირობები წარმოადგინა. პორიზონტზე, ამალღებულ ადგილას გამოსახულია ძლევის ჯვარი.

ტატიშვილი სისტემატურად ასურათებს ამავე ეურნალში დაბეჭდილ ცახელის სხვა ლექსებსა და პოემებს.

ცახელი წერდა: „ჩემი ბუნებით მე არ შემიძლია შური ვიძიო მტერზე, მაგრამ როცა ჩემი მტერი ამავე დროს მტერია ჩემი სამშობლოსი, როცა ჩემი მტერი ჩირქს ცხებს მოსწავლე ახალგაზრდობასაც, ჩემი სამშობლოს მომავლის ამ მტკიცე დასაყრდენს, მაშინ მე ძალა არ მყოფნის თავი შევიკავო... ჩვენი მსაჯული ქართველი ხალხია და ის—დღეს თუ არა ხვალ მაინც გავგასამართლებს ჩვენ. მე ვდგევარ მის წინაშე როგორც ცახელი, მის შვილებს კი ვიცავ როგორც თვალკრელიძე“. ცახელის ეს სიტყვები, რომელიც სკოლებში ქართული ენის, როგორც მოსწავლეთათვის „ზედმეტი დატვირთვის“ აკრძალვის იდეის მომხრეთა წინააღმდეგ იყო მიმართული, თავისუფლად შეგვიძლია გავავრცოთ თვით ტატიშვილის მსოფლმხედველობის მიმართაც, რადგან ტატიშვილი ისეთივე მრწამსის

¹ „დროება“, 1884 წ., № 13.


ადამიანი იყო და ისევე იბრძოდა არსებული სინამდვილის წინა-
აღმდეგ როგორც ცახელი. სწორედ ამ მსგავსმა შეხედულებებმა
განაპირობა ცახელისა და ტატიშვილის დაახლოება და მეგობრობა.


მართალია, ტატიშვილი თავისი ნიჭისა და უნარის მაქსიმალური
დაძაბვით მუშაობდა, მაგრამ მას მაინც უჭირდა ოჯახის მოთხო-
ვნილებათა დაკმაყოფილება. მიუხედავად ამისა იგი ყოველთვის შე-
ძლებისდაგვარად ეხმარებოდა თავის ნაცნობებსა და ამხანაგებს.
კერძოდ, ტატიშვილი ბევრჯერ დახმარებია ცახელს, რომელიც
განსაკუთრებით 80—90 წლებში ხელმოკლედ და გაპირვებულად
ცხოვრობდა. ტატიშვილის არქივში დაცულია თვალქრელიძის მიერ
ტატიშვილისადმი მიწერილი წერილი, სადაც იგი დახმარებას
სთხოვს გრიგოლს ტანისამოსის შექმნის თაობაზე: „თუ ძმა ხარ,
გიგო, ამ ერთხელ კიდევ გამიმართე ხელი და შემდეგ ნამუსზე შემა-
გდე“-ო—წერს იგი ამ წერილში.

„შალვას თავგადასავალში“ სულ ოცდათერთმეტი სურათია, რო-
მელთაგან ზოგი თავსამკაულად, ზოგი კი ბოლოსამკაულადაა გამო-
ყენებული; ზოგიც პირდაპირ ტექსტშია ჩართული.

წიგნის გასაფორმებლად გამოყენებულია აგრეთვე თორმეტი
მოხდენილი თავი ასო. ხშირია შემთხვევა, როდესაც ტექსტი ერთი
და იგივე ასოთი იწყება, მაგრამ ისინი თავისი მხატვრულობით
საგნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად: თავი ასო
„შ“ ოთხი სახისაა, „ე“ ორისა და ა. შ. „შალვას თავგადასავალში“
მოცემული თავი ასოები შედგენილია ტატიშვილის მიერ მანამდე
გამოცემულ წიგნებისათვის შექმნილი თავი ასოების პრინციპების
მიხედვით. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია დამატებული რამდენიმე
ახალი მხატვრული ელემენტი.

იმის გამო, რომ ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით
შეხედა „შალვას თავგადასავალს“, წახალისებულმა ტატიშვილმა
გადასწყვიტა თვით გამოეცა საბავშვო წიგნების მთელი სერია, რაც
მან შემდეგში განახორციელა კიდევ:





ველაზე უფრო ძვირფასი გამოცემა, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებიდან მოუთმენლად ელოდებოდა ქართველი ხალხი—„ვეფხისტყაოსანი“ იყო.

შოთა რუსთაველის უკედავი პოემის დასურათებული გამოცემის საკითხი ჯერ კიდევ 1880 წლის დასაწყისში დადგა დღის წესრიგში. „პირველი აზრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა, — კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წელს (მამუკა მდივნის მიერ. მ. უ.)— მაინც კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გაარკვია, ძველებური მართ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო¹.

ქართული საზოგადოების პროგრესულად განწყობილ ადამიანებს სათავეში ჩაუდგა ილია ქავჭავაძე, რომელმაც ხალხს ახალი საბრძოლო ლოზუნგი წამოუყენა:

„მას ნულარ ვტირით რაც დამარხულა,
რაც უწყალთს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...“

¹ რუსთაველი, შ.—„ვეფხისტყაოსანი“, 1888 წ., თბილისი, გვ. 359.

ჩვენ უნდა ვსდით ვხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,

ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“

სწორედ ამიტომ, ქართული ინტელეგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა: იონა მეუნარგიამ, ივ. მაჩაბელმა, ალ. სარაჯიშვილმა, პ. უშიკაშვილმა, გ. თუმანიშვილმა, გ. ქართველიშვილმა, გ. ტატიშვილმა და მრავალმა სხვამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გადასწყვიტეს „ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშოდ გამოცემა, რათა ამით ერთხელ კიდევ ნათელ ეყოს ქართველი ხალხის კულტურული დონის სიძლიერე და მაღალი ბუნება. სრულყოფილად გაფორმებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისადმი სწრაფვა და, საერთოდ, წიგნების მხატვრული გაფორმებისადმი შეტი ყურადღებისა და დაინტერესების გამოჩენა, თვით ქართული საზოგადოების ინტელექტუალური დონის, მოწინავე ინტელეგენციის განვითარებული გემოვნების შედეგი იყო.

სვანეთში მყოფი იონა მეუნარგია „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორს ივანე მაჩაბელს, პოემის პირველი საცდელი ფორმის დაბეჭდვასთან დაკავშირებით 1887 წელს წერდა: „... ეს პირველი გამოცემა არის „როშკოშისა“, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმეო?“ — იონა მეუნარგიას, ისევე როგორც ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს, კარგად ესმოდა, რომ მიუხედავად დიდი ხარჯებისა უკვე დაღვა დრო იმისათვის, რათა ქართველ მკითხველისათვის წესიერად დაბეჭდილი და ლამაზად გაფორმებული წიგნები მიეწოდებიათ. მეუნარგია, რა თქმა უნდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა უნაკლო არ იქნებოდა და ამიტომაც ორაზროვნად წერდა იმავე წერილში: „ჩვენი თაობის შეცდომაზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის“-ო.

ქართული პოეტური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშის — „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა გიორგი ქართველიშვილმა იკისრა.

გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილი (1830—1901 წ. წ.) თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და ქველმოქმედი ადამიანი იყო. მართალია, მის მთავარ საქმიანობას კომერსანტობა შეადგენდა, მაგრამ პირად სარგებლობაზე მაღლა იგი ყოველთვის საზოგადოების კეთილდღეობის საქმეს აყენებდა და შემოსავლის უმეტეს ნაწილს, როგორც წესი, საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა. მან თავის დროზე გორიდან ატენამდე რკინიგზის ხაზი გაიყვანა (შემდეგ ეს გზა სურამში იქნა გადატანილი), შეაკეთა დიდუბის ეკლესია და და-

ადგმევინა იქ ახალი კანკელი და სხვა, მაგრამ ყველაზე მეტად სწავლა-განათლების საქმეს აქცევდა ყურადღებას. გ. ქართველი-შვილი სისტემატურად უმართავდა ხელს ქართულ სკოლებს შეწირულებათა გაცემის სახით, ხელს უწყობდა სახელმძღვანელოების გამოცემას და ა. შ. იგი ყოველთვის უქერდა მხარს საზოგადოებისათვის ყოველი სახის სასარგებლო წამოწყებას და მის განსახორციელებლად არასოდეს არ იშურებდა არც ძალ-ღონეს და არც სახსრებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როცა გაზეთ „დროების“ რედაქტორად ივანე მაჩაბელი დაინიშნა, ქართველიშვილმა იკისრა გაზეთის გამოცემა და არაფერს არ ზოგავდა გაზეთის ნომრების თავის დროზე და წესიერად გამოსვლისათვის. გარდა ამისა მან ღიად შეუწყობდა ხელი ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს ვახუშტის ისტორიის გამოქვეყნების საქმეშიც.

მძობლიურ ქვეყნისადმი გ. ქართველიშვილის უმწიკვლო სიყვარულის დადასტურებად, მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა უნდა ჩაითვალოს. როგორც ზაქარია ქიქინაძე თავის მონოგრაფიაში — „გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილი“ — წერს: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის აზრი პირველად გ. ქართველიშვილს დაებადა, მან ინატრა მის გამოცემა და მიტომაც იყო, რომ 10.000 მან. დახარჯა“¹. შეიძლება ზ. ქიქინაძის ეს განცხადება ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ერთი კი ნათელია — გ. ქართველიშვილს რომ არ აეღო თავის თავზე საკუთარი ხარჯებით პოემის გამოცემა, დღეს ჩვენ, შესაძლოა, არც გვეჩვენებოდა ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციები და გრ. ტატიშვილის მიერ სპეციალურად „ვეფხისტყაოსნისათვის“ შესრულებული სამკაულადიც.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გ. ქართველიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მთელი გამოცემა და კლიშეები შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რითაც ღიად შეუწყობდა ხელი საზოგადოების მომავლებისა და განმტკიცების საქმეს.

„ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ კიდევ 1885 წლიდან დაიწყო წინასწარო ხელმოწერა. მისი პირობების შესახებ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში გ. ქართველიშვილი წერდა: „რადგანაც ზოგიერთ პირთ გამოაცხადეს სურვილი წინდაწინვე ხელის მოწერისას სურათებიან „ვეფხისტყაოსანზე“, ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიათ ეხლავე შემოიტანონ ფული ან

¹ ქიქინაძე, ზ. ქართველთ მრეწველნი, 1, გიორგი დავითის-ძე ქართველი-შვილი, თბილისი, სტამბა კ. თავართქილაძისა, 1904 წ., გვ. 29.

სრულად ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათე-
ზიანი „ვეფხისტყაოსნისა“ იქნება რვა მანეთილამ ათ მანეთამდე,
ბარჯის კვლობაზე“ და ა. შ.¹

„ვეფხისტყაოსანი“ შეასანიშნავადა დასურათებული. სახელგანთ-
ქმულმა უნგრელმა მხატვარმა მიხეილ ზიჩმა (1829—1906) „ვეფხისტ-
ყაოსნის“ დასურათებას 1881 წელს მოჰკიდა ხელი.

როგორც ცნობილია, მხატვარს „ვეფხისტყაოსნის“ საგამომ-
ცემლო კომისიამ თხოვნით მიმართა პოემისათვის თორმეტი სურათი
დაეხატა, მაგრამ ზიჩმა თორმეტის ნაცვლად ოცდაათობმეტი სუ-
რათი დაამზადა და საგამომცემლო კომისიას გამოუგზავნა ამოსარ-
ჩევად: „მე თქვენ გიგზავნი თ არა თორმეტს, არამედ ოცდაათობ-
მეტ ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ რაც შესანიშნავია, ნომრობით
დასწერეთ და საჩქაროდ უკან გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქ-
მის ძალე დასრულება“².

ზიჩმა უსასყიდლოდ გადასცა ქართველ ხალხს თავისი ესკიზები.
მან „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ერთად შეჰკრიბა სპეციალ-
ურ ალბომში, რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთა: „В знак
моей симпатии и сердечной преданности грузинскому наро-
ду“.

საგამომცემლო კომისია დიდი მადლიერი იყო ზიჩისა, რომელ-
მაც მთელი თავისი გრძნობა და სიყვარული ჩააქსოვა „ვეფხისტ-
ყაოსნის“ ილუსტრაციებში:

„ვეფხისტყაოსნისათვის“ სურათების დახატვა უსასყიდლოდ იკი-
სრა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ. რომელსაც ამ დავალებისათვის
უსაზღვრო მადლობას ვუძღვნი. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფო-
ტო-ციხნოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ხოლო ფერადე-
ზიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს, ბრუნეს ქრომო-ლიტო-
გრაფიაში“ — აღნიშნულია ქართველი შვილისეულ „ვეფხისტყაოსნის“
ბოლოსიტვაობაში³.

წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის საჭირო ესკიზების დაწზა-
ლება იმ დროისათვის უკვე სახელმძხვრეკილ ქსილოგრაფსა და გრა-
ფიკოსს გრიგოლ ტატიშვილს მიანდვის.


„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე საზოგადოების დაინტერესება
იმდენად დიდი იყო, რომ ქართული პრესა დროდადრო აქვეყნებდა

¹ „დროება“, 1885 წ., № 127.

² „დროება“, 1885 წ., № 72.

³ რუსთაველი, შ. „ვეფხისტყაოსანი“, 1888 წ., გვ. 359.

პატარა-პატარა ცნობებს წიგნზე საგამოცემლო კომისიისა და სხვა პირების მუშაობის შესახებ. ამგვარი სახის ცნობა ტატიშვილის შესახებაცაა მოთავსებული გაზეთ „ღროებაში“. ცნობაში ნათქვამია: „ტატიშვილი ამეამად ხატავს და მალე ამოჭრასაც შეუდგება სურათებიანი „ვეფხისტყაოსნისათვის“ სათაურ ასოებს. ეს ასოები



სვეტიცხოველი (გრაფიურა ხეზე)

შორთულნი იქნებიან სხვადასხვანაირი ქართული ჩუქურთმებით ჩვენი ძველი ეკლესიების მხატვრობის: სამთავისის, მცხეთის, ალავერდის და სხვანი¹.

გრიგოლ ტატიშვილმა დიდი გულმოდგინეობით, ენერგიითა და სიყვარულით მოჰკიდა ხელი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გა-

¹ „ღროება“, 1885 წ., № 94.

ფორმების საქმეს. მან გადაწყვიტა, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის მხატვრული გაფორმებისათვის განოყენებია ჩუქურთმების ის მდიდარი მარაგი, რომელიც ქართველი ხალხის საუკუნოებრივი შრომისა და ფიქრის ნაყოფი იყო და რითაც ასე მდიდრულადაა გაფორმებული მრავალი ქართული ისტორიული ძეგლი.

გრიგოლმა მუშაობა იმით დაიწყო, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაფანტულ მრავალ ეკლესიასა და მონასტერზე არსებული ჩუქურთმების მოხაზულობა თედლებისდაგვარად გადმოიღო, მოაგროვა, სისტემაში მოიყვანა და გრაფიკულად დააბეჭდა. ამისათვის მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოუხდა მოგზაურობა, რასაც არა ერთი და ორი წელი მოანდომა¹.

გარდა არქიტექტურულ ძეგლებზე არსებული ჩუქურთმებისა ტატიშვილი იყენებდა ძველი ქართული ხელნაწერების მხატვრული გაფორმების მდიდრულ ელემენტებს—თავი ასოებს, თავსაძეაულებსა და ბოლოსაძეაულებს. ასე მაგალითად, მას მრავალი მხატვრული ელემენტი აქვს გადმოღებული და თავისებურად დამუშავებული ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ჩართული ასოებიდან, ნიკო ბერი ჯობინაშვილის ხუცური ჩართული ასოებიდან, მონოგრაფებიდან და სხვა.

ტატიშვილის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსიტყვაობაში წიგნის გამომცემელი წერდა: „მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულა ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მილოოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს—მცხეთას, უფლის-ციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაზენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს—თავისი წილი უღევს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი“².

ტატიშვილს აღნიშნულ ისტორიულ ძეგლებზე არსებული დეკორის გარდა სხვა ძეგლების მხატვრული გაფორმების ელემენტების შესწავლაც აინტერესებდა და რადგანაც პირადად ველარ ახერხებდა

¹ გ. ტატიშვილი, ქართული არქიტექტურული ძეგლების ორნამენტიკაზე მუშაობის დროს ხშირად ადგილზევე ხატავდა და შემდეგ ხეზე აკვეთდა ამა თუ იმ ძეგლის საერთო ხედს. საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში დაცულია ამ პერიოდში დამზადებული ორი კლიშე, რომლებზეც სვეტიცხოველისა და გელათის ეკლესიებია გამოსახული. პირველ მათგანს ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ.

² რუსთაველი. შ. „ვეფხისტყაოსანი“, 1888 წ., გვ. 359.

თვითნებური მათგანის ნახევას, გაზეთ „ივერიაში“, რედაქტორის სახელზე შექმნილი შინაარსის თხოვნა გამოაქვეყნა:

„ბატონო რედაქტორო! ვეფხის ტყაოსნის“ რედაქციისაგან მაქვს მონდობილი ასომთავრულების და სავა მორთულობის შედგენა და დაბატვა. ამისათვის ხელში მაქვს ჩვენი პატივცემული ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძისაგან, რამდენიმე ფოტოგრაფიით და სხვაფრივ გადმოღებული ჩუქურთმის პირები ჩვენის შესანიშნავის მონასტრებიდან. ამას გარდა კიდევ იოსებ დავითაშვილმა¹ გადმოცა შარშან ცხინვალის ხეობიდან ჩამოტანილი რამდენიმე სახე თავისაგან გადმოღებულის წმინდის საბას მონასტრის ჩუქურთმებისა. დიდათ დაავალბდნენ ჯერ ქართულ ხელოვნებას და მერმე ჩვენ, თუ კიდევ აქვსთ ან დავითაშვილს, ან სხვას ვისმეს და გადმოგვცემენ, რომ მით შეგვეძლოს ამორჩევა და დაბატვა უკეთესის სახეებისა უკვდავის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ მორთულობისათვის. ვსთხოვ, ვისაც აქვთ ამგვარი მხატვრობის კოპიები, გარდაცენ „ივერიის“ რედაქციას“².

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობის პროცესში ტატიშვილმა 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც სთხოვდა გამომცემლებს, რათა მათ მის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ შედგენილი მხატვრული ელემენტები წიგნის გამოსვლამდე არ გამოეყენებიათ, რათა ამით არ შეენელებიათ გამოსაცემ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ გაფორმებისადმი საზოგადოების დაინტერესება. მიუხედავად ამ განცხადებისა ტატიშვილის მიერ შედგენილი ჩუქურთმები თუ თავი ასოები სწრაფად ვრცელდებოდა და ზოგიერთ მათგანს ტატიშვილისაგან დაუკითხავად ბეჭდვდნენ კიდევ. ამ გარემოებით ტატიშვილი რა თქმა უნდა კმაყოფილი არ იყო. აღშფოთებული გრიგოლი 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერდა:

„ბატონო რედაქტორო! შარშან გამოვაცხადე საყოველთაო ვაზ. „დროებაში“, რომ ჩემ მიერ ამოჭრილს, მორთულს, თუ სადა ქართულ ასოებს, ჩემს დაუკითხავად ნურავინ ნუ გადაიღებს მეთქი და

¹ იოსებ დავითაშვილი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი იყო. აქვეყნებდა ლექსებს მაშინდელ ყურნალ-გაზეთებში, უმთავრესად გაზეთ „თეატრში“ „თეატრის მუშის“ ფსევდონიმით. გარდა პოეტობისა, მან ტატიშვილის გავლენითა და შიშაპვით ხეზე ამოკვეთაუკ კი დაიწყო; აგროვებდა ქართულ ორნამენტებს, რისთვისაც გრ. ტატიშვილი მისი დიდი მადლოერი დარჩენილა.

² „ივერია“, 1886 წ., № 49.

ვგონებ ამის ნება მქონდა კიდევ. მაგრამ დღეს, ვხედავ, რომ ჩემის განცხადებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. განა შეიძლება, რომ მე მოვიგონო ასოს მორთულობა, ვიშრომო მის ამოჭრისათვის და მერე სხვამ ისარგებლოს ჩემი ნაშრომით. სწორედ ასე მოქცეულა ქართულის წიგნის მალაზიის პატრონი ბ-ნი ჩარკვიანი, რომელსაც აულია და ჩემ მიერ ნაკეთი ასოები აფიშებში ჩაურთავს.

ამისათვის განმეორებით ვაცხადებ, რომ ჩემის ასოების მსგავსი არავინ დაჰხატოს და არ ამოაჭრეინოს სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მიემართო სასამართლოს, ან და სულ ხელი ავიღო ამ ხელობითგან, რადგან არავითარს სარგებლობას არ მაძლევს, რა კი ასე მეპყრობიან¹.

მიუხედავად ამ „მუქარისა“ ტატიშვილის მიერ „ნაკეთი“ ასოები თუ ორნამენტები ღამაზი და სადა გრაფიკული მოხაზულობის გამო მაინც სწრაფად ვრცელდებოდა.

მნიშვნელოვანია გრ. ტატიშვილის როლი როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში, ისე ქართული ორნამენტის შეგროვებისა და მისი წიგნის გაფორმებისათვის გამოყენების საქმეში.

-ყოველივე იმის თავმოყრა, რაც ქართულ ორნამენტალურ მხატვრულ გენიას შეუქმნია და მონუმენტურ ძეგლებში და ხელნაწერებში შემოუნახავს, შემდეგ ამ სამკაულებით მორთვა ქართული სულის გამომხატველი პოეტური ქმნილებისა—მართლაც რომ სამაგალითო საქმედ უნდა ჩაეთვალოს გრ. ტატიშვილს... ტატიშვილის მთავარი დამსახურება, როგორც გრაფიკოსისა სწორედ იმაშია, რომ მან ეს უამრავი ორნამენტალური მასალა, შესრულებული ქვაზე, ხეზე, ლითონზე, გრაფიკულად დაამუშავა, შეუგუა ახალ მასალას—ქალაქს და წიგნის გაფორმების პრინციპებს დაუქვემდებარა².

ენერგიული და მუყაითი შრომის შედეგად, ქართული ხელნაწერებისა და ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების ორნამენტის საფუძვლიანი. შესწავლის ნიადაგზე, გრიგოლ ტატიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა—„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმებისათვის საჭირო თავი ასოები, ბოლოსამკაულები, აშიები და წიგნის გარეკანი მზად იყო ხეზე ამოსაკვეთად. წიგნისათვის კლიშეები, ტატიშვილისავე თხოვნით, მის მიერ ფანქრითა და ტუშით შესრულებული ესკიზების მიხედვით,

¹ „ივერია“, 1886 წ., № 121.

² გორდუზიანი, ბ. „ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი“. ვახ. კომუნისტი, 1946 წ., № 31 (127).

დიდის მონდომებითა და საქმის ცოდნით, პეტერბურგში, 1884-1885 წლებში, ცნობილმა რუსმა ქსილოგრაფებმა ლემანმა და მეიმ დაამზადეს.

შუამავლებად პეტერბურგელ ქსილოგრაფებსა და ტატიშვილს შორის იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორი ივანე მაჩაბელი, რომელსაც ეკუთვნოდა წიგნის საბოლოო რედაქცია, და საბინ-გუსი¹.

ტატიშვილი მაჩაბელსა და საბინ-გუსს პეტერბურგში გასაგზავნად აძლევდა ხოლმე თავის გრაფიკულ ნამუშევრებს. ამის შესახებ გრიგოლს თავის უბის წიგნაკში² პატარა შენიშვნებიც კი აქვს გაკეთებული. მაგალითად: „გადავეცი გასაგზავნად პეტერბურგში ამოსაქრელად ივანე გიორგის-ძე მაჩაბელს „ვეფხისტყაოსნის“ მორთულობა № 1, 2, 3, 4, 5 და 8 ჰარშია“ ან „საბინ-გუსს მივე გასაგზავნად ერთი ჰარშია № 3, ერთი „რ“, ერთი კანცოკვა“ და სხვა.

1887 წლის პირველი ნახევრის დასასრულს წიგნი მთლიანად მზად იყო გამოსაცემად. ამავე წლის 9 აგვისტოს ცენზურამაც ოფიციალურად ნება დართო და წიგნი დასაბეჭდად ი. ა. მარტიროსიანცის სტამბას გადაეცა.

1888 წლის მარტში „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდა.

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა შოთა რუსთა-

¹ სარგებლობდა რა სასულიერო ხელისუფლების მფარველობით, პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა საბინ-გუსმა ძველი ხატების გაახლების საბაბით, დასაყვებით საქართველოს შრავალი მნიშვნელოვანი ეკლესია გააძარცვა. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჭუმათისა და შემოქმედის ეკლესიები. ჭუმათიდან მან წაიღო მთავარანგელოზების მიხეილისა და გაბრიელის სახელზე გაკეთებული ორი ქედური ხატი, რომელთაგან პირველი ქართული, ხოლო მეორე ბიზანტიური ტიხრული მინანქრების მედალეონებით იყო მორთული. (Амнришвили, III. Я. „История грузинского искусства“, т. I, гос. изд. „Искусство“, Москва, 1950 г. гл. 226).

ტატიშვილმა საბინ-გუსი „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემლების საშუალებით გაიცნო. ისარგებლეს რა იმით, რომ საბინ-გუსი იმ პერიოდში პეტერბურგში მიემგზავრებოდა, გამომცემლებმა გაატანეს მას პეტერბურგელ ქსილოგრაფებთან ტატიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმებისათვის შეარულებული გრაფიკული ნამუშევრები. მიუხედავად ქართველი საზოგადოების წინაშე თავისი „დიდი დამსახურებისა“ საბინ-გუსმა პეტერბურგიდან დროზე ჩამოიტანა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმებისათვის განკუთვნილი კლიშეები.

² უბის წიგნაკი საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყ-შია დაცული № 844/680-ით.

ველის გენიალური ქმნილებების დასურათებულ და მხატვრულად გაფორმებულ ქართველიშვილისეულ გამოცემას.

იმდენად მზარდი იყო ამ წიგნზე ხალხის მოთხოვნილება, რომ ტირაჟი ველარ აკმაყოფილებდა წიგნის შექმნის ყველა მსურველს. ქართველიშვილს საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსდიოდა თხოვნა წიგნის შესყიდვის თაობაზე. როგორც ვიცობა ძვირფას ყდიანი „ვეფხისტყაოსანი“ ჩქარა გაიყიდება. წარსულ პარასკევს მოუვიდა ბ. ნ. გ. დ. ქართველიშვილს ბათუმის დამოყმის (საბაგო. მ. უ.) ჩინოვნიკებისაგან ოფიციალური თხოვნა, რომელშიც აცხადებენ სურვილს შეისყიდონ ათი ეგზემპლარი „ვეფხისტყაოსნისა“¹.

ქართველიშვილისეულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი პოპულარობა და მოწონება დაიმსახურა არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ იგი წიგნის მხატვრული გაფორმებისა და დასურათების ბრწყინვალე ნიმუშად იქნა აღიარებული მის საზღვრებს გარეთაც.

ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა იმდროინდელი ქართული გაზეთებიც.

როგორც „ცნობის ფურცელი“-დან ვგებულობთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ დიდი გერმანელი მესტამბის—გუტენბერგის საიუბილეო გამოფენისა და მის სახელზევე შექმნილ მუზეუმისათვის, ქალაქ მაინცში საჩუქრად გაგზავნა „ვეფხისტყაოსანი“, რის გამოც მაინცის ქალაქის თავმა მადლობით აღსაყვებ წერილი გამოუგზავნა ზემოთაღნიშნული საზოგადოების გამგეობას:

„დიდად პატივცემულნო ბატონებო!

თქვენ თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი უმშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი სულოვნობის ნიშნად დარჩება მუდამ გუტენბერგის ქალაქში.

ეს უმშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დამშვენებს, შემდეგ კი იგი შეიქმნება მშვენებათ გუტენბერგის მუზეუმისა. ერთხელ კიდევ გიძღვნით უგულითადეს მადლობას ქ. მაინცის და მის დიდებული შვილის მაგიერ.

უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის თავი

დოქტორი გასსნერი“².

¹ „თეატრი“, 1888 წელი, № 20, ახალი ამბები.

² გახ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ., 10 თებერვალი, № 1040, ახალი ამბები.

ორა ნაკლებ საინტერესოა გაზ. „ივერიაში“ მოთავსებული ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართველი-შვილისეულ „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმების მაღალ ღირსებას:

„სექტემბერში აღმოსავლეთის ქვეყნების მცოდნე მეცნიერთა კრება იყო შვეციის სამეფო ქალაქში, სახელდობრ სტოკჰოლმში, და კრების საპატიო თავმჯდომარედ თვით შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორე ბრძანდებოდა. ქართველთაგან ამ კრებაზე დაესწრო პროფესორი ა. ცაგარელი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტმა გაჰგზავნა თავის წარმომადგენლად, როგორც მცოდნე აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მწერლობისა. ამ პროფესორის ხელით ჩვენმა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაუგზავნა ძღვნად მეცნიერთა კრების გვირგვინოსან თავმჯდომარეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანა „ვეფხისტყაოსანი“. ეს „ვეფხისტყაოსანი“ პროფესორს ა. ცაგარელს ჯერ სტოკჰოლმში შეკრებულ ზოგიერთ მეცნიერთათვის უჩვენებია და იმათ ძრიელ მოსწონებით. ერთს იქაურ პროფესორს მეტად გაჰკვირვებოდა კიდევ, რომ ტფილისში ასე კარგად დაუბეჭდიათო ეგ წიგნი; მაგისტანა უდას ჩვენს სტოკჰოლმშიაც ვერ გააკეთებნო. მერე ცაგარელს წიგნი მიურთმევია ოსკარ მეფისათვის. მეფესაც ძრიელ მოსწონებია და თითქმის მთელის ოცის წუთის განმავლობაში უსინჯავს. როცა გადაუთვალიერებია ამ წიგნის ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი, მეფეს უბრძანებია: „საკვირველია, სოლომანის „ქება ქებათა“-სა ჰგავსა“. მეფეს დაუბარებია ცაგარელისათვის: „გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერისა და ძვირფასის ძღვენის შორამევისათვისაო“. კრების გათავების შემდეგ კონგრესის მდივანს, ანუ სეკრეტარს უთქვამს პროფესორის ცაგარელისათვის: „თქვენს „ვეფხისტყაოსანს“ იშვიათი პატივი ხვდა წილადო. მეფემ ის წიგნი თავის წიგნთ-საკითხავისათვის შოინდომა და ეხლა იმის კაბინეტშიაო“. უნდა შეენიშნოთ, რომ მეფე ოსკარს მრავალი წიგნები მიართევს კონგრესის წევრთ, მაგრამ მეფემ ბრძანა, რომ ყველა ის წიგნები გაუნაწილეთ უფსალისა და ქრისტიანის უნივერსიტეტებსაო. მეფემ მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიტოვა საკუთრად თავისთვის და აი იმ წიგნებს შორის მოჰყოლია ჩვენის უკვდავის პოეტის პოემაცა“¹.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულად გაფორმების ტრადიცია

¹ გაზ. „ივერია“, 1889 წ., 22 სექტემბერი, № 200, ახალი ამბავი:

საქართველოში ძველთაგანვე მოდის. ჯერ კიდევ აღრევე იტაცებდა პოემის მრავალი ხელნაწერი თავისი მხატვრული გაფორმებით მკითხველთა ყურადღებას.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც უაღრესად პოპულარული ნაწარმოები, თავიდანვე ფორმდებოდა როგორც მხატვრული გაფორმების მომხიბლავი ელემენტებით, ისე ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული მინიატურებით, თუმცა ეს მინიატურები მაინც განიცდიდნენ ირანული მხატვრობის გავლენას. ბრწყინვალედ არის შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ გვერდების აშუბები, მაგალითად, 1680 წლის ხელნაწერში, ან 1646 წლის და, საერთოდ, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი მინიატურები.

როგორც ვიცით, ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების ტრადიცია ბეჭდური წესით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“ გადადის, მაგრამ 1888 წლის გამოცეიამდე არსებული დანარჩენი რვა გამოცემა, დაწყებული ვახტანგ მეექვსის სტამბაში 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანით“ და გათავებული 1887 წლის გრ. ჩარკვიანის გამოცემით, არ ასახავდა თავის მხატვრულ გაფორმებაში ქართველი ხალხის მიერ შექმნილ არქიტექტურულ ძეგლებზე არსებული დეკორის ელემენტებს, მის ეროვნულ ხასიათსა და ბუნებას. 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემის მხატვრული გაფორმება კი, გრიგოლ ტატიშვილის ფასდაუდებელი შრომის შედეგად, მანამდე გამოსულ გამოცემებთან შედარებით, ყველაზე უფრო ძვირფასია, რადგან სწორედ იგია დამყარებული იმ ჩუქურთმებსა და მხატვრული გაფორმების ნაციონალურ ელემენტებზე, რითაც ასე მდიდარია ჩვენი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ძეგლი, ქედური ხელოვნების ნიმუშები თუ ხელნაწერი წიგნები.

ქართული ჩუქურთმა მეტად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. ქართველი ხალხი მასში თავის ფაქიზ გემოვნებას აქსოვდა, ზუსტად იცავდა პროპორციებს, უთანხმებდა იმ საგნის არსს, რომლისათვისაც იგი განკუთვნილი იყო. ეს ჩუქურთმები ხიბლავდნენ მნახველის თვალს და მის გულის სიღრმეს წვდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ტატიშვილმა, რომელიც ქართული ჩუქურთმის ამ სპეციფიკას ეყრდნობოდა, შექმნა ჩუქურთმების მეტად სადა, ფაქიზი და მხატვრული ფორმები, სადაც ყოველი მონახაზი თუ პატარა დეტალი მეტყველებს ქართველი ხალხის მაღალ გემოვნებასა და მდიდარ მხატვრულ ტრადიციებზე.

აიღებთ თუ არა ხელში „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემას, უპირველესად ყოვლისა, თქვენს ყურადღებას იპყრობს მისი გარეკანი. მაგარ მუყაოზე გადაკრულ მოყვითალო ფერის ქსოვილზე პოემის სახელწოდება, ავტორის პორტრეტი და აშოია ოქროთი დატვიფრული. გარეკანი იმდენად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იმ დროსაც კი ამ გამოცემას პირდაპირ „ძვირფას ან ლამაზ ყდიანს“ უწოდებდნენ.

შოთა რუსთაველის პორტრეტი ყდის ცენტრშია მოთავსებული და ჩასმულია წრეში, რომელსაც გარშემო სტილიზებული ჩუქურთმები ერტყმის. მეტად ორიგინალურად არის შედგენილი აშოია, რომელიც ერთ მთლიანობაში ჰკრავს გვერდს და მის ჩარჩოს წარმოადგენს. იგი შედგენილია ფოთოლეების ეკლესიის საერკმლის ჩუქურთმების მიხედვით. გვერდის კუთხეებში აშოიები იკვრება კვადრატებით, რომლებიც ერთმანეთში გადახლართული ორნამენტალური ხვეულებითაა დაფარული. ყდაზე დატვიფრული გამოსახულებანი მეტად რელიეფურია და ტოვებს ისეთივე შთაბეჭდილებას, როგორიც ქვის დამუშავების დროს ექმნება ადამიანს.

„ვეფხისტყაოსნის“ ყდასა და სატიტულე გვერდზე არსებული წარწერები დაბეჭდილია ტატიშვილის მიერ შედგენილი ასოების მიხედვით. ტატიშვილმა ყდისათვის სპეციალურად დაამზადა ცალკე კლიშე.



პირველი, რამაც ასე თვალწარმტაცი გახადა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმება, პოემის ყოველი თავის წინ ჩართული მთავრული ასოებია. წიგნში სულ 48 მხატვრულად გაფორმებული ასეთი ასოა წარმოდგენილი.

ზოგიერთი თავი ერთი და იგივე ასოთი იწყება, მაგრამ ტატიშვილი თვითოეულ მათგანს სულ სხვადასხვაგვარად აფორმებს. მაგალითად, ასო „ა“ ოთხი სხვადასხვა მხატვრული ელემენტითაა გაფორმებული, „გ“ ორით, „დ“ ოთხით, „ე“ ორით, „ზ“ ორით, „ი“ ხუთით, „რ“ ოთხით, „ფ“ სამით და ა. შ.





იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ, რა პრინციპებს უქვემდებარებს ტატიშვილი თავი ასოების მხატვრულ გაფორმებას, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.







„ვეფხისტყაოსანში“ არსებული თავი ასოები იყოფიან სამ კატეგორიად: ერთია ისეთი, სადაც ასო მოთავსებულია მხატვრულად გაფორმებულ კვადრატში, მეორე სწორკუთხედში და მესამე — წრეში:





I. კვადრატებში ასო ყველგან ჩამჯდარია სხვადასხვა სახის-



თავი ასოები, ამოკრებილი 1888 წელს გამოცემული ქართველი შვილისეული
„ვეუბისტეაოსნიდან“.







ჩუქურთმებდით მოხატულ წრეში, რომელიც კვადრატს შიგნითა-
მხრიდან უვლის.

მაგ. 1. ასო „ი“ (გვ. 8) მოცემულია შტრახოვან მიწარზე და
ჩასმულია პატარა წრეიაზში, რომელზედაც გარედან ყოველი მხრი-
დან თანაბრად ნაწილდება ვარსკვლავის ქიმის პრინციპზე აგებული
სტილიზებული ჩუქურთმა. ყოველივე ეს, მოთავსებულია საერთო
წრეში, რომელიც თავის მხრივ ორნამენტალური კვადრატითაა
შეკრული.

2. ასო „მ“ (გვ. 185), შესრულებული ტარასი არქიმანდრიტის
ნახატი ასო „მ“-ს მიბაძვით, ჩასმულია ხლართულ წრეში, რომელიც
ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პატარა ზომის წრეებში
ჩამჯდარი ჯვრებითაა აგებული. აქ, როგორც წინა მაგალითში,
ყოველივე ორნამენტალური კვადრატითაა შეკრული.

3. ასო „ა“ (გვ. 252) მოცემულია წერტილებიან მიწარზე და
ჩასმულია წრეში, რომელიც ახტალის ეკლესიის დასავლეთ სარკმელ-
ზე არსებული ორნამენტალური წნულის ელემენტის მიხედვითაა
შედგენილი. წრე მოთავსებულია კვადრატში და ა. შ.

II. სწორკუთხა ოთკუთხედში ასოები მხატვრულად გაფორმე-
ბულია ორი სახით:

ერთია, როდესაც სტილიზებული ჩუქურთმა გამოყენებულია
ასოს მიწარად. მაგ. 1. ასო „მ“ (გვ. 110), რომელიც ბადისებრი
ორნამენტალური ხლართით დაფარულ მიწარზეა მოცემული და
მისგან ასოს სიმუქით არის გამოყოფილი, რითაც ყურადღების
ცენტრს თავის თავზე იმახვილებს. 2. ასო „მ“ (გვ. 134, რომელიც
იგივე ტიპისაა რაც წინა, იმ განსხვავებით, რომ მიწარისათვის სხვა
მოჩუქურთმებული ხვეულია ნახმარი. მის შესადგენად ტატიშვილს
აღებული აქვს იშხანის ტაძრის დასავლეთ მხარეზე არსებული
სარკმლის მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებული ხვეულის
ერთი ელემენტი, რომლის ერთმანეთთან დაკავშირებით მოცემულია
მიწარის დიდი ფართობი.

მეორეა, როდესაც ასოები მოთავსებულია მოჩუქურთმებულ
ჩარჩოში და აგებულია იმ პრინციპით, რომელსაც ჩვენი არქიტექ-
ტორები ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე არსებულ შესასვლელთა თუ
სარკმელთა მხატვრულად გაფორმებული შემოჩარჩოებისათვის იყე-
ნებდნენ. ამ ტიპის შემოჩარჩოების მხატვრული გაფორმებისათვის ტა-
ტიშვილი იყენებს ორნამენტაციის იმ ელემენტებს, რითაც ასე მდი-
დარია ეს არქიტექტურული ძეგლები. მაგ. 1. ფოთლოვანი ჩუქურთ-

მით სტილიზებული ასო „რ“ (გვ. 1) ჩასმულია ჩარჩოში, რომლის გაფორმებისათვის გამოყენებულია მცხეთის სვეტიცხოველის კანკელის ფილებზე არსებული ორნამენტალური ხვეული; ტატიშვილის მიერ ეს ხვეული გრაფიკულად მეტად ეფექტურად არის გადაწმუშავებული. 2. ასო „წ“-ს (გვ. 100) შემოჩარჩოება შედგენილია პიტარეთის ეკლესიის კანკელის მოჩუქურთმებული ფილის მიხედვით. ფილაზე არსებული ჩუქურთმა ვაზისეული ხვეულის პრინციპზეა აგებული და მის სტილიზებულ და გადამწმუშავებულ ასლს წარმოადგენს და სხვა.

III—მესამე სახე. სადაც ასო წრეშია მოთავსებული, მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი: აქ, ორნამენტალური კუდებით სტილიზებული ასო „ი“ (გვ. 17^ა), მოთავსებულია წრიულ ჩარჩოში, რომელიც ქვათახევის ეკლესიის დასავლეთი მხარის სარკმლის ჩარჩოზე არსებული წნულის ერთმანეთში გადახლართული ელემენტების მიხედვითაა შედგენილი.

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემული თავი ასოები მნახველის თვალში მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. აქ მოცემული ყოველი ხაზი ნათლად მიუთითებს გრაფიკოსის დიდ გემოვნებასა და მტკიცე ხელზე. მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ თავი ასოებისათვის შექმნილი გრაფიკული ნამუშევრების განხილვა საკმარისია იმისათვის, რომ დღეს ტატიშვილი აღიარებული იქნეს ახალი ქართული გრაფიკული ხელოვნების შესაჩიშნავ წარმოდგენლად და ფუძემდებლად. მიუხედავად ზედმეტი სიზუსტის და გეომეტრიულობისა, რაც, რა თქმა უნდა, უკარგავს თავი ასოებს დინამიურობასა და სიმსუბუქეს, „ვეფხისტყაოსანის“ თავი ასოები და, საერთოდ, წიგნის მთელი მხატვრული გაფორმება შეიძლება თავისუფლად დავაყენოთ გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ ევროპული თუ რუსული წიგნის გამფორმებელთა თვალსაჩინო გრაფიკულ ნამუშევრებს გვერდით.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ტატიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ გაფორმებისათვის ბოლოსამკაულებსაც იყენებს. წიგნში სულ ორმოცდახუთი სხვადასხვაგვარი ბოლოსამკაულია. რომელთაგან თითქმის უმრავლესი ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების დეკორის, მასზე არსებული ჩუქურთმების მხატვრულად გადამწმუშავების შედეგადაა შექმნილი. რამდენიმე ბოლოსამკაული აგებულია ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმებისათვის ნახმარი ელემენტების მიხედვით. ასეთია, მაგალითად, ერთმანეთში გადახლართული გველის გამოსახულებანი (გვ.

241 და 351), რომლებსაც ფანტასტიკური ფრინველთა თავები აქვთ გამოზმული და სხვა.

„ეკეთხისტყაოსნის“ ყოველი თავი ბოლოსამკაულით ბოლოვდება. წიგნი მოცემულია ბოლოსამკაულების რამდენიმე ერთმანეთისაგან განსაკვეთული ტიპი. განვიხილოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნუში:

1. ტატიშვილი ბოლოსამკაულთა ერთი ტიპის შესადგენად იღებს ჩუქურთმის ერთ გარკვეულ ელემენტს (ფოთოლს, ყვავილს, გრებილს, ჯვარს) და მისი მრავალგზისი განწეობებითა და ერთმანეთთან მიჯრით ქმნის ბოლოსამკაულის მთლიან სხეულს.

მაგალითად, 213-ე გვერდზე არსებული ბოლოსამკაული მხატვრულად გაფორმებულ სწორმხრიან ჯვრის კომპოზიციანაა აგებული. ჩუქურთმის ეს ელემენტი ტატიშვილს აღებული აქვს საფარას ეკლესიის კანკელის ფილაზე გამოსახული მირქმის კომპოზიციის ქვედა აშიიდან. ბოლოსამკაულს, რომელიც სულ ოთხი ასეთი ერთნაგეთში გადახლართული ელემენტისაგან შედგება, ორივე მხარეს გააჩნია სტილიზებული სამკუთხედის დაბოლოება, რითაც იგი ერთ მთლიანობაშია შეკრული.

სწორმხრიან ჯვრის ელემენტებზეა აგებული ის ბოლოსამკაულებიც, რომლებიც „ეკეთხისტყაოსნის“ 237-ე და 328-ე გვერდებზეა მოცემული. პირველი მათგანი ნიკორწმინდის ეკლესიის სამხრეთი მხარის, ხოლო მეორე იკორთას ტაძრის აღმოსავლეთ მხარეზე არსებული სარკმელების შემოჩარჩოებიდანაა აღებული. ამ ტიპის ბოლოსამკაულები წიგნში მრავლად არის წარმოდგენილი.

2. დამახასიათებელი ქართული ჩუქურთმების მიხედვით არის შედგენილი ის ბოლოსამკაული, რომელიც წიგნში მე-180-ე გვერდზეა მოცემული. ჩუქურთმის კომპოზიციანსესხებია მე-12 საუკუნის ძეგლის, შიო მღვიმის ეკლესიის კანკელის ფილის შემოჩარჩოების იმ აშიიდან, რომლის ზევითაც სვიმონ მესეჭტეა გამოსახული. ბოლოსამკაულზე, რომელიც ფორმით სწორკუთხა ოთხკუთხედს წარმოადგენს, ჩუქურთმები ორ წყებად არიან დალაგებულნი და ერთმანეთს ხეულებით უკავშირდებიან.

ასეთივე ტიპისაა ის ბოლოსამკაული, რომელიც 82-ე გვერდზეა მოცემული. იგი დამუშავებულია ისეთივე ხასიათის ჩუქურთმებისაგან, როგორსაც ჩვენ ვხვდებით მერიას (12—13 ს. ს.) კანკელის ლავგარდანის ფრამენტებზე (დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმში), თუმცა ბოლოსამკაულზე ეს ჩუქურთმები გრაფი-

კულად უფრო ძლიერად არიან გამოკვეთილნი და იცავენ ზუსტ გეომეტრიულ პროპორციებს.

3. საინტერესოდ არის შედგენილი 288-ე გვერდზე მოთავსებული ბოლოსამკაული. ტატიშვილი იღებს სხვადასხვაგვარი ჩუქურთმის დამახასიათებელ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტს და მათ პირდაპირ ერთმანეთის გვერდით ათავსებს. ამით ტატიშვილი ქმნის ერთ მთლიან და დამთავრებულ ბოლოსამკაულს. აქ, თვითეული სახის (სულ ექვსია) ჩუქურთმა კვადრატშია მოთავსებული. პირველ მათგანზე გრებილით შედგენილი ჯვარია გამოსახული. ნეორესათვის გამოკენებულია ორხამენტალური წნული, რომელიც ზუსტი ასლია როგორც ქულების სამრეკლოს¹ ნანგრევების სამხრეთ ფასადზე ისე ზარზმის ტაძრის შესაავლელის ქვევითა კუთხეში აოსებული როზეტის მათერული გაფორმებისა. დანარჩენი კვადრატების, ისევე როგორც წინა ორის, მხატვრული გაფორმებისათვის ტატიშვილს აღებული აქვს სხვადასხვა ეკლესიაზე არსებული როზეტების დამახასიათებელი მოჩუქურთმება. მართალია, თვითეული კვადრატი სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული, მაგრამ ისინი იმდენად ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ბოლოსამკაულს დამთავრებულ სახეს აძლევენ და აქცევენ მას წიგნის შეტად დინამიურ და ორიგინალურ მხატვრულ ორნამენტად.

4. „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსამკაულებში ჩვენ ნაირსაბოვან ჩუქურთმებს გარდა ვხვდებით ცხოველებისა თუ ფრინველების ურთიერთ ბრძოლის იმ საყოველთაოდ ცნობილ თემატიკას, რომელიც გავრცელებული იყო როგორც ამიერ-კავკასიის, ისე სხვა ხალხთა, კერძოდ, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნებაში.

აღნიშნული ტიპის ბოლოსამკაულისათვის ტატიშვილს გამოყენებული აქვს ქუთაისის, ეგრეთ წოდებული, „მეფე ბაგრატის ტაძრის“ (1003 წ.) სტოას ერთერთ სვეტისთავზე არსებული კომპოზიცია: კომპოზიციის გრაფიკულად გადამუშავების შედეგად მან შექმნა ბოლოსამკაული, რომელიც წიგნის 335-ე გვერდზეა მოთავსებული. ბოლოსამკაულის ცენტრში გამოსახულია ფანტასტიური ცხოველი გრიფონი, რომელსაც ტანი ლომის, ხოლო ფრთები და თავი არწივისა აქვს. იგი თავს ესხმის კენტავრს და ჰგლეჯს მას. კენტავრის ადამიანისებური თავი ერთმანეთში გადაჯვარედინებული რქებით

¹ ქულების კლესია და სამრეკლო მდებარეობს ზარზმიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, პირსაღების ხეობაში.

არის შეწყული. ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეს მოთავსებულია სტილიზებული არწივები, რომლებსაც ბრქვალებით პატარა ზომის ფანტასტური ცხოველები უჭირავთ. ბოლოსამკაულს ზევითა ნაწილში აშიად გრეხილი ჩუქურთმა გასდევს, ხოლო თვით კომპოზიციისათვის ხაზობრივი მიწარია გამოყენებული.

მეორე ბოლოსამკაული (გვ. 80), რომლის მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია ფრინველთა გამოსახულებანი, იმავე ტაძრის დასავლეთ სტოას სვეტისთავიდანაა გადმოღებული. ბოლოსამკაულის ორივე მხარეს—პროფილში, სტილიზებული ფრინველები არიან გამოსახულნი. მათ შორის მოთავსებულია ორი ერთნაირი ფოთლოვანი ჩუქურთმა, რომლებიც გრეხილებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

5. წიგნში გვხვდება ისეთი ბოლოსამკაულებიც, რომელთა საერთო მონაზულობა პირდაპირ გადნობილია (რასაკვირველია გრაფიკულად გადამუშავებული სახით) ჩვენი ხუროთმოძღვრული ძეგლების არქიტექტურული დეტალებიდან: 123-ე გვერდზე მოცემული ბოლოსამკაულის ფორმა ეკლესიის ტიშანის პირდაპირ ასლს წარმოადგენს, თუმცა მისი მოჩუქურთმება ტატიშვილის მიერ მეტად თავისებურადაა სტილიზებული.

ბოლოსამკაულთა ზევით აღნიშნული ტიპები, ტატიშვილს მეტად ორიგინალურად აქვს გადამუშავებული. მართალია, ზოგიერთ ბოლოსამკაულში, ისევე როგორც თავი ასოებში, ჩუქურთმების სტილიზაცია და გეომეტრიულობა მეტნაკლებად სქემატიურს ხდიან მათ, უკარგავენ დინამიურობასა და სიცოცხლეს, მაგრამ წარმოდგენილი სახითაც ეს ბოლოსამკაულები (თავისი ფარმითა და გრაფიკული მონაზულობით) საესებით აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებას, რასაც წიგნის მხატვრული გაფორმება მოითხოვს.



გარდა თავი ასოებისა და ბოლოსამკაულებისა „გეფხისტყაოსნის“ ყოველი გვერდის მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია მოჩუქურთმებული აშია, რომელიც პოემის ტექსტს უვლის გარშემო.

ტატიშვილი იძლევა რვა სახის ლამაზად გაფორმებულ აშიას, რომლებიც წიგნში თვითთული გვერდის მიხედვით რიგრიგობით იცვლება და შემდეგ იწყება ისევ თავიდან.



თვითთული აშია, მთელ თავის სიგრძეზე, ჩუქურთმის ერთი როზელიმე ელემენტის მრავალგზისი განმეორების პრინციპზეა აგებული.

ტატიშვილი აშიას თვითთული ელემენტისათვის ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ქედური ხელოვნების ნიმუშებზე ეძებს შესაფერ ჩუქურთმას.

მაგალითად:



„ვეფხისტყაოსნის“ აწიგები და თავი ასოები.



1. აშია № 1 ქართულ ხელოვნებაში მეტად გავრცელებულ გრეხილის პრინციპზეა აგებული. ასეთი გრეხილი ჩვენ გვხვდება ახტალაში, მწვანე საყდრის (მე-11—13 ს. ს.) სარკმლის მოჩუქურთმებულ ჩარჩოს ფრაგმენტზე და სხვაგან.

2. აშია № 3-სათვის გამოყენებულია ქუთაისის „ბაგრატის ტაძრის“ კარნიზის მოჩუქურთმებული ელემენტი.

3. აშია № 7 შედგენილია იმ ელემენტების მიხედვით, რაც ჩვენ სათხეს (მე-13 ს.) კანკელის მარჯვენა ფილის მოჩუქურთმებულ შემოჩარჩობაზე გვხვდება¹.

4. აშია № 8 საფარას ეკლესიის (მე-11 ს.) კანკელის ჩარჩოსათვის გამოყენებული ჩუქურთმის მთავარი ელემენტის სტილიზაციას წარმოადგენს და ა. შ.

გვერდების ოთხივე კუთხეში, იქ, სადაც ეს აშეები ერთმანეთს ჰკვეთენ, მოთავსებულია კვადრატში ჩასმული მოჩუქურთმებული როზეტი; ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთ შემთხვევაში (გვ. 1) გვერდებზე დამატებული აქვს დამხმარე ფოთლოვანი ჩუქურთმა, რომელიც პირდაპირ აშეის გრეხილზე გადადის. როგორც როზეტი, ისე ეს დამხმარე ჩუქურთმაც ტატიშვილს გადმოღებული აქვს ახტალის ღეთისნშობლის ეკლესიიდან.

აშეის დანარჩენი შეიდი შემაკავეშირებელი კვადრატიც ქართული ეროვნული ჩუქურთმებითაა მხატვრულად გაფორმებული. აქ გამოყენებულია გრეხილები, წნულები, როზეტები და სხვა.

მაგალითად:

1. მე-7 გვერდზე გამოყენებულია სათხეს კანკელის მარჯვენა ფილის კუთხეში ერთნანეთში გადახლართული გრეხილი, რომელიც კვადრატულ კომპოზიციაშია მოცემული. ასეთივე ტიპის ჩუქურთმა ჩვენ სხვა ეკლესიებზედაც გვხვდება. მაგ.: გუდარეხის ეკლესიის (მე-13 ს.) კანკელის ფრაგმენტზე და სხვა.

2. მე-8 გვერდზე მოცემული კვადრატი აგებულია ჯვრის მოტივზე. მის კუთხეებში ჩაქსოვილია სტილიზებული ფოთლოვანი ჩუქურთმა, რომელიც საფარას ეკლესიის კანკელზე მიჩქმის კომპოზიციის შემოჩარჩობაზე არსებობს და ა. შ.

ამრიგად, 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ წიგნის მხატვრულად გაფორმების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანის“ შრიფტი, თავი ასოები, ბოლოსამკაულები და აშეები, შეკრულნი „ლანაზ ყდაში“ ლიტერატურისა და ხელოვნების

¹ კანკელი დატულია საჭ. სსრ ხელოვნების საზ. მუზეუმში.

ურთიერთ მიქიდრო კავშირის შესანიშნავი გამოხატულებაა. იგი წარმოადგენს ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ყველასთვის გასაგები, მიწიდიველი და ახლობელია.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმება ტატიშვილის შემოქმედების ყველაზე უფრო სრულყოფილ ნაწარმოებს წარმოადგენს. წიგნის დეკორი, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრულ და ხელნაწერ ძეგლთა მხატვრულ ელემენტებზეა დაყარებული, წარმოადგენს არა მარტო პირადად ტატიშვილის, არამედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული გრაფიკული ხელოვნების უდიდეს გამარჯვებას.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმებით გრ. ტატიშვილმა კარგი მაგალითი მისცა იმ ქართველ მხატვრებსაც, რომლებიც ის ის იყო იწყებდნენ მუშაობას გრაფიკულ ენაში. წიგნის განოსვლის შექმნე მათი მუშაობა უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი გახდა.

ამ ქართველ გრაფიკოსთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია, ანტონ გოგიაშვილი, რომელმაც ტატიშვილის მსგავსად დაიწყო წიგნების დასურათება და მათი ლამაზი ნახატი თავი ასოებით, თავსამკაულებითა და ბოლოსამკაულებით შემკობა. უნდა ითქვას, რომ გოგიაშვილი, რიგ შემთხვევაში, თავი ასოებს ტატიშვილის მიბაძვით ქნნიდა კიდევ.

ანტონ გოგიაშვილს (1878—1907) მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მხატვარ-გრაფიკოსთა შორის თვალსაჩინო ადგილი აქვს დამკვიდრებული. იგი ბავშვობიდანვე იწყებს ხატვას და იჩენს მისდამი დიდ სიყვარულს. თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში და განსაკუთრებით 1895—1896 წლებიდან მისი ინტერესის ძირითად საგანს მხოლოდ ხატვა წარმოადგენდა. გოგიაშვილი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა ქართველი ხალხის ადამ-ჩვევებს. იგი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს ფარგლებში და თავის ნახატებში ქართველი ხალხის შრომისა და ბრძოლის პროცესებს ასახავდა. ამ მუშაობასთან ერთად გოგიაშვილი წიგნების ილუსტრირების საქმესაც კვიდებს ხელს. „1896 წელს მისი დასურათებებით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“. ამ პირველ ნაბიჯს თან მოჰყვა ილუსტრაციების მთელი სერია. მათგან აღსანიშნავია დასურათება რ. ერისთავის ლექსებისა („ბერუას ჩივილი“, „სესიას ფიქრები“, „ღამის მეხრე“, „სამშობლო ხეესურისა“...), ი. ჭავჭავაძის „განდეგილისა“ და სხვა“ (დუღუჩავა, მ. ახალი ქართული ხელოვნება, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1950 წ., გვ. 90).

საქ. სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმის ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განყოფილებაში $\frac{ხმმ}{მხ}$ 1170 1—21 ნომრით დაცულია

გოგიაშვილის ქალაქზე ნახატი (თანქარი, ტუში) ქართული თავისუფლება (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, მ, მ, ო, რ, უ, ფ, ლ, შ, წ, წ—საშუალო ზომა 11×6 სმ.). ეს ასოები, როგორც აღნიშნავს 'მალკა კვასხვაძე თავის ვრცელ მონოგრაფიაში „ანტონ გოგიაშვილი“, შექმნილი უნდა იყოს 1898—1901 წლებში. (იხ. კვასხვაძე, შ., „ანტონ გოგიაშვილი“, მონოგრაფია, საბლიტგამი, თბილისი, 1947 წ., გვ. 39.), რომელთაგან ზოგი სავსებით წააგავს ტატიშვილის მიერ შედგენილ თავი ასოთა გრაფიკულ მოხაზულობას. მაგალითად:

გოგიაშვილის ნახატი თავი ასოები „ა“ $\left(\frac{ხმმ}{მხ} - 1170^2 \right)$ და „მ“

$\left(\frac{ხმმ}{მხ} - 1170^2 \right)$ გამოსახულია ხის ტოტების მსგავსად და გადმოღებუ-

ლია ტატიშვილის მიერ შედგენილი თავი ასოს იმ სახიდან, რომელიც უფრო „ნობათის“ 287-ე გვერდზეა („ა“) წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ მიწარშია: გოგიაშვილი ერთ ადგილას („ა“) იძლევა ციკაბო კლდეს, რომელზედაც ხევესურია გამოხატული, ხოლო მეორეზე („მ“) ყვავილებით სავსე ტოტებზე ჩამომჯდარ ბელურას. მეტად ორიგინალურად არის ერთმანეთში გადახლართული ვაზის ტოტები, ფოთლები და მტევნები გოგიაშვილის ნახატ თავი ასო „მ“-ზე $\left(\frac{ხმმ}{მხ} - 1170^{12} \right)$. ასო „მ“ $\left(\frac{ხმმ}{მხ} - 1170^{13} \right)$ შესრულებულია გაზ. „თეატრში“ („მ“—1885 წ. № 18, გვ. 171) არსებული ტატიშვილის თავი ასოს გრაფიკული მოხაზულობის მიხედვით, თუმცა გოგიაშვილი თავის თავი ასოს უკეთებს შედარებით უფრო მომხიბვლელ მიწარს მთების გამოსახულებით და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ ორი გრაფიკოსის მიერ შესრულებული თავი ასოთა ზოგიერთი მსგავსებისა, გოგიაშვილი ასოების მხატვრული დამუშავების საკითხს სრულიად თავისებურად, ახლებურად სწყვეტს, რითაც უდაოდ აელენს თავის მდიდრულ, ინდივიდუალურ გემოვნებას და გარკვევით მიუთითებს მის დამოკიდებულებაზე წიგნის არქიტექტონიკისადმი.

გრიგოლ ტატიშვილი ყოველთვის დიდის გულისყურითა და სერიოზულობით ჰკიდებდა ხელს ლიტერატურული ჟანრის იმ ნაწარ-

მოების შესწავლას, რომლის მხატვრულ გაფორმებისა თუ ილუსტრირების საქმეში მას უნდა გაეწია გარკვეული შრომა. იგი წინასწარ გულდასმით ეცნობოდა და სწავლობდა ლიტერატურული ძეგლის შინაარსს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ილუსტრაციების ხატვასა თუ ორნამენტების გრაფიკულ დამუშავებას. თვითველ ნაწარმოებს, რომელიც მას ოდესმე დაუსურათებია თუ გაუფორმებია მხატვრულად, ასეთი წინასწარი შესწავლის კვალი აქვს დამჩნეული. ლიტერატურული ძეგლის მხატვრულ გაფორმებისათვის გრ. ტატიშვილი არასოდეს არ იღებდა ხელში პირველად მოხვედრილ ორნამენტის რაიმე გრაფიკულ სახეს. იგი, ყველა შემთხვევაში, ითვალისწინებდა ნაწარმოების თანრს, მის ხასიათსა და დანიშნულებას. ისეთ ნაწარმოებებისათვის, რომლებსაც, მაგალითად, დიდაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ტატიშვილი ბავშვებისათვის ადვილად ასათვისებელ, გასაგებ და უბრალო სურათებს ხატავდა. იგი ითვალისწინებდა ბავშვის ასაკს და სურათებსაც ამ ასაკის შესაფერისს ასრულებდა. რაც უფრო მცირეწლოვანი იყო ბავშვი მით უფრო მარტივი იყო გამოსახულებაც.

ტატიშვილის რწმენით, პატარა ბავშვი უფრო ადვილად ხედავდა, იგებდა და ითვისებდა ისეთ სურათს, რომელიც მეტად კონკრეტული იყო და საგნის მხოლოდ მთავარ დამახასიათებელ ნიშნებს, მის სწორ ფორმებს გადმოცემდა. მოზრდილი ბავშვი კი ყოველთვის ახლის ძიებაშია და მოვლენებსა თუ საგნებს თავისებურად, ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ აღიქვამს. გემოვნების საკითხში მას ის ის არის უმუშავდება თავისი საკუთარი შეხედულება. ამიტომაც, ტატიშვილი მისთვის შედარებით რთულად დამუშავებულ კომპოზიციებს იძლეოდა. ასეთი სურათები ტექნიკური შესრულებითაც უფრო მაღალ დონეზე იდგნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შესანიშნავ მაგალითს „ღედა ენა“, „ბუნების კარი“ და ი. გოგებაშვილისა თუ სხვა ავტორების დიდაქტიკური ხასიათის მრავალი წიგნი წარმოადგენს.

ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათისადმი თავისებურ მიდგომას ტატიშვილი, უფრო ხშირად, წიგნის მხატვრული სამკაულადის დამუშავების დროს ამჟღავნებდა.

მაგალითად, ისევე, როგორც „ნისრამიანის“ მხატვრულ გაფორმებისას, ტატიშვილი, წინასწარ მოფიქრებულად, პოემის თვითველი თავის დასაწყის ასოს ყვავილოვანი მიწარით ამკობდა, რაც ერთგვარად ესიტყვებოდა პოემაში გატარებულ მთავარ იდეას, ან, თუ,

სხვა ნაწარმოებისათვის ორნამენტების შესაფერის სტილს ეძებდა და ამ ძიების დროს კმნიდა თავსამკაულთა, ბოლოსამკაულთა და თავი ასოთა სპეციალურად სახეს, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გაფორმების დროსაც გრაფიკოსი ნაწარმოებისათვის სამკაულადის შესაფერი მობაზულობის გამოძებნის იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდა.

ტატიშვილმა, რომელმაც იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“, ჩვენი პოეზიის ამ თვალმარგალიტის შექმნის დროს საქართველო წარმოადგენდა ისეთ საბელმწიფოს, რომლის პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკა და კულტურული დონე განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე იყო ასული, პოემის მხატვრული გაფორმებისათვის გამოიყენა ყველა ის შესანიშნავი მიღწევა, რაც ასე ნათელ ბეჭდად აზის ჩვენს ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ხელნაწერ წიგნებს არქიტექტურული დეკორისა თუ გრაფიკული სამკაულადის სახით.

ტატიშვილმა, სრულყოფილი ეროვნული ჩუქურთმების გამოყენებით, შოთა რუსთაველის ამ გენიალური პოემისათვის შესაფერისი, მაღალმხატვრული გრაფიკული ორნამენტაცია შექმნა. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ თავი ასოები, ბოლოსამკაულები და აშიები ნაწარმოების შინაარსისადმი ორნამენტისკის შერჩევითი პრინციპის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშად გვევლინება..





ასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ტატიშვილმა დაიწყო შიო მღვიმელის საბავშვო ლექსებისათვის ილუსტრაციების ხატვა და მათთვის კლიშეების დამზადება.

შიო მღვიმელი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული საბავშვო პოეზიის განვითარების საქმეში, ტატიშვილმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულს გაიცნო. ყოველთვის თავმდაბალი და უაღრესად მოკრძალებული ქცევის გამო გრიგოლმა მთელი გულით შეიყვარა ახალგაზრდა პოეტი და მალე საესკებით დაიახლოვა კიდევ. მართალია, ტატიშვილი მღვიმელზე საკმაოდ უფროსი იყო წლოვანებით, მაგრამ წლების განსხვავებას არაავითარი გავლენა არ მოუხდენია მათ შორის არსებულ გულთბილ და მეგობრულ დამოკიდებულებაზე, რომელიც ბოლომდე შერჩა ამ ორ ღვაწლმოსილ ადამიანს.

ტატიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი წვერი იყო ქართული ინტელეგენციის იმ წრისა. სადაც შიო მღვიმელთან ერთად აკაკი და ილია, შიო არაგვისპირელი, თედო სახოკია, აექს. ცაგარელი, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, კ. მესხი, გრ. ყიფშიძე, ვასო აბაშიძე, ვაჟა ფშაველა, ა. ყაზბეგი და სხვები შედიოდნენ.

ქართველი საზოგადოების ამ წრეს პირველხანებში არაავითარი შესაქრები ადგილი ან კლუბი არ ჰქონია. საზოგადოების წევრები ერთმანეთს თეატრში, თეატრის ბაღში ან სტუმრობის დროს ხვდებოდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც ქართულმა სათავად-აზნაურო

ბანკმა, სადაც დირექტორად ილია ქავჭავაძე იყო, სომეხ არწრუნის, ვალის გადაუხდელობის გამო, ქარვასლა (დღეს აქ ქ. ე. ვორო-შილოვის სახ. კლუბია მოთავსებული) ჩამოართვა, შენობის მეორე სართულში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცა ოთხი ოთახი, რომელთაგან ერთი საზოგადოების გამგეობამ დაიკავა, მეორე მუზეუმმა, მესამეში სამკითხველო მოთავსდა, ხოლო უკანასკნელში წიგნების მალაზია, სადაც ამ დროს შიო მღვიმელი იყო გამგედ. ამ მალაზიასა და გამგეობის ოთახში იკრიბებოდა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. გრიგოლი, რომელსაც იქვე, შენობის პირველ სართულში ჰქონდა გახსნილი პატარა სახელოსნო, თავისუფალ დროს მთლიანად აქ ატარებდა.

ტატიშვილი თავის საიელოსნოში მუშაობის დროს დაუახლოვდა აკაკი წერეთელს. პოეტისადმი უღრმესი პატივისცემის ნიშნად მან შიო მღვიმელის წიგნის მალაზიაშივე მიართვა აკაკის პატარა აბრა, რომელზედაც ოქროს ასოებით „თავ. აკაკი როსტომის-ძე წერეთელი“ იყო ამოკვეთილი. პოეტი დიდი ნასიამოვნები დარჩენილა ამ საჩუქრით და გრიგოლისათვის ხუმრობით უთქვამს: „კარი მე არა მაქვს და სახლი და, თუ კაცი ხარ, მასწავლე სად ჩამოვიდო ეს აბრაო“.

აკაკისა და გრ. ტატიშვილის ურთიერთობის შესახებ მწერალი ნინო ნაკაშიძე ახლახან გამოსულ თავის „მოგონებებში“ შემდეგს მოგვითხრობს:

„ერთხელ ჩვენს რედაქციაში (ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქცია. მ. უ.) აკაკი იჯდა. ამ დროს გრიგოლი და შიო მღვიმელი შემოვიდნენ.

— ააა!—შესძახა აკაკიმ,—ორ ჩვენ სასიქადულო ადამიანს გაუმარჯოს—ბავშვების საყვარელ მგოსანს და უკვდავ გრიგოლს!

გრიგოლმა ორივე ხელი ჩამოართვა აკაკის და სიცილით უთხრა.

— უკვდავი თქვენ ბრძანდებით, ბატონო აკაკი, მე კი მოკვდავი ვარ ყოველი მხრივ,—ჩემი მხატვრობა და კლიშეები აღარავის უნდა.

— არა, ძმაო, „ვეფხისტყაოსნის“ ჩუქურთმების გამკეთებელთან სიკვდილს რა უნდა. ზიჩი შეიძლება მოკვდეს, მაგრამ გრიგოლ ტატიშვილი კი არა...—ამბობდა თავისი მომხიბლავი სიცილით აკაკი“¹.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ხშირად იკრიბებოდა ტატი-

¹ ნაკაშიძე, ნ. მოგონებები. საქ. სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო და ახალაზრობის ლიტერატურის საბელწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ. გვ. 162.

შვილის ოჯახშიც, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სისადავითა და უბრალოებით და აგებული იყო ნამდვილ ქართულ ტრადიციებზე¹.

შოი მღვიმელი გრიგოლის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. მას ტატიშვილები თავის ოჯახის წევრადაც კი თვლიდნენ.

ერთხელ, გრიგოლის უფროსი ვაჟის—იოსების დაბადების დღეს შეკრებილ სტუმრებს შორის ბავშვი ღვინით შეზარხომებულ შოი მღვიმელს ჩასციებია—ძია შოი, ლექსი დამიწერო; რომ არ მოეშვა, მღვიმელმა ხელში მოხვედრილი გ. ერისთავის თხზულებათა წიგნის ყდის შიდა გვერდზე ექსპრომტად შემდეგი ლექსი დასწერა:

„*უორეკამა² ლექსი მთხოვა,
ჩემთვის ძნელი მტრის-მტერი,
აბა, ლექსა როგორ დაეწერ
ღვინით მთერალი, მისგან რეტი“-ო³.*

შოი მღვიმელის პირველი წიგნი, რომელიც მხატვრულად გაფორმებული და ილუსტრირებულია ტატიშვილის მიერ, საბავშვო ლექსების კრებული „*ცვარი*“ იყო. წიგნი, გრიგოლის მეუღლემ ელისაბედმა გამოსცა 1891 წლის მარტში.

ყურადსაღებია გამოცემლის მიმართვა „*პაწაწინა შეგობრებისადმი*“,⁴ საიდანაც ჩანს, რომ „*ცვარის*“ გამოცემამდე ტატიშვილის მიერ გაფორმებულმა წიგნებმა „*შალუას თავგადასავალმა*“ და „*პირუტყვების ამბებმა*“ დიდი პოპულარობა მოიპოვეს პატარა მკითხველებში, რომლებიც ამ წიგნების გამოსულის შემდეგ დაეინებით მოითხოვდნენ სხვა, ახალ, სურათებიან საბავშვო წიგნებს. „*ცვარის*“

¹ ტატიშვილი 1885 წლიდან 1905 წლამდე ცხოვრობდა ვანოვის (ახლა ა. წერეთლის) ქუჩაზე.

² გრ. ტატიშვილის შვილს—იოსებს პატარობისას მეტსახელად ეორეიყას ეძახდნენ.

³ ცნობა მოგვაწოდა გრ. ტატიშვილის შვილის-შვილმა, გრიგოლ ტატიშვილმა.

⁴ მოგვეყავს ამ მიმართვის მთლიანი ტექსტი:

„ჩემო პაწაწინა შეგობრებო!

პაწა სურათებიანი წიგნაკების „*შალუას თავგადასავალის*“ და „*პირუტყვების ამბების*“ შემდეგ, დარწმუნებული ვარ, გულის ფანქვალით მოელოდებოდით კიდევ სხვა ახალ სურათებიან წიგნს. ლოდინი დიდხანს მოგიხდათ. ვინ იცის, იქნება იმედიც გადაიწყვიტეთ და საყვედურით მიგონებდით ხოლმე. დაგვიანებისათვის ნუ გამიწყრებით. თუმცა გვიან, მაგრამ ჩემი დაპირება მაინც შევასრულე. ჭერ ეს პატარა „*ცვარი*“ იქმარეთ, წყურვილი მოიკალით და მერე, ღმერთაა შემწე, მტრს მოგაწოდებთ“. (მღვიმელი, შ., *ცვარი*. საყმაწვილო სურათებიანი წიგნი, ტფილისი, ელისაბედ ტატიშვილის გამოცემა, 1891 წ.).

გამოქვეყნებით გრიგოლმა და ელისაბედმა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს პატარა მკითხველების ეს სურვილი. შიო მღვიმელის „ცვარს“ სიხარულით შეხვდა მოზარდი თაობა.

პოეტი თავის ლექსებში ბავშვებს ესაუბრება მათთვის გასაგები ენით. შიო მღვიმელის ლექსები თავისი ფორმით, შინაარსითა და იდეით მორალურად ამალლებენ და აკეთილშობილებენ პატარებს. ეს ლექსები მათი განუყოფელი მეგობრები გახდნენ. ამიტომ, რომ შიო მღვიმელის პოეზია ისეთივე სუფთაა და წმინდა როგორც ბავშვის სული.

„ცვარი“ დიდის გულმოდგინებითაა გაფორმებული ტატიშვილის მიერ.

ინტერესს იწვევს თვით წიგნის გარეკანი, სადაც სათაური: „ცვარი. საყმაწვილო წიგნი სურათებით“ გვერდის შუა ნაწილში, წითელ მიწარზეა განოსახული. სათაურს გარშემო ერთკმის ერთმანეთში გადახლართული ცისფერი ყვავილები, ფოთლები და ხაზობრივი ამია. ტატიშვილის მიერ თვითორეული ფერისათვის (წითელი, ცისფერი, შავი) ცალ-ცალკეა ამოჭრილი ხეზე შესატყვისი გამოსახულება — თვითველ ფერს თავისი საკუთარი კლიშე აქვს.

წიგნში ყოველ ლექსს თან ერთვის როგორც ტატიშვილის მიერ შედგენილი სურათი ისე მხატვრული გაფორმების სხვა დამხმარე ელემენტი. ილუსტრაციებიდან ზოგი ტექსტივეა ჩართული, ზოგი კი თავსამკაულად ან ბოლოსამკაულადაა გამოყენებული.

მაგალითად:

პირველი ლექსის „ია“-ს ილუსტრაცია თავსამკაულადაა მოცემული. ლექსის შინაარსის შესატყვისად აქ გამოსახულია იის ერთმანეთში გადახლართული ყვავილები და ფოთლები, რომლებთანაც მარცხენა, ქვედა მხარეს ლექსის პირველი ასო „შ“ არის შერწყმული. ლექსი ასე იწყება:

„შეზეთ ამ ტურფაჲ, მშენიერს,
ლურჯად აფეთქილს იაჲ,
ყველას თავისკენ იზიდავს—
ფუტკარს, პეპელას, ჭიასა...“

ტატიშვილი ლექსის თვითველ ტექსტს შორის ათავსებს პატარა ფრთებგაშლილ პეპლებს, რომლებიც ერთგვარად ესიტყვება ლექსის შინაარსს. ლექსის ასეთი სახით გაფორმება ტატიშვილის მეტად ორიგინალური წამოწყებაა.

გარდა ამ ლექსისა, სურათ-თავსამკაულთ გაფორმებულია 20-

ლი რიგი ლექსებისა. მაგალითად, ლექსი „მწყემსის“ თავსამკაულად გამოხატულია პატარა ბიჭი. იგი სალამურის დაკვრასთან ერთად თვალყურს ადევნებს იქვე მყოფ ნახირს, რომელიც ბალახს ძოვს. კომპოზიციურად კარგად არის მოფიქრებული ლექსი „ნინოს“ ბოლოსამკაული. აქ პატარა გოგონა წვენის ქამის დროს იქვე მოფუსფუსე ქათმებს უჯავრდება. ამ დროს კი

„...იატაზე ნელ-ნელა
ღღვრებოდა წვენი ძირსა.
ციცუნასაც ე' უნდოდა
დღეა საუზმედ. მეტი არა,
გამოძლა და მერე ჩუმად
კარებისკენ გაიპარა“.

სურათ-ბოლოსამკაულებიდან აღსანიშნავია ძალღის თავი და კონბალი— ლექსი „მწყემსისათვის“, თავ-აწყული, ამაყი მამალი— ლექსი „მამალისათვის“, წაქცეული ქილა, საიდანაც მაწონი იღვრება— „პატარა ქურდებისათვის“, პატარა, კულშემოკეცილი დაღვრემილი კატა— „ფისუნისა დარდისათვის“ და სხვა.

ტატიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ სურათების შედგენითა და მათთვის კლიშეების დამზადებით. იგი წინასწარ ურჩევს წიგნში ამ სურათებს თავის შესაფერად გიგანს, რითაც ნორჩ მკითხველს უქმნის ისეთ მიმზიდველ სამყაროს, რომელიც უნვითარებს მას წარმოდგენისა და წარმოსახვის უნარს.

ილუსტრაციებს გარდა წიგნში განოყენებულია შავ, ოთხკუთხა მიწარზე გამოსახული თავი ასოებიც—სულ თოთხმეტი ცალი.

„ცვარის“ გაფორმებით გრ. ტატიშვილი შიო მღვიმელის ლექსების პირველ ილუსტრატორად, მის პირველ ხორცმემსხმელად გვევლინება. ამავე დროს ტატიშვილი წიგნისათვის ილუსტრაციების დართვით დიდად უწყობს ხელს ნორჩ მკითხველთა შორის შიო მღვიმელის ლექსების პოპულარიზაციის საქმეს.

იმავე, 1891 წელს ტატიშვილმა გამოსცა მის მიერვე დასურათებული შიო მღვიმელის კიდევ ორი წიგნი: „ძუნწი“ და „სამი ცელქი“.

პოემა „ძუნწს“, რომელიც პოეტს ზღაპრად ჰქონდა გაგონილი, ტატიშვილი მხოლოდ ილუსტრაციებს უკეთებს. მხატვრული გაფორმების სხვა დამხმარე ელემენტები წიგნში მოკეპული არ არის.

პოემისათვის ტატიშვილი ხუთ სურათს ამზადებს:

პირველ სურათზე, რომელიც პოემის დასაწყისში თავი ასოსთანაა დაკავშირებული, თეთრწვერა მოხუცია გამოსახული. მას ცალ

ხელში ოქროს ფული უკავია და ალტაცებით შეჭყურებს მას, მეორეთ ოქროს ფულების გროვას ჩაშვილებია:

„სულზე უფრო ტყბილი იყო
იმისათვის ცალი გროში“.

სურათზე მეტად ორიგინალურადაა ჩახატული ბოქლომი და გასალები, რომლებიც ძუნწის თვისებათა სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს.

მეორე სურათი ხსნის პოემის შემდეგ სიტყვებს:

„შავად გამხმარს, აწოწილსა
ხელთ ვკირა დიდი ცელი:
მას არ ჰქონდა კაცის სახე
იყო მეტად სახარული“.

ამ სურათზე ოქროს ფულების სააღერსოდ, ყუთთან ჩამჯდარა ძუნწი. იგი შემკრთალი შეჭყურებს შორიახლო მდგომ ადამიანის ჩონჩხის სახით გამოსახულ სიკვდილს, რომელსაც ხელში სიკვდილის ცელი უკავია.

მომდევნო სურათზე, ძუნწი უზის მაგიდას, რომელზეც ქილა დგას და აღმართულია ოქროს ფულების გროვა. მას ეშინია, რომ მისი ქონება სიკვდილის შემდეგ არავის დარჩეს და ამიტომ სათითაოდ გადაყლაპავს უპირებს თავის ფულებს. ყლაპვის გასაადვილებლად იგი მათ ერბოში ასველებს:

„შემდეგ ერბოს ქილის წინვე
დიდ კაცურად გაიტყლია
და ოქრო-ფერცხლს მოწიწებით
სათითაოდ უწყო ყლაპა.“

მაგრამ სიხარბემ მოუსპო სიცოცხლე ძუნწს; ტატიშვილმა ამ ზომენტს ცალკე სურათი მიუძღვნა. სურათზე, ოქროს ფულების ყლაპვისაგან დამხრჩვეალი ძუნწი იატაკზეა გაშხლართული.

უკანასკნელ სურათზე, რომელიც ბოლოსამკაულადაა გამოყენებული საფლავი და ჯვარია გამოხატული. იგი სიმბოლური გამოსახულებაა იმისა, რაც ძუნწმა მოიპოვა თავისი სიხარბით.

„ძუნწის“ ილუსტრაციების შეფასებისას მნახველისათვის ცხადი ხდება, რომ ტატიშვილი აქ უკვე ნამდვილ და სრულფასოვან მხატვრად გვევლინება. მაღალ შეფასებას ღებულობს ტატიშვილის მიერ

ქსილოგრაფიული წესით დამზადებული კლიშეებიც.¹ სურათებში კარგად არის გადმოცემული ძუნწის ფსიქოლოგია, მისი განცდები და ხასიათი. შიო მღვიმელს, ისევე, როგორც გრ. ტატიშვილს, სძულს ასეთი კატეგორიის ადამიანები. ტატიშვილი ცდილობს რაც



შეიძლება მუქ ფერებში დაგვიხატოს ძუნწის ტიპი. ამიტომეა, რომ მხატვარმა ერთგვარი კარიკატურული სახე შექმნა სულმდაბალი, ზნედაცემული ადამიანის გამოსახატავად. მან ძუნწის ყოველ მოძრაობაში, გამოხედვაში მდაბალი სული, მისიჭვიწრო და ხარბი თვალთახედვა გამოაჩინა.

„ძუნწის“ ილუსტრაციები ტატიშვილის წმემოქმედებითი ზრდის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. მან კიდევ ერთხელ დაანახვა საზოგადოებას, რომ თავი ასოების, თავსამკაულებისა თუ ბოლოსამკაულების შექმნით არ შემოიფარგლება, არ ამოიწურება მისი მოღვაწეობის დიაპაზონი.

ტატიშვილმა „ძუნწის“ და, საერთოდ, შიო მღვიმელის პოემებისა თუ ლექსების გაფორმებით, მათი დასურათებით საბოლოოდ დაიმკ-

¹ დატულია საქ. ლიტერატურულ მუზეუმში.

ვიდრა საბავშვო ლიტერატურის ილუსტრატორისა და მხატვრული გამფორმებლის საპატიო სახელი.

ისევე როგორც „ძუნწი“, „სამი ცელქი“ ტატიშვილის შემოქმედების სრულფასოვანი ნაწარმოებია.

ტატიშვილი წიგნში შემავალ სამ პატარა ზომის პოემას მხატვრულად სურათებითა და ლამაზი თავი ასოებით აფორმებს.

პირველ მათგანს („გიგა“) ხუთი პატარა სურათი აქვს მიძღვნილი, მეორეს („ვანო“) შვიდი, მესამეს („თამრო“) ხუთი. თვითეული მათგანის შესახებ ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა შორს წაგვიყვანს. ვიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ ისინი სრულებით არ ჩამოუვარდებიან თავისი მხატვრული ღირსებით „ძუნწის“ ილუსტრაციებს. ეს სურათები მეტად დამაჯერებელი არიან და ბავშვებზე უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ილუსტრაციებს გარდა დიდ ინტერესს წიგნის მხატვრული გაფორმების სხვა ელემენტებიც იწვევს. თვითეული ლექსი თავი ასოთი იწყება. ზოგიერთ გვერდზე ტექსტს სამი მხრიდან უგლის გარშემო ყვავილოვან-ფოთლოვანი სამკაული. წიგნში მრავლად არის მოთაყსებული სურათოვანი თავსამკაული და ბოლოსამკაული.

მაგალითად:

პოემა „ვანოს“ დასასრულს არსებულ ბოლოსამკაულზე სხვადასხვა ნაციონალური მუსიკალური საკრავია გამოხატული; წიგნის მე-6 და მე-9 გვერდებზე მოცემული თავსამკაულები ქართულ არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ დეკორიდან ნასესხებ ჩუქურთმების გრაფიკულ სტილიზაციას წარმოადგენს და ა. შ.

გარდა ამ გამოცემისა „სამი ცელქი“, ასეთივე სახის მხატვრული გაფორმებით, გამოვიდა 1903 წელსაც.

გარდა აღნიშნული წიგნებისა გ. ტატიშვილს დასურათებული აქვს შიო მღვიმელის ზღაპარი „ოქროს თავთავი“, რომლის ორ ილუსტრაციასაც აქვე ვათავსებთ.

ვიხილავთ რა შიო მღვიმელის წიგნების მხატვრულ ღირსებას, ჩვენ მით ანალიზს ვუკეთებთ იმასაც თუ რა და როგორი გზით ვითარდება ტატიშვილის შემოქმედება გასული საუკუნის 90-იან წლების დამდეგისათვის.

ტატიშვილის მოღვაწეობის ეს პერიოდი, როგორც უკვე დავინახეთ, აღინიშნება ნახატისა და ჩუქურთმების დახვეწილი გრაფიკული დამუშავებით და ქსილოგრაფიული ტექნიკის სრული დაუფლებით.



შ. მღვიმელის ზღაპარი „ოქროს თავთავის“ ილუსტრაციები (გრაფიკა ხეზე).

მართალია, გრიგოლ ტატიშვილმა ჯერ კიდევ ადრე დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობა, რითაც ხელი გაიწაფა ორნამენტიკის დამუშავებაში, ხეზე ჯრის ტექნიკის ათვისებაში, მაგრამ რასაც ნახატის დაუფლების თვალსაზრისით მან შიო მღვიმელის წიგნების ილუსტრაციებზე მუშაობის დროს შეიძლება, ხელოვნების ამ სფეროში მისი წარმატების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.





იო მღვიმელის აღნიშნული წიგნების შემდეგ ტატიშვილი აფორმებს ლაღო აღნიაშვილის¹ სერიულ გამოცემას, საერთო სათაურით — „ახალი ანბანი“ და „უბის ლექსიკონი“.

„ახალი ანბანი“ 1892 წლის მაისში გამოვიდა.

წიგნისათვის სპეციალურად დაბეჭდილ სარეკლამო ფურცელში, რომელიც თვით ტატიშვილის შედგენილი და გაფორმებული იყო, ნათქვამია: „დაიბეჭდა და იყიდება წიგნაკები: „ახალი ანბანი“ შედგენილი და გამოცემული ვლ. აღნიაშვილის მიერ. ეს „ახალი ანბანი“

¹ ლაღო აღნიაშვილი დაიბადა 1860 წელს სოფ. შილაში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ იგი გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. სემინარია დაამთავრა 1881 წ.

1885 წელს აღნიაშვილმა დააარსა მომღერალთა პირველი ქართული გუნდი, რომელმაც 1886 წელს ქართულ თეატრში გამართა პირველი კონცერტი. აღნიაშვილი სცემდა წიგნებს. თანაშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „ჩეჩილში“, „ივერიაში“ და სხვა.

1894 წელს იგი გაემგზავრა სპარსეთში, სადაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში შეისწავლა სპარსული ენა და გაეცნო შახ-აბასის მიერ საქართველოდან გადასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას. სპარსეთიდან დაბრუნებულმა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა „მოამბეში“, ხოლო შემდეგ კი ცალკე წიგნად: „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (1896 წ.).

ლაღო აღნიაშვილი გარდაიცვალა 1904 წლის 23 აპრილს.

გამოვა 33 პატარ-პატარა წიგნაკად და შეიცავს—წერა კითხვის, წერილ-წერილ ლექსებს, პატარ-პატარა ამბებს, პირველ დაწყებით ცნობებს სხვადასხვა მეცნიერებითგან (მინერალოგიიდან, ბოტანიკიდან, ზოოლოგიიდან, ფიზიკიდან, გეოგრაფიიდან და ისტორიიდან...); მოთავსებული იქნება აგრეთვე ბიოგრაფიები, ცნობები სამშობლო ლიტერატურიდან, საღმრთო სჯულიდან და სხვა-დასხვა. თითო მათგანი იქმნება არა ნაკლებ 32 გვ. ანუ ერთი ბეჭდური თაბახისა და ელირება ორი შაური. სახელად წიგნებს ეწოდება ქართული ასოების სახელები: „ან“, „ბან“, „გან“, „ღონ“, „ენ“, „ვინ“, „ზენ“... ყოველი წიგნაკი შემკობილი იქნება შესაფერის სურათებით და მორთულობით და მთელ გამოცემაში ჩაერთვის 300—500-მდე სურათი. სურათები ჩვენის ცხოვრებიდან დამზადებულია სხვა-და-სხვა მხატვართაგან და ამოჭრილია ხეზედ ბ. გრ. ტატიშვილის მიერ“.

როგორც ვხედავთ ტატიშვილს დიდი მუშაობის ჩატარება მოელოდა, მაგრამ მან ყოველგვარ სიძნელისდამიუხედავად ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

წიგნაკებში მასალა შემდეგი სახით ნაწილდება:

1. „ან“, 1892 წ., წიგნი პირველი,—წერა-კითხვა.
2. „ბან“, 1892 წ., წიგნი მეორე.—წერილ-წერილი ლექსები (ხალხური ლექსები).
3. „გან“, 1892 წ., წიგნი მესამე,—პატარ-პატარა ამბები და ა. შ.

თვითეულ წიგნაკს სათაურის ქვეშ წამძღვარებული აქვს აკაკი წერეთლის ლექსი, რომელიც ანბანის სისტემაზეა აგებული.

მაგალითად:

1. „ან“, 1892 წ.

„ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...
პირველი ასო არის: „ა“.

2. „ბან“, 1892 წ.

„თუ სწავლით თვით ვერ ამალდდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოშბან,
ჩირქს მოდებულსა მტრობისგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: „ბან“.

და ა. შ.

შემდეგი წიგნაკები: „ღონ“ (1892 წ.), „ფინ“ (1893 წ.), „ზენ“, (1893 წ.), „თან“, (1893 წ.), „ინ“ (1893 წ.) „კან“ (1893 წ.) შეიცავს პირველ-დაწყებით ცნობებს მინერალოგიიდან, ბოტანიკიდან და ზოოლოგიიდან.

„ახალი ანბანის“ თემატიკის მრავალმხრივობა საშუალებას აძლევდა ახალგაზრდა მკითხველს გასცნობოდა მეცნიერების მრავალი დარგის აუცილებელ პირველდაწყებით საკითხებს.

„ახალი ანბანი“ უმთავრესად პატარა ზომის სურათებითაა ილუსტრირებული.

ყოველი წიგნაკის გარეკანზე, აკაკის ლექსის ქვეშ, პატარა სურათი და რებუსია მოცემული. ზოგიერთ სურათზე ალგორითული ფორმებითაა გადმოცემული საზოგადოების სოციალური უთანასწორობის გამომსახველი მომენტები.

მაგალითად:

1. წიგნაკ „ღან“-ის გარეკანზე, აკაკის ლექსის ქვეშ, გამოხატულია დათვი, რომელიც ბატს შეეპყვება. დათვის გვერდით გამოსახულია ორი ბელა, რომელთაგან ერთი ყურებდაცქვეტილი შეპყურებს მოძალადეს, ხოლო მეორე თათებით თვალეზზე მომდგარ ცრემლებს იწმენდს. სურათში გატარებულია ის აზრი, რომ საზოგადოებაში არსებობენ ისეთი ადამიანები და არსებობს ისეთი გაბატონებული საზოგადოებრივი ფენა, რომელთა წარმომადგენლები ჩაგრულებს შრომით მოპოვებულ ლუქმას ართმევს, და ამით აგებს თავის პირად ბედნიერებას.

2. წიგნაკ „ღონ“-ის გარეკანზე გამოხატულია არა გულხელდაკრეთილი და მტირალი, არამედ მებრძოლი და თავის უფლებების დამცველი ადამიანები. სურათზე, რომლის სიღრმეში ქართული ეკლესია და ციხე-სიმაგრე მოჩანს, მოცემულია ორი მწყემსი, რომლებიც კომბლებით ხელში პირიდან აგდებინებენ მგელს მის მიერ მონატაც ცხვარს და სხვა.

გრ. ტატიშვილისა და ლ. აღნიაშვილის ურთიერთობის საკითხის ნათელსაყოფად ინტერესს მოკლებული არ არის აღნიაშვილის მიერ ტატიშვილისადმი მიწერილი, დღემდე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილი, სადაც შემდეგია ნათქვამი:

„ძმურად გაცნობილო გრიგოლ!


თქვენ და თქვენის ოჯახობით ბედნიერად ცხოვრებას ღმერთსა ვსთხოვ. თქვენი გამოგზავნილი ნიმუშები შევცვალე რაოდენიმე. თუმც მართალია ზოგი მათთაგანი განსხვავებულ შრომას გამოიწვევს

•თქვენგან, მაგრამ ესასოებ, რომ არ დაიზარებთ თქვენს გულითად ხელოვნებას და მშეენიერს სახლს დასდებთ თქვენს ხელთქმნილებს.

„ღონ“

შენს ვალსა აასრულებდე
ერთგულად, რაც კი მოგანდონ!
ნუ შეგაშინებს სიკვდილი...
მაგრამ ისწაეღე ჯერ ეს: „ღ“.

აკაკი




წკრიდი ამბები

„ენ“

პირადი სარგებლობისა,
იცოდე, ძეზნას დაეზნენ!
იყავ შენ მუწა ქვეყნისა...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: „ენ“.

აკაკი

I'



გასსართობი

და ამით დაიმსახურებთ ჩვენის ძმობის მადლობას, რადგანაც არც ჩვენთვის არის სასიამოვნო, რომ: სხვას და სხვას ვახატავინოთ.

როგორც გაცნობებთ აღმოგვიქერ ანგელოზი და მასთან ბავშვი, მასთან გველი, მაგრამ ბავშვიდამ გარბოდეს ან თავი გასაქცევად ექიროს. თუმც მოდიდოები გამოვა არა უშავს, ოლონდ ლამაზები იყვეს. ცხოველების დახატვა მით კარგია, რომ ბავშვებისათვის მეტი სასურველია და მასთან ცნობისმოყვარეობას აღუძრავს და ანაბანას კითხვას შეაყვარებს. მე მიკვირს, რომ ქართველ კაცს კინკრაქას ცნობა არ ჰქონია—ესრეთი ცნობილი ფრინველისა... საქმე ისაა, რომ ცხოველები და ნივთები ცნობილი რაც არის ქართულ ენაში უნდა დაიხატოს და ვინც არ იცის უთუოდ გაიცნოს¹.

ტატიშვილი ქართული ანბანის თვითეული ასოსათვის სურათს ცალცალკე ხატავდა, მაგრამ აღნიაშვილი, გამომდინარე პედაგოგიკის ძირითად დებულებებიდან, ხანდახან აცვლევინებდა კიდევ ზოგიერთი ასოს შესატყვის სურათს სხვა, ახალი სურათით. აღნიაშვილის გამოცემებისათვის შესრულებულ ესკიზებზე, რომლებიც დღეს გრ. ტატიშვილის არქივშია დაცული, ხშირად არის მიწერილი აღნიაშვილის შემდეგი სახის შენიშვნები. მაგალითად: ესკიზზე, რომელზედაც გამოხატულია ადამიანის ფეხი და ასო „ფ“, მიწერილია—„სილამაზისათვის კარგია, თუმც თუ არ დაიზარებ ფარშევანგი გააკეთე“ ან სურათზე, რომელზედაც ბარი და ასო „ბ“ არის დახატული—„მისახედომად კარგია, მაგრამ ბავშვი სჯობს“ ან „დათვი სჯობს“ (დანა და ასო „დ“), ან „თევზი ან თხა დაიხატოს“ (თოხი და ასო „თ“) და სხვა. ტატიშვილიც ამ შენიშვნე-



ღის მიხედვით ხატავდა ახალ სურათებს და ასოებს. იმ შემთხვევაში როდესაც გრ. ტატიშვილის მიერ შესრულებული ესკიზები სავეებით ესიტყვებოდა გამოცემათა საერთო ხასიათს, კმაყოფილი აღნიაშვილი ესკიზებზე ასე აწერდა ხოლმე: „ძლიერ კარგი და ლამა-

¹ წერილი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

ზია ცხენი“ ან „მშვენიერია“ („ზ“—ზარი), „კარგია“ („კ“—კიბე) და ა. შ.

გარდა „ახალი ანბანისა“, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ტატიშვილი აფორმებს აღნიაშვილის „უბის ლექსიკონს“ და თვით იღებს აქტიურ მონაწილეობას მისი გამოცემის საქმეში. წიგნი გამოვიდა 1887 წელს.

ტატიშვილის ამ გაწეული შრომის შესახებ ლაპარაკობს ლაღო აღნიაშვილის მიერ ტატიშვილისადმი და გამომცემელ ექვთიმე თავართქილაძისადმი მიწერილი წერილები. მოვიყვანთ აქედან ორ ნაწყვეტს:

1. გრიგოლ ტატიშვილისადმი მიწერილი წერილიდან:

„... ეხლა რა გითხრა: ჩადი ჯიბგირ ჩარკვიანთან¹, გამოართვი ხელნაწერი „უბის ლექსიკონი“, სამი რვეულია; მიეც ექვთიმეს (თავართქილაძე. მ. უ.), გაგზავნოს ცენზორთან და ბეკდოს. შენ, ჩემო გიგა, სულ იქ უნდა იყო, ჩემს მაგიერობა გასწიო, ვინაიდან გემოვნებაც იცი ჩემი. შენი ლაღო“.

2. ექვთიმე თავართქილაძისადმი მიწერილი წერილიდან:

„... ეხლა საქმეზედ: მოიტანს მანდ გიგა ტატიშვილი ჩემს ხელნაწერს და რასაკვირველია ცენზორთან გაგზავნი: გიგა მუღამ მანდ გეყოლება...“ და სხვა².

„უბის ლექსიკონი“ გაფორმებულია პატარა-პატარა სურათებითა და რამდენიმე თავი ასოთი, რომლებიც პირდაპირ ვადმოლებულია ტატიშვილის მიერ გაფორმებულ სხვა წიგნებიდან; ამიტომ მკითხველის ყურადღებას მათ შესახებ აღარ შევაჩერებთ.

¹ აღნიაშვილი „ჩიბგირ ჩარკვიანის“ ქვეშ გულისხმობს გამომცემელ გრიგოლ ჩარკვიანს, რომელსაც ეს მეტსახელი შერქმეული ჰქონდა დაუღვგომელი და ცუდი ხასიათის გამო. აღნიაშვილი, ისევე როგორც ტატიშვილი ანტიპატორად იყვნენ განწყობილნი ჩარკვიანის მიმართ.

² წერილები დატულია საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.





ართალია, 1893 წელს საეკლესიო გამომცემლობამ, მ. შარაძის, რ. ბარამიძისა და სხვათა თაოსნობით, დაიწყო რელიგიურ თემებზე პატარა-პატარა წიგნაკების გამოცემა, სადაც ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ამბები იყო აღწერილი, მაგრამ საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საკითხი გაცილებით ადრე წამოიჭრა ჩვენში. ამის შესახებ დიდი ქართველი პუბლიცისტი ზაქარია ჭიჭინაძე თავის წერილში — „ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა (1625—1900)“ — წერდა:

„1887 წელს თბილისის უმაღლესი სამღვდელთა პირებს შორის აღიძრა კითხვა ქართვის საეკლესიო წიგნების ბეჭდვაზედ, რადგანაც იმ დრომდის საეკლესიო წიგნებმა ვერ მოაღწიეს, ადრე მოსკოვში დაბეჭდილნი ეკლესიებში ხმარებისაგან გაცდნენ, მთლად დაიფხრიწნენ. ვარდა ამისა ეკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე კინალამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა აღრინდებულათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის რაგვარ და რანაირად დაიბეჭდებოდნენ. ეს გარეშობა ბევრს ეწეინა, განა დღეს ჩვენი სტამბები იმოდენა არ უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თბილისში მოვახერხოთ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვაო! ეს რასა ჰგავსო. მრავალნი უკუღმართნი ისეთ აზრების იყვნენ, რომ ვითომც თფილისში ვერ გამოსცემენ ისე, როგორც მოსკოვსო.“

ამ გარემოებას მკაცრად აღუდგა წინ ექ. ხელაძე, რუსეთის სტამბების ფასს საკმარისად დაუკლო და საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან ითხოვა, ზოგმა ექვი განუცხადეს, ვერ გამოცემო. ამან პირობა მისცა ასე: პირველი—იაფათ დავბეჭდავ, მეორე—თბილისში უფრო კაი კომისია შედგება, რომ წიგნების კორექტურა კარგად შესწორდეს, მესამე—თვით დედნებიც შეიძლება გაუმჯობესდეს და განხილულ იქნეს მკოდნე პირებთაგან, მეოთხე—ამისათვის მე გირავნობას შემოვიტან სინოდის კანტორის წინაშე, რომ თუ ყოველივე ასე არ აღსრულდეს, თბილისში ჯერ არ გამოიცეს ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს გირავნობაზე ხელი ავიღო, ჯარიმაც გადავიხადო.

ბევრი შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართულ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თბილისში იქმნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამდის უნდოდათ ზოგიერთ პირებს¹.

მიუხედავად ამ დადგენილებისა, როგორც ვხედავთ, 1893 წლამდე „საღმრთო წერილის წიგნების“ ბეჭდვას თავი ვერ მოაბეს—ექვთიმე ხელაძის მიერ დაწყებული საქმე პრაქტიკულად სხვებმა განახორციელეს.

ჩვენ, ეს ცნობა აქ მარტო მისთვის არ მოვიტანეთ, რომ ნათელი გაგვეხადა „საღმრთო წერილის წიგნების“ ბეჭდვის 1893 წლამდე გადაწყვეტის ამბავი. იგი რა თქმა უნდა საინტერესოა ჩვენთვის იმ მხრივ, რომ ამ წიგნების გაფორმების საქმეში თავისი წვლილი აქვს შეტანილი გრიგოლ ტატიშვილს, მაგრამ ამ ცნობაზე და სხვა არსებულ მასალებზე დაყრდნობით, ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდოდა გაგვესვა ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ ქართული პოლიგრაფიული საქმის მზარდ განვითარებასთან ერთად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეს იმ დროს, როცა ჩვენი სასტამბო საქმე ის ის იყო იწყებდა აღორძინებას და დგებოდა შედარებით უფრო მყარ საფუძველზე, გამტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული წიგნები დაბეჭდილიყო მხოლოდ ადგილობრივი ძალების გამოყენებით და გამოსულიყო აქვე, საქართველოშივე, სხვის დაუხმარებლად.

¹ აკაკის თვითრიკრებული, 1899 წ., XII, ტფილისი, სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, 1900 წელი, გვ. 141—142.

მ. შარაძისა და რ. ბარამიძის წიგნაკებში წამებულების, წმინდანებისა და სხვათა ცხოვრების აღწერის გარდა, ხშირად იბეჭდებოდა ისტორიულ პირთა ბიოგრაფიული ცნობებიც.

თვითეულ გამოცემას, სათაურის ქვეშ დართული აქვს სურათი, რომელზედაც გამოსახულია წიგნში მოხსენებული წამებული თუ წმინდანი ყველა თავისი დამახასიათებელი ატრიბუტით.



მ. ტატიშვილის მიერ საეკლესიო გამოცემლობისათვის შესრულებული ილუსტრაცია „წმ. გიორგი“ (გრავეურა ხეზე).

გარდა ამ სურათებისა წიგნაკებში მოცემულია რამდენიმე თავსამკაული, რომელიც სხვადასხვა ფოთლოვან-ყვავილოვანი ჩუქურთმითაა შედგენილი და ყველგან შავ მიწარზეა მოცემული.

წიგნაკებში ილუსტრაციათა უმრავლესობა და გაფორმების მხატვრული ელემენტები, როგორც ზევით აღენიშნეთ, შედგენილი და ხეზე ამოჭრილია გრ. ტატიშვილის მიერ.

საეკლესიო გამომცემლობის მიერ 1893—1899 წლებში გამოქვეყნებული წიგნების მხატვრული გაფორმება არ აღინიშნება რაიმე ისეთი განსაკუთრებული მომენტით, რომ მის შესახებ ჩვენ გარკვეული მოსაზრებები გამოვთქვათ. ამ წიგნებში არსებული მხატვრული გაფორმების ელემენტები უმთავრესად ტატიშვილის მიერ გაფორმებულ 1893 წლამდე გამოსულ წიგნებში გვხვდება. აქ მხოლოდ განმეორებას აქვს ადგილი.

რაც შეეხება ილუსტრაციებს, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წმინდანებისა თუ წამებულების ტიპები, ფიგურების დაყენება და მანერა შესრულებულია ანალოგიური ხასიათის რუსული გამოცემების მიბაძვით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უკარგავდა მხატვარს ინდივიდუალობასა და თვითმყოფობას.

ასეთ ილუსტრაციათა რიცხვს ეკუთვნის 1893 წელს გამოსული სერიის პირველი წიგნი „ცხოვრება შვიდთა ყრმათა იფესელთას“ გარეკანზე მოთავსებული სურათი. აქ, წიგნის სათაურის ქვეშ გამოხატულია ოქლონის მთის გამოქვაბულში ღმერთის სურვილისამებრ მიძინებული შვიდი ახალგაზრდა იფესელი ყრმა.

ცხოველ ინტერესს იწვევს 1898 წელს გამოსული „ცხოვრება ქალწულ მოწამისა და მოციქულისა სწორისა თეკლასი“, რომლის ბოლოს დაბეჭდილია დასურათებული ქართული ანბანი, შედგენილი და ხეზე ამოჭრილი გრ. ტატიშვილის მიერ.





იდ ინტერსს იწვევს გრიგოლ ტატიშვილის სამწერლო-მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. წიგნების დასურათებიანა და მხატვრულ გაფორმებასთან ერთად იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა. ტატიშვილს არა ერთი და ორი საბავშვო მოთხრობა აქვს თარგმნილი ან გადმოკეთებული რუსულ, ან ფრანგულ ენებზე დაბეჭდილ მოთხრობებიდან.



სანიმუშოდ მოვიყვანოთ 1897 წელს გამოსული საყმაწვილო სურათებიანი წიგნი „ხუმარა სპილოები“, რომელიც ტატიშვილს ფრანგული მოთხრობიდან აქვს გადაკეთებული.

შესავალ ნაწილში ტატიშვილი ბავშვებს მოუთხრობს სპილოების ცხოვრების შესახებ. ლაპარაკობს მათ ზნე-ჩვეულებებზე, მათ აზრიანობაზე, შრომის უნარიანობაზე და იმაზე, თუ როგორ იყენებს მათ ადამიანი თავის სასარგებლოდ. „უკანასკნელ ხანში სპილოს კეკუა-გონება ადამიანმა სხვაფრივადაც გამოიყენა: სხვადასხვა გასართობ-თამაშობას მიაჩვია. სპილოები ცირკებში გამოჰყავთ, სადაც ისინი სხვადასხვა ოინებს სჩადიან. აი, ამგვარის სპილოს ოინბაზობას გავაცნობთ ჩვენს პატარა მკითხველებს“—წერდა ტატიშვილი შესავალის დასასრულს¹.

„ხუმარა სპილოები“ თორმეტი პატარა თავისაგან შედგება. თვითეული მათგანი სპილოების მიერ შესრულებულ რომელიმე:

¹ „ხუმარა სპილოები“—საყმაწვილო სურათებიანი წიგნი. გადმოკეთებული გრ. ტატიშვილის მიერ, ტფ. 1897 წ., გვ. 4.

ერთ საცირკო ილეთზე ლაპარაკობს. ტექატი მეტად სადად, უბრა-
ლოდ და ბავშვებისათვის გასაგები ენითაა დაწერილი.



„ხუმარა სპილოების“ ორი ილუსტრაცია
(გოაეიურა ზეზე).

თითოეულ თავს ერთი, ხან ორი სურათი აქვს შიძღვნილი. სურ-
ათებში ტატიშვილი მეტად ცოცხლად გადმოსცემს სპილოების
10. მ. ჯრუშაძე

მოდრაობას. ეს უწყინარი ცხოველები ერთმანეთს ღრუბლით ხეხავენ, ყირაზე დგებიან, ველოსიპედით სეირნობენ და ა. შ. გრავიორი ხის დაფას მეტად ფაქიზად ამუშავებს. ოსტატური კვეთის შედეგად კარგად არის გადმოცემული სხეულთა რელიეფობა.

ფრანგულიდანვე აქვს თარგმნილი გრ. ტატიშვილს შერეე მოთხრობა, რომელიც მან 1896 წელს გამოსცა „კეთილი ძაღლის“ სახელწოდებით. წიგნისათვის ტატიშვილი ხეზე კვეთს ალ. ბერიძის მიერ შესრულებულ ძაღლის გამოსახულებას, რომელიც მთელი ტანითაა მოცემული. სურათის სიღრმეში მოჩანს ვენეციის „ქუჩა“, ხიდი და წყალზე მოსრიალე გონდოლა. გარდა ამისა, გრ. ტატიშვილს ამ სურათის გამოყენებით ხეზე ამოკვეთილი აქვს იმავე ძაღლის თავი, ჩასმული წრედშეკრულ ფოთლოვან ჩარჩოში.





ატეშვილის მოღვაწეობა მარტო წიგნების მხატვრული გაფორმებით როდი ამოიწურება. იგი 1885 წლიდან ქართული ანბანის სხვადასხვა სახის ალბომების შედგენასა და გამოცემას იწყებს.

ატეშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ გოგებაშვილის გამოცემებზე მუშაობისას შეიგნო ქართული ენის განმტკიცების გადაწყვეტი მნიშვნელობა, უცხოური სიტყვებისა და თქმებით ქართული ენის აკრეფების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ეს იყო ის დრო, როდესაც: „ჩენი ე. წ. მაღალი საზოგადოება... თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დააკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხრა-მოარა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა, აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვაფიწყდა ყოვილივე, რაც ენის შეენებას შეადგენს, რადგან ჩენი აზრი ჩენის ენით აღარ მოძრაობს, ჩენი გული ჩენი ენით აღარ თბება“ — წერდა ილია ქავეკავეძე ქართული ენის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ (1879 წ.).

ქართული ენა აკრეფდა უცხო სიტყვებითა და თქმებით. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით გადმოქართულებულ უცხოურ სიტყვებს. ქარ-

თულ ენას ამახინჯებდნენ როგორც ქუჩაში, ისე დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ოჯახებშიც.

მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ ქართული ენის სიწმინდისათვის სასტიკი ბრძოლა დაიწყო. ბრძოლის სულსჩამდგმელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც მახვილი და ბასრი სიტყვით ილაშქრებდა არსებული ვითარების წინააღმდეგ.

მასთან ერთად ხმა აიმაღლა მრავალმა პატიოსანმა, თავისი ერის მოყვარულმა ადამიანმა. სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება გრიგოლ ტატიშვილიც, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე, დავით ერისთავისაგან წახალისებულმა, ქართული ენის განმტკიცებისათვის ბრძოლის საშუალებად ხელოვნება, კერძოდ ქსილოგრაფია გამოიყენა.

ტატიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართველი ქალები ხელსახოცებზე, ცხვირსახოცებსა თუ თეთრეულზე ქარგვის დროს აღარ იყენებდნენ იმ შესანიშნავ ქართულ ჩუქურთმებს, რომლებითაც ასე მდიდარია ქართული ნაქარგობის მრავალრიცხოვანი ნიმუში. ისინი ქართულ ასოების გამოყენებასაც ერიდებოდნენ და მონოგრამებს თუ სხვა რამ წარწერებს მხოლოდ რუსული ასოებით, „მეტყებით“ ქარგავდნენ, იმართლებდნენ თავს იმით, რომ მონოგრამების ქართული ნიმუშები არსად მოიპოვებოდა.

ტატიშვილმა უპირველესად ყოვლისა მიზნად ამ ხარვეზის გამოსწორება დაისახა. გადასწყვიტა ქართველ ქალებისათვის შეედგინა ლაშაზი ქართული ასოების ალბომი.

ტატიშვილის ამ გადაწყვეტილების შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა:

„ხეზედ სურათების ამომკრელს გრ. ტატიშვილს, რომლისაგან ამოკრილი ასოებით მორთულია „ვისრამიანი“ და „ნობათი“, განუზრახავს შეადგინოს ქართული ანბანი სხვადასხვა რიგად მორთული ასოებისა და გვარისა და სახელის დასანიშნად ხელსახოცებზე ან სხვა თეთრეულზედ. ამ ანბანთანვე ჩართული იქნება სხვა რამ მორთულობაც მხატვრობის ხასიათით“¹.

ტატიშვილმა რამდენიმე ხანში საესებით დაამთავრა ალბომის შედგენა და მას „ქართული ანბანის თაიგული“ უწოდა.

„ქართული ანბანის თაიგულში“ ტატიშვილის მიერ შედგენილი ორი სახის ანბანია წარმოდგენილი². აქ საკმაოდ მოზრდილი ფორ-

¹ გაზ. „დროება“, 1885 წელი, № 94, შინაური კრონიკა.

² პირველ და მეორე სახეში თანმიმდევრულად მოცემულია ქართული ანბანის ენულა ასო, გარდა „ჩაესი“.

მის სტილიზებული ფოთლოვანი, ყვავილოვანი თუ გეომეტრიული ფიგურები მოჩუქურთმებულ წრიულ კომპოზიციაში არიან მოცემულნი. ზოგ ადგილას ასოს მთლიანად ერთკმის გარშემო ორნამენტალური ხვეულები, ვაზის ფოთლებთან და მტეენებთან შერწყმული („ბ“, „ს“—პირველი სახე), ზოგან ასო მოქცეულია ფოთლებისაგან შედგენილ წრიულ გვირგვინებში („ი“, „ლ“—პირველი სახე), ზოგან ასოს შემოვლებული აქვს რვაკუთხედი („რ“—პირველი სახე), რომელსაც მიწარის სახით მუხის ფოთლებისა და რკოს ელემენტებისაგან შედგენილი წრე ერთკმის გარშემო და ა. შ.

ტატიშვილის მიერ შედგენილ ამ ტიპის ასოებს ყველგან აქვს თავისი სტილიზებული მიწარი, რომელიც იმავე დროს ასოს სამკაულს წარმოადგენს. ეს ასოები თუმცა მიწარზე არიან მოცემულნი, მაგრამ თავისი გრაფიკული მონახაზით მისგან გამოიყოფიან და არ არიან მასთან ორგანულად დაკავშირებული.

სულ სხვა სურათს გვაძლევს ალბომში წარმოდგენილი ანბანის მეორე სახე. აქ ასოები დინამიურად არიან დაკავშირებულნი და გადახლართულნი მიწართან, რომელიც ყველა შემთხვევაში ერთმანეთთან დაკავშირებული სტილიზებული ყვავილებითა და ფოთლებით შემკული ხის ტოტებითაა აგებული. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თითოეული ასოს გასათვორმებლად გამოყენებულია სხვადასხვა მცენარის ფოთლები და ყვავილები.

ტატიშვილი ანბანის ამ რიგის შედგენით მცენარეული საპყაროს კარგ მცოდნედ გვევლინება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იგი ყვავილებისა და ფოთლების ნამდვილ, ბუნებრივ სახეს თავისებურად ამუშავებს, უკეთებს სტილიზაციას და აქცევს მას გრაფიკულ ჩუქურთმად.

ალბომის გამოცემა სახსრების უქონლობის გამო მაშინათვე ვერ მოხერხდა. ამავე მიზეზის გამო ვერც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელსაც ტატიშვილმა თხოვნით მიმართა, მოჰკიდა ხელი მის გამოცემას, რის გამოც მხატვარი იძულებული გახდა ალბომის გამოქვეყნება შემდეგისათვის გადაედო.

ამ წარუმატებლობას გული არ გაუტეხია ტატიშვილისათვის. იგი ახალი ალბომების შედგენით შეეცადა საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ისეთი რამ, რაც ამ უკანასკნელს თავისი ეროვნული შინაგანის განხორციელებაში დაეხმარებოდა, კერძოდ, ხელს შეუწყობდა ქართველ ქალების მხრივ ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეს.

ამ მიზნით იგი იწყებს კანვაზე საკერი ანბანის შედგენაზე მუშაობას, რისთვისაც ჯერ კვადრატულ უჯრედებში ასოების განლაგების პრინციპებს სწავლობს იოსებ ჰესეს მიერ ბავარიაში გამოცემული ალბომის მიხედვით¹.

ამ მუშაობის შედეგად 1888 წლის იანვარში გამოდის ქართული ასოების „კანვაზე საკერი ანბანი“.

ქართველი საზოგადოებრიობა და პრესა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ალბომის გამოცემას.

გაზეთმა „ივერია“ შემდეგი სიტყვები მიუძღვნა ამ შემთხვევას: „ქართველ ქალებს სასიამოვნოდ დარჩებათ ის გარემოება, რომ ბ-ნ ტატიშვილს შეუდგენია ქართულად „კანვაზე საკერი ანბანი“, რომელშიც სხვადასხვა ზომის ქართული ასოებია გამოყვანილი. წიგნაკი ძლიერ ლაზათიანად არის გამოცემული, უდავო ოქროს ვარაყიანი ასოებია ამოჭრილი. ეს ძვირფასი შრომა ბ-ნ ტატიშვილისა უეჭველია დიდს ყურადღებას მიიქცევს ქართველ ქალების მხრივ და მალეც გავრცელდება ჩვენში“².

მართლაც ტატიშვილის ეს მცირე ალბომი მოკლე ხანში გავრცელებულა ქართველ ქალთა შორის³.

„კანვაზე საკერი ანბანის“ შედგენისა და გამოქვეყნების შემდეგ ტატიშვილი კვლავ ცდილობს „ქართული ანბანის თაიგულის“ გამოცემას, მაგრამ უსახსრობის გამო ეს სურვილი ისევ განუხორციელებელი რჩება.


ამ დროს, თბილისის სომხური საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებსაც გაგონილი ჰქონდათ ამ ალბომზე ტატიშვილის მუშაობისა და მისი გამოცემის წადილის შესახებ, თხოვნით მიმართეს მას მათთვისაც შეედგინა „ქართული ანბანის თაიგულის“ ანალოგიური სომხური ანბანის ალბომი.

ტატიშვილი სიამოვნებით დათანხმდა და მუშაობაც დაიწყო. იმის გამო, რომ შემეკეთლები ჩქარობდნენ ალბომის გამოცემას, ტატიშვილმა „ქართული ანბანის თაიგულში“ მოცემული ასოების მხატვრული გაფორმება გამოიყენა სომხური ალბომისათვის—


¹ Neueste Stirkmuster — Alpabete. Lith Druck von Jos. Hesse Fuerth Bavary.


² გაზ. „ივერია“, 1888 წელი, № 16, ახალი ამბავი.

³ „კანვაზე საკერი ანბანის“ მეორე გამოცემაც არსებობს. დაიბეჭდა „მესხივეის სტამბაში“ 1897 წელს. პირველ გამოცემისათვის კლიშეები დამზადებული იყო ქვაზე, მეორესათვის თუთიაზე. ორივე გამოცემის ზომა ერთნაირია იგა უდრის 14,5×10,5 სმ.



8. ტატიშვილის ალბომი „ქანვებზე საყვარელ ნაბანის“ რამდენიმე ნიმუში (ლითოგრაფია).





ცვალა ქართული ასოები სომხურით, დაუტოვა რა ამ ასოებს ქართული ასოებისათვის შედგენილი იგივე მიწარი.

გაზეთი „ივერია“ ტატიშვილის ამ მუშაობის შესახებ აღნიშნავდა: „სომხურ გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ბ-ნი ტატიშვილი ამჟამად სომხურ ასოების აღბოძრს ამზადებს. სომხები დახმარებასაც შეპირებიან ქალაქლითაც და ლიტოგრაფიით. ტატიშვილი უკვე შედგომია ასოების ქვაზე ამოკრას. აღბოძრ დაიბეჭდება მესხიევის ლიტოგრაფიაში“¹.

ეს ცნობა მეტად საინტერესოა ჩვენთვის იმიტაც, რომ ტატიშვილის სომხურ აღბოძრზე მუშაობის ამბავთან ერთად გვაუწყებს მის მიერ ლიტოგრაფიულ ქვაზე მუშაობის ახალი ტექნიკის ათვისებასაც.

ამ შრომის შედეგი იყო ის, რომ 1889 წლის ივლისში გამოვიდა „სითვით საქარგი სომხური ასოების აღბოძრ“², რომელიც ტატიშვილმა ქალთა პროფესიულ სომხურ სასწავლებელს მიუძღვნა.

სომხები, გრიგოლ ტატიშვილის დიდი მადლიერნი დარჩენილან. სომხურმა პრესამ სპეციალური წერილებიც კი გამოაქვეყნა ამ აღბოძრის შესახებ; აქ დიდის პატივისცემით არის მოხსენებული ტატიშვილი, როგორც პატიოსანი და დაუზარელი მშრომელი თავისი და სხვა ერების საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეში.

ტატიშვილის ეს აღბოძრ და მასთან ერთად მის მიერვე გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ლიტერატურის მრავალი სხვა ნაწარმოები იმავე, 1889 წელს გატანილი იქნა „კავკასიის სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საგნების“ გამოფენაზე. ტატიშვილს ამ შრომებისათვის ვერცხლის დიდი მედალი და დიპლომი მიუღია.

დიპლომში აღნიშნულია:

„По обсуждении достоинства представленных на выставку предметов IX отдела по 90 группе, Экспертная комиссия признала Григория Павловича Татиева в Тифлисе достойным большой серебрянной медали за гравировальные изделия по дереву. В удостоверение чего от Кавказского общества Сельского Хозяйства выдан сей диплом, с приложением печати. Г. Тифлис, Ноября 12 дня, 1889 г.“³

¹ გაზ. „ივერია“, 1889 წ., № 159, ახალი ამბავი.



² *ხეივანი საქართველოს სოფლის მეურნეობის საზოგადოების გამომცემი, თბილისი, 1889.*

³ დიპლომი დაცულია საქ. სსრ სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.





ქართული ანბანის



მეცამეტე




პედგონი გ. ჩაჩუაძის-მურ




























„სითვით საქარგი სომხური ასოების ალბომის“ გამოსვლის შემდეგ, უკვე, ქართველთა შორისაც ძლიერდება ინტერესი ტატიშვილის მიერ შედგენილი ალბომის „ქართული ანბანის თაიგულის“ მიმართ, რის გამოც გადაწყდა მისი გამოცემა.

მართლაც, 1892 წლის აგვისტოში „ქართული ანბანის თაიგულმა“ მზის სინათლე დაინახა.

ეს ალბომი, რომელიც შემდგენელმა ოფიციალურად მიუძღვნა „ქართველ ქალთა მომავალ სკოლას“, პირველი ქართული სახელმძღვანელო იყო ქარგვის მოყვარულთათვის.

ალბომი დაიბეჭდა ზუსტად იმ სახით, როგორც ტატიშვილს თავდაპირველად, სომხური ალბომის გამოცემამდე ჰქონდა შედგენილი¹. გარდა ასოებისა მას დაემატა „მხატვრობის ხასიათის სხვა რამ მორთულობაც“², რომელიც ალბომი „ქართული ანბანის თაიგულის“ შესამე განყოფილებაშია წარმოდგენილი.

ამ დამატებაში მოცემული ტარასი არქიმანდრიტის ნახატო ასოები თავდაპირველად ხელთ ჩაეარდნია რაფიელ ერისთავს, რომელსაც 1883 წელს გამოსაცემად გადაუცია გრ. ტატიშვილისათვის. ამ უკანასკნელმა ტარასი არქიმანდრიტის მიერ ნახატი ასოების მიხედვით კლიშეები დაამზადა, დაბეჭდა და თავის მიერვე შედგენილ ქართულ ანბანს უკან დაურთო.

ტარასი არქიმანდრიტი (მესხიშვილი) ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელია კალიგრაფიის იმ სკოლისა, რომელმაც მე-18-19 საუკუნეებში დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებასა და კალიგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეს.

„აღორძინება მწერლობაში გამოიხატა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ამ ეპოქის მწიგნობრებმა ქართულ მწერლობას მოაცილეს ის ფერფლი, რომლითაც დაფარა ის დაცემის ხანის წყვილიაღმა, და, ამნაირად, ხელი შეუწყვეს კლასიკური ლიტერატურის მითვლემილ ნაკვერცხალთა ალაპლაპებას“³.

კალიგრაფთა ეს სკოლა, რომელიც „მესხიშვილთა სკოლის“ სახელითაა ცნობილი, ნათარგმნ თუ შეთხზულ ნაწერებთან ტექსტებისა და ნუსხების დამზადების პროცესში შეიქმნა. ქართულ ხელო-

¹ როგორც 1904 წლის „საქართველოს კალენდარის“ დამატებიდან (გვ. 3) ვგებულობთ ალბომი „ქართული ანბანის თაიგული“ სულ 600 ცალის რაოდენობით დაბეჭდილა.

² გახ. „დროება“, 1885 წელი, № 94.

³ კ. კელიძე, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. I, მესამე გადაშუშაგებული და შეესებული გამოცემა, თბ. 1951 წელი. გვ. 59.

ვნების განვითარების ისტორიაში მან, ამ პერიოდისათვის, უდიდესი როლი შეასრულა.

გარდა ამისა „Определенную роль в истории развития грузинского искусства сыграла основанная в 1755 г. католиком Антонием I Анчисхатская духовная семинария, в которой воспитывались все выдающиеся деятели грузинской культуры 18 и начала 19 в. в. В ней, помимо богословских предметов, учащиеся обучались также каллиграфии, пению и живописи“¹.

ასეთი სკოლების დაარსებამ კარგი ტრადიცია შექმნა ქართული ხელოვნების და, კერძოდ, კალიგრაფიის ხელოვნების შემდგომი ზრდისა და განვითარების საქმეში.

არქიმანდრიტთან ერთად „მესხიშვილთა სკოლის“ თვალსაჩინო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ დეკანოზები: გრიგოლი, ალექსი, გიორგი, სოლომონი და დავით რექტორი². გარდა ამისა, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა სახის ნაწარმოებებით გამდიდრებას, მათ მოგვცეს ქართული ანბანის რამდენიმე შესანიშნავი შრიფტიც და მრავალი მეტად ლამაზი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებში არსებული ასოების პრინციპებზე აგებული თავი ასოები, მხატვრულად გაფორმებული სხვადასხვაგვარი ჩუქურთმებითა და სტილიზებული ცხოველებისა თუ ფრინველების გამოსახულებებით.

სწორედ ასეთი თავი ასოების ერთობლიობას წარმოადგენს „ქართული ანბანის თაიგულში“ მოცემული, ტარასი არქიმანდრიტის მიერ შედგენილი ანბანი³.

თვითეული ასო ორი ფერის საშუალებით არის დაბეჭდილი. შავი ფერი გამოყენებულია ასოთა კონტურებისა და სხვადასხვა

¹ Амвравашвили, III.—„Вклад Грузии в сокровищницу художес венной культуры“ (Лекция I в II). თბ. 1953 წ. გვ. 37.

² კეკელიძე, კ. „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. 1, მესამე გამომუშავებული და შეესებული გამოცემა, თბ., 1951 წელი, გვ. 59.

³ ტარასი არქიმანდრიტის მიერ ნახატი თავი ასოების გრაფიკული მოხაზულობა და მხატვრული გაფორმება თავის ანალოგიას ჟერ კიდევ მე-13—14 საუკუნეების ქართულ ხელნაწერ წიგნებში პოულობს. აღსანიშნავია, მაგალითად, დანიელ მოქველის შეკვეთით 1300 წელს გადაწერილი და დასურათებული მოქვის სახარება, რომელიც წიგნის მხატვრული გაფორმების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მოქვის სახარების მინიატურები თავისი ღირებულებით არაფრით არ ჩამოუვარდებიან ქრუცისა და გელათის ცნობილ სახარების მინიატურებს.

ჩვენთვის აშკარა არის ის გარემოება, რომ ტარასი არქიმანდრიტი თავისი

დამხმარე ელემენტის მოსახაზად, ხოლო წითლით შევსებულია შავ კონტურებს შორის არსებული ფართობი, ანუ მთლიანად ასოს სხეული.

ტარასი არქიმანდრიტის მიერ შედგენილი ეს ასოები ქვეწარმავლების და ფანტასტიკური ფრინველების სტილიზაციური დამუშავების შედეგია.

თვითეულ ასოს აქვს თავისი დასაწყისი, რომლისათვისაც გამოყენებულია ამ ქვეწარმავლებისა თუ ფრინველების სტილიზებული თავები და დაბოლოვება, სადაც ხან ისევე ისეთივე თავები, ხან ქვეწარმავლების კულები, ხან კი მოჩუქურთმებული ხვეულებია ნახმარი. ზოგ ადგილას ასოებზე დამატებულია ხლართული ჩუქურთმები სტილიზებული ფოთლები და ხვეულები, ადამიანის ხელის მტევანი, ადამიანის თავები, ქერუბიმები, გველის გამოსახულებანი და სხვა.

ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოების მხატვრულმა დამუშავებამ ძლიერ გაიტაცა ტატიშვილი. ამ ასოების მიზანძვით მას შედგენილი აქვს მრავალი თავი ასო, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემაში, ხან როგორც თავი ასოდ, ხან კი როგორც წიგნის ან ტექსტის სათაურად.

ეს სულ სხვადასხვა ტიპის ასოები პერიოდულად ქვეყნდებოდა როგორც ტატიშვილის სიცოცხლეში გამოსულ გამოცემებში („ქართული ჩუქურთმა“ 1900 წ.), ისე მის შემდეგაც (ი. ჰავკავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წელი).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოების გამოცემით ტატიშვილმა ქართულ საზოგადოებისათვის დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა იმ მხრივ, რომ დღის წესრიგში დააყენა ცნობილი ქართველი კალიგრაფებისა თუ გრაფიკოსთა ნამუშევრების დამუშავების, შესწავლისა და გამოქვეყნების საკითხი.

ის მიზანი, რომელიც ტატიშვილმა დაისახა—ეჩვენებია ქართული ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმებისა და კალიგრა

თავი ასოების შედგენის დროს უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოქვის ან სხვა რომელიმე ხელნაწერის მხატვრული ელემენტებით. ეს ჩანს იქიდან, რომ მოქვის სახარებისა და ტარასი არქიმანდრიტის ნახატ ასოებს შორის პეტალ დილია მსგავსება, ასოთა მრავალი დამახასიათებელი ელემენტი საეხვებით ერთნაირია როგორც სტილის, ისე გრაფიკული მოხაზულობის მხრივაც, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში ასოები ხუცურია, ხოლო ტარასი არქიმანდრიტთან მხედრული. ასოთა სიდიდეც ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია.



თავი ასოების ერთი სახე, შესრულებული გრ. ტატიშვილის მიერ ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოების მიხედვით (გრავეურა ზეზე).

ფიულად დახვეწილი ქართული ასოების დამუშავების მდიდარო-
ტრადიცია—ამ ალბომის გამოცემით ნაწილობრივ განხორციელდა.
ტატიშვილი პირდაპირ მოითხოვდა— განსაკუთრებული ყურადღება-
მიექციათ ახ ნიმუშების შესწავლისა და მათი შემდგომი განვითა-
რების საქმისათვის.

„ქართული ანბანის თაიგულის“ გამოცემის შემდეგ ტატიშვილი-
თავის შეუღლებსთან—მინადორასთან ერთად ბექდავს ქართული
მონოგრაფების ახალ ალბომს: „ჩართულ ანბანს“.

„ჩართული ანბანი“ ანუ, როგორც წას ტატიშვილი სხვაგვარად
უწოდებს— „ქართული ალბომი“, წყვილ-წყვილად ერთმანეთთან გა-
დაბმული ქართული ასოების კრებულს წარმოადგენს და სპეციალ-
ურად დამზადებულია სითვით ქარგვისათვის.

ალბომი ტატიშვილის მრავალი წლის შრომის შედეგია. იგი,
ისევე როგორც წინა ალბომი, ქართული ენის განმტკიცების მიზ-
ნებს ემსახურებოდა.

„ჩართული ანბანის“ წარმოშობის შესახებ ტატიშვილი თავის
ალბომის შესავალშივე შემდეგს მოგვითხრობს:

„სრული თერთმეტი წელიწადი ვიშრომე ამ ჩართულ ანბანზე
(მონოგრაფებზე) და ჩემი თავისუფალი დრო მთლად მის შედგენა-
ამოქრას მოვანდომე. ეს ჩემი განზრახვა 1882 წელს განსვენებულმა-
დავით ერისთავმა, რომელსაც ხელოვნება უყვარდა და რომელიც
მისი დიდი თავყანისმცემელი იყო ძალიან მომიწონა და უფრო წა-
მახალისა კიდევ იმით, რომ ხშირად შემეკვეთდა ხოლმე სხვადა-
სხვა ჩართულს ასოებს, ზოგს თავისთვის და ზოგს სხვისთვის, ამას-
თანავე მეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ ქართველებს არა გვაქვს ხელოვ-
ნური ანბანიო სხვადასხვა ლითონის ნივთებზე ამოსაქრელად და
ქსოვილებზე დასითვით (გლადით) ამოსაქრადო. განსვენებულის
ერისთავისაგან წახალისებულმა, რაც კი შემეძლო ვიშრომე და და-
ვამთავრე კიდევ“.

იმისათვის, რომ მეტი დაინტერესება გამოეწვია ალბომს და,
ამით კი ქართული ენისადმი, ტატიშვილმა გამოცემის შემოსავლი-
დან 10 პროცენტი შესწირა ქალთა იმ სკოლას, რომელიც მომა-
ვალში უნდა დაარსებულყო. ამის შესახებ თვით ალბომიდან ვგე-
ბულობთ. აქ ტატიშვილი პირდაპირ წერს:

„ამ ალბომის შემოსავლიდან 10 პროცენტი შემეწირავს მომა-
ვალის საქალბო ქართული სკოლისათვის“-ო.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ქველმოქმედებასა-
და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

საზოგადოებრივ საქმისადმი, ქართველი ხალხისადმი თავის ერთგულებას, ტატიშვილი ავლენს იმითაც, რომ ამ ალბომს უძღვნის მარიამ ვახტანგის-ასულ ჯამბაყურ-ორბელიანს, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეს, ქვეყნის პატრიოტს, პატიოსანსა და უმწიკვლო ქართველ ქალს, რომელიც იმ დროს ყოველმხრივ—ცოდნითაც და სახსრებითაც ხელს უწყობდა ქალებისათვის სასწავლებლის დაარსების საქმეს. ეს კდემამოსილი და სპეტაკი ადამიანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში.

ტატიშვილმა, რომელიც მისი დიდი პატივისმცემელი იყო, მისდამი თავისი სიყვარული სწორედ ამ ალბომის შექმნით გამოხატა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მარიამ ჯამბაყურ-ორბელიანი ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს ალბომის ქართველ ქალთა შორის გავრცელებას და ამით ტატიშვილის მთავარი მიზნის—ქართული ენის განმტკიცების—განხორციელებას.

ტატიშვილს არ უყვარდა ზერელე და მოჩვენებითი მუშაობა. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩუმი მუშაობა ბევრის მთქმელია, მხოლოდ ლაპარაკი კი არაფრისაო“.

მართლაც, ტატიშვილი ბეჯითი და ჩუმი მშრომელი იყო.

ტატიშვილი „ჩართულ ანბანში“ თვითეულ ასოს დიდი ოსტატობით ამუშავებს.

იმისათვის, რომ უფრო მრავალმხრივი და სრულყოფილი ყოფილიყო მონოგრაფების ალბომი, ტატიშვილი ითვალისწინებდა გვარისა და სახელის დასაწყის ასოთა ურთიერთობის ყველა შესაძლებელ ვარიანტს, რითაც საშუალებას აძლევდა ყველა იმას. ვისაც კი სურვილი აღეძრებოდა თავისი გვარისა და სახელისათვის მონოგრაფა შეექმნა, ესარგებლა მონოგრაფების ამ ალბომით.

ალბომში მონოგრაფები ანბანური თანმიმდევრობით არის დაწყობილი და დაყოფილია მწკრივებად. თვითეულ მწკრივს აქვს თავისი სათაური; მაგალითად: „ანი“, „ბანი“, „განი“ და ა. შ.

პირველი მწკრივი, ანბანის დასაწყისის ასო—„ა“-თი იწყება; იგი ანბანის ყველა დანარჩენ ასოსთანაა ცალცალკე ჩართული—გარდა „ჰაესი“.

საილუსტრაციოდ დავასახელოთ მწკრივებში ფუძეთა ანბანის სხვა დანარჩენ ასოებთან ჩართვის რამდენიმე შემთხვევა. ასოები ერთმანეთთან შემდეგი პრინციპით არიან დაკავშირებულნი: მწკრივის ფუძე „ა“ გადახლართულია ანბანის პირველ ასო „ა“-თან; შემდეგ მოდის „აბ“, „აგ“, „ად“, „აე“ და ა. შ. ბოლომდე. „ბანის“

მწკრივიც იმავე პრინციპზეა აგებული: „ბბ“ (ამ მწკრივში „ბ“-ს კომბინაცია „ა“-თან აღარ არის მოცემული, რადგან იგი წინა მწკრივში იყო უკვე წარმოდგენილი), „ბგ“, „ბდ“ და ა. შ.

ალბომში სულ 518 მონოგრამაა¹.

მონოგრამების აღწერისას უნდა ითქვას, რომ ტატიშვილი მეტად დიდ და ფართო ერუდიციას ავლენს. იმ დროს ასეთი ალბომის შედგენა როდი შეეძლო ყველას, რადგან ამისათვის საჭირო იყო როგორც უდიდესი ნებისყოფა, საქმის ცოდნა და ენთუზიაზმი, ისე ასოებისათვის ლამაზი გრაფიკული სახის მიცემა და კლიშეების ოსტატური დამუშავება. ამ მხრივ კი ტატიშვილი უდაოდ მოწოდების სიმალლეზე დგას.

მონოგრამებისათვის აღებულია ერთი განსაზღვრული ტიპი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციაშია მოცემული. მართალია, ტატიშვილი ასოთა გრაფიკულ მოხაზულობის ერთ ტიპს იძლევა, მაგრამ მათ სულ სხვადასხვაგვარად ამუშავენს. მსხვილტანიანი მრგვალი ასოები მოცემულნი არიან ხან ჩრდილით, ხან უჩრდილოთ, წერტილებით, შტრიხებით, ხან ასოს ტანი მთლიანად შავია და სხვა.

მონოგრამების აგების სირთულე არ გამოიხატებოდა იმაში, რომ მათთვის მხატვარს გრაფიკული ლამაზი ფორმა მიეცა; მხატვარი უნდა ცდილიყო, რომ ისინი დინამურად ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი და შერწყმულნი, ერთიმეორესთან. კარგი ეფექტური შედეგის მისაღწევად მათ შემდგენელს უნდა ეძებნა ასოთა ურთიერთდაკავშირების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ვარიანტი.

ტატიშვილმა ეს რთული ამოცანა კარგად გადაწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ მონოგრამებს არა აქვთ მხატვრული გაფორმების სხვა დამხმარე ელემენტები, როგორსაც ჩვენ ვხვდებით ტატიშვილის მიერ ადრე შედგენილ ალბომებში, ყვავილების, ფოთლებისა და სხვათა სახით, ისინი მაინც გამოირჩევიან თავისი სიფაქიზით და დამთავრებულ, სრულფასოვან და მეტად ეფექტიურ ნაწარმოებებად გვევლინებიან.

მონოგრამების შედგენის პროცესში გრიგოლს დიდი მუშაობის ჩატარება უხდებოდა, რასაც წინასწარ დამზადებული ესკიზები მოწმობს. ერთი მონოგრამისათვის იგი ხანდახან ათამდე ვარიანტსაც კი ამუშაებდა ხოლმე.

ალბომის მრავალ დადებით მხარესთან ერთად, მასში სინამდვილისაგან გადახვევის რამდენიმე შემთხვევასაც აქვს ადგილი:

¹ ტატიშვილის მიერ ეს მონოგრამები ამოჭრილია პანტის ზის პატარა რვაკუთხა ნაკრებზე.

იმისათვის, რომ უფრო მეტი პროპორციულობა დაიცვას და ამით ასოების ერთმანეთთან დაკავშირება უფრო დინამიური გახადოს, ტატიშვილი ზოგ შემთხვევაში ამახინჯებს კიდევ ასოთა ნამდვილ, ბუნებრივ მოხაზულობას. მაგალითად: მეოთხე წყების დასაწყისში, იქ სადაც მონოგრამა შედგენილია ასოების „დ“ და „ღ“-ს ურთიერთდაკავშირებით, ერთი ასო გამოხატულია ისევე, როგორც იგი ჩვეულებრივად იწერება, ხოლო მეორე კი მასთან დაკავშირებულია შებრუნებული სახით, ისე როგორც საგანი სარკეში არეკვლის დროს ისახება ხოლმე. ასეთივე ხარვეზია „ვე“, „სს“ და „ქქ“-ს მონოგრამებზე. ასოების ასეთი გადმოცემა, რასაკვირველია, დიდი შეცდომია, რის გამოც მონოგრამის ათვისება მნახველის მიერ ძნელდება, მაგრამ მხატვრულობის თვალსაზრისით შეიძლება იგი მიზანშეწონილიც კი იყოს.

„ჩართული ანბანის“ ალბომს აქვს დამატებაც. ეს დამატება, რომლის სათაურია „რამდენიმე ნიმუში“, მოიცავს ტატიშვილის მიერ შესრულებულ მოდილო ზომის სტილიზებულ მონოგრამებს. ისინი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ზაქარია ჭიჭინაძის, ტასო აბაშიძის, დავით ერისთავისა და სხვათა სახელისა და გვარის დასაწყისი ასოების მიხედვით არიან შედგენილნი¹.




¹ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (საგურამო) მრავალრიცხოვან ექსპონატთან ერთად დღეისათვის დაცულია დროშა ტართურთ, რომელიც სპეციალურადაა გაკეთებული ჩვენი სახელოვანი მგოსნის ილია ჭავჭავაძისათვის. პოეტისათვის დროშა საჩუქრად მიერთმევიათ 1898 წლის 20 ივლისს (ძვ. სტილით) სახელწოდების დღესასწაულთან დაკავშირებით.






როგორც ცნობილია, ამ დღეს საგურამოში მრავალრიცხოვან სტუმართ შორის ი. ჭავჭავაძეს ორმოცი ქართველი ცხენოსანი ეწვია. როდესაც ილია გამოეგება სტუმრებს, ჩგუფს გამოეყო ე.ლ. გუნია და გრ. აბაშიძე, რომლებმაც გულბილი მისალმებისა და მილოცვის შემდეგ პოეტს მიათვეს წითელი ფერის დროშა, რომლის ერთ მხარეზე ოქროს ჭაფებიტ ამოქარგული იყო სიტყვები: „კაცო უნდა კაცად იყოს, სინთელივით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს. ილია ჭავჭავაძე“. (სიტყვები ამოდებული ილიას პოემიდან „ლიმბრი თავადებელი“. მ. უ.), ხოლო მეორეზე მონოგრამა „ი. ჭ.“ — პოეტის სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები. საჩუქარს ილია დიდად აულულევდა და თვალეზეც ცრემლმორაგულს მოწიწებით შემოუპატიენია სახლში ძვირფასი სტუმრები.





დროშაზე ამოქარგული მონოგრამა „ი. ჭ.“ გრივოდ ტატიშვილის მიერ შედგენილი მონოგრამის ასლს წარმოდაგენს. ამჟამად ჩანს, რომ იმ პირს, რომელსაც ამოუქარგია დროშაზე მონოგრამა, უსარგებელია გრ. ტატიშვილის 1894 წელს გამოცემულ ალბომით „ჩართული ანბანი“.









ქართული
წიგანი





(გრაფიკა ხეზე შემოკლებული)
















„ჩართული ანბანის“ შემდეგ ტატიშვილმა კიდევ ერთი ალბომი — „ქართული ჩუქურთმა“ გამოაქვეყნა. ალბომი 1900 წელს გამოვიდა.

„ქართული ჩუქურთმა“, რომელშიც 1888 წელს გამოცემულ ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული მხატვრული გაფორმების თითქმის ყველა ელემენტი თავმოყრილი, აშიების, თავი ასოებისა და ბოლოსამკაულების სახით, სპეციალურად დაიბეჭდა 10 ცალად პარიზში 1900 წელს მოწყობილ მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნად. ალბომს ზოგიერთების რჩევით ფრანგულენაზეც გაუკეთეს შემდეგი სათაური:

„L'art Décoratif au Caucase. Lettres ornées, entêtes, culs-de-lampe. Composés et dessinés par Gregoire Tatieff, d'après des motifs d'architecture et de sculpture des anciennes églises du Caucase (XIe, XIIe, XIIIe et XVe siècles)“.

რა თქმა უნდა ეს ფრანგული სათაური, რომელშიც სრულიად არ არის ლაპარაკი საქართველოს ხელოვნების შესახებ, წარმოადგენს სინამდვილის უდაო დამახინჯებას საქართველოს ხელოვნების ამიერ-კავკასიის სხვა ხალხების ხელოვნებასთან გაიგივების სახით.

ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პიროვნება, საქართველოსათვის თავდადებულის ნიღაბ ქვეშ ამოფარებული, ყოველმხრივ უშლიდა ხელს პარიზის გამოფენაზე არა მარტო ტატიშვილის ალბომის პოპულარიზაციას, არამედ თავგამოდებით უწყობდა ხელს, მთლენად ქართული ხელოვნების მიჩქმალვის საქმესაც.

თედო სახოკია, რომელიც ამ დროს პარიზში იყო ტატიშვილის წერდა: „ზოგიერთებმა გილაღატეს, გზა არ მისცეს შენს ნამუშევარს, თუმცა მას დიდი ყურადღება მიაქციეს. ისინი რომ არ ცდილიყვნენ მედალსაც მოგისჯიდნენო“.

მიუხედავად ზოგიერთების „ცდისა“ ტატიშვილის „ქართული ჩუქურთმა“ მაინც იქნა დაჯილდოვებული ქების ფურცელით.

ლამაზად არის გაფორმებული ალბომის სატიტულე გვერდი. აქ ალბომის სათაური — „ქართული ჩუქურთმა“, — რომელსაც გვერდის-შუა ნაწილი უკავია, ტატიშვილს შედგენილი აქვს ტარასი არქიმანდრიტის ნახატი ასოების მიხედვით. ასოების გასაფორმებლად გამოყენებულია ფანტასტიკური ცხოველებისა და ფრინველების სტილიზებული ნაწილები.

მიუხედავად იმისა, რომ ასოების მხატვრულ გაფორმებაში ბევრია საერთო, მსგავსი ელემენტი, თვითეული მათგანი, აღებული

ცალცალკე, დამთავრებულ და დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს—კომპლექსში კი ქმნის ჩუქურთმების მთლიან, რითხულ ანსამბლს და თავისი დინამიურობით იტაცებს მნახველის ყურადღებას.

ალბომის სათაურს გარშემო უელის ის მოჩუქურთმებული აშია, რომელიც 1888 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ გარეკანს ამშვენებს.

„ქართულ ჩუქურთმაში“ მოთავსებულია 48 თავიანსო, 47 ბოლოსამკაული, ორი წრიული ჩუქურთმა, 8 სახის აშია და 5 სახის პატარა ზომის კვადრატული ჩუქურთმა.

1901 წელს ტატიშვილმა, როგორც ეს მის უბის წიგნაკიდან ჩანს, ალბომი საჩუქრად გაუგზავნა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს: ქავჭავაძეს, კირიონს, სახოკიას და კლდიაშვილს. გარდა ამისა, მან „ქართული ჩუქურთმის“ რამდენიმე ეგზემპლარი გადაუგზავნა პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის რუს მოღვაწეთა საზოგადოებას, რომლისგანაც 1902 წლის 25 იანვარს მადლიერებით აღსავსე შემდეგი შინაარსის ჰასუხი მიიღო:

„Милостливый Государь Григорий Павлович.

Прошу Вас принять выражение чувствительной признательности Статистико-библиографической комиссии за столь любезно сделанное Вами пожертвование и содействие ей начинаниям“. დოკუმენტი ინახება საქ. სსრ სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

საზოგადოების სახელით ამ ოფიციალურ დოკუმენტს ხელს აწერს სტატისტიკურ-ბიბლიოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე მიხეილ იაკობის-ძე ვილღიე.

წერილი ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ტატიშვილს იცნობდა არა მარტო გამომცემლების ვიწრო წრე, არამედ საზოგადოების ფართო ფენები, რომ იგი პოპულარული იყო არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც და, კერძოდ, პეტერბურგში, სადაც იმ დროს ქსილოგრაფიული ხელოვნება მეტად განვითარებული იყო.

აღნიშნული ალბომების გამოცემით ტატიშვილმა დიდი ეროვნული საქმე გააკეთა; ამით მან ერთხელ კიდევ მოაგონა ქართველ საზოგადოებას და, კერძოდ, ქართველ ქალებს თავისი წმინდა ვალი სამშობლო ქვეყნის წინაშე, ხელი შეუწყო ქართული ენის განმტკიცებისა და გაძლიერების საპასუხისმგებლო საქმეს.

ამ ალბომების შექმნით ტატიშვილმა პირველმა მისცა მათ ქარ-

თული ასოებით შედგენილი საქარგი ნიმუშები, რითაც დიდად შე-
უწყო ხელი მათი ორიენტაციის წმინდა ქართული ენისადმი საბო-
ლოოდ შემობრუნების საქმეს.

. ამ ალბომების და, კერძოდ, ტარასი არქიმანდრიტის მიერ
ნახატი ასოების დამუშავებითა და გამოცემით ტატიშვილმა საზო-
გადოებას დაანახვა, რომ ქართველი ხალხი ხატოვან ასოებსა თუ მო-
ნოგრამებს ძველთაგანვე ჰქმნიდა და ხელნაწერ წიგნებში იყენებდა.

ამგვარად, ტატიშვილმა მკაცრად გაილაშქრა ქართული ენის
სიწმინდის შემბლაღველთა წინააღმდეგ და თავისი გულმოდგინე
შრომით დიდი ღვაწლი დასდო არა მარტო მის თანამედროვე,
არამედ შემდგომ თაობებსაც.





რიგოლ ტატიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის. აგრეთვე, ქართული მხედრული შრიფტის გრაფიკული მონახულობის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის საქმეშიც.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს როგორც ტატიშვილის, ისე მის მიერ შედგენილი შრიფტების მნიშვნელობა, მიზანშეწონილი იქნება, გაკვირით მაინც გავეცნოთ, თუნდაც მოკლედ ქართული შრიფტის განვითარების ისტორიას.

ქართული მხედრული შრიფტის განვითარებას დიდი ისტორია აქვს და ამიტომ მისი ქრონოლოგიური განვითარება შეიძლება დაიყოს რამდენიმე პერიოდად:

პირველი პერიოდი იწყება მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი ე. ი. რაც რომში ჩამოისხა ქართული მოძრავი ასო და პირველი მხედრული შრიფტით 1629 წელს დაიბეჭდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“.

მხედრული შრიფტის განვითარების პირველ პერიოდს მიეკუთვნება ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში ნაბეჭდი წიგნებიც, რომელთაგან ამ შრიფტით 1711 წელს დაიბეჭდა „გერმანე—სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღუარსა სწავ-

ლება ნოწათისა¹, „დაეთნი“, 1712 წელს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა.

დღეს, ჩვენ ვიცით ვინაობა იმ პირველი ქართველი კალიგრაფისა, რომლის მიერ შედგენილი მხედრული ასოების მიხედვით ჩამოსხმული შრიფტით დაიბეჭდა „კობდაკი“ (1711 წ.) წინასიტყვაობა და ბოლოსართი და „ვეფხისტყაოსნის“ (1712 წ.) მთლიანი ტექსტი.

როგორც ირკვევა ეს კალიგრაფი ყოფილა ვახტანგ მეექვსის ძმის დომენტი კათალიკოზის „მდივან-მწიგნობარ-მგალობელი“ სოლომონ მაღალაძე, რომელსაც გადაწერილი აქვს ვახტანგ მეექვსის „ქანონთა წიგნის“ „ზანდუკი“; ამ „ზანდუკის“ ხელნაწერი ასოების გრაფიკული მოხაზულობა, მათი სტილისტური თავისებურებანი და აგებულება სავსებით ემსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ შრიფტს, რაც ნამდვილად ადასტურებს სოლომონ მაღალაძის მიერ „ვეფხისტყაოსნისთვის“ საბეჭდი შრიფტის დამზადებას¹.

პირველი პერიოდის ყველა შრიფტისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ისინი უმთავრესად ხელნაწერი ასოების მიზაძვით მზადდებოდა.

მეორე პერიოდი იწყება 1783 წლიდან და გრძელდება 1837 წლამდე.

ამ დროს მხედრული შრიფტი საქართველოს საზღვრებს გარეთ—მოსკოვსა და პეტერბურგში ვითარდება. დიდი ამაგი დასდო რუსეთში მის განვითარების საქმეს თეიმურაზ ბატონიშვილმა, რომელიც თვით ადგენდა ასოთა გრაფიკულ მოხაზულობას.

ამ პერიოდში ქართული სასტამბო შრიფტი თანდათან იხევეება და უახლოვდება შრიფტის წარმოების საერთო ნორმებს.

მესამე პერიოდი 1837 წლიდან იწყება. ამ დროს ქართული მხედრული შრიფტი ვითარდება თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დამზადებული მატრიცებისა და იმ დროისათვის არსებული ქართული შრიფტების გრაფიკულ მოხაზულობათა მიხედვით.

მეოთხე პერიოდი მოიცავს დაახლოებით 1865—1933 წლებს. ამ პერიოდის დასაწყისი ეტაპი აღინიშნება უმთავრესად მხატვარ მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანის მოღვაწეობით. მან 1863 წელს სტეფანე მელიქიშვილის ამხანაგობის დავალებით შეადგინა ორი სა-

¹ სოლომონ მაღალაძის შესახებ დაწერილებითი ცნობები იხილეთ ქრისტინე შარაშიძის წიგნში „პირველი სტაჰბა საქართველოში (1709—1722)“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955 წ. გვ. 112—114.

ახის მხედრული შრიფტი, რომლის მიხედვითაც ვენაში ჩამოსხმული იქნა ე. წ. „ვენური“ შრიფტი. ეს შრიფტი დღესაც იხმარება ჩვენ პოლიგრაფიულ მეურნეობაში. მისი ასეთი დიდი პოპულარობა გამოწვეულია იმით, რომ იგი არა ჰგავს ისეთ შრიფტებს, რომლებიც ხელნაწერი ასოების მიბაძვით არიან შექმნილნი: იგი კურსივის მოპირდაპირება და იმყოფება ასწორედ მდგომარეობაში. სწორედ ასეთ შრიფტს მოითხოვდა საშრიფტო მეურნეობა. იგი საესეებით განირჩევა ხელნაწერი ასოების მიხედვით შედგენილი შრიფტებისაგან და თავისუფლად, ადვილად იკითხება.

„ვენური“ შრიფტის პოპულარობამ შეასუსტა სხვა შრიფტების გამოყენება; მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის მეოთხე მეოთხედში ხმარებაში შემოდის სხვადასხვა სახის შრიფტები, რომელთაგან პირველყოვლისა აღსანიშნავია „ცისკარის“ შრიფტი¹.

სწორედ ამ დროს იწყებს ტატიშვილი ქართული მხედრული შრიფტის დამუშავებას.

ტატიშვილს კარგად ესმოდა, რომ ნაბეჭდი ასოები წიგნის გაფორმების ერთერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა და ამიტომ იგი შეეცადა შეექმნა ისეთი შრიფტი, რომელიც გრაფიკული ხერხების წყალობით ადვილად ასათვისებელი და მბატკრული იქნებოდა.

ტატიშვილმა გადააკეთა ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნისათვის“ გამოყენებული შრიფტი და მას შედარებით მოზრდილი სახე მისცა.

ამ შრიფტს უმთავრესად სასულიერო უწყება იყენებდა.

„დიდი მოწონებით სარგებლობს ის შრიფტი, რომელსაც ფართოდ იყენებდა სასულიერო უწყება. იგი მეცნიერებათა აკადემიის სტამბის—კეგელი 10-ის (ვახტანგურის) გადიდებულ სახეს წარმოადგენს. მისი ნახაზები დამუშავებული უნდა იყოს გრ. ტატიშვილის მიერ. ამიტომაც მას ასოთამწყობები ტატიშვილის შრიფტს უწოდებენ“².

ტატიშვილის ეს შრიფტი ხმარებაში იყო ჩვენი საუკუნის პირველ წლებამდე.

¹ ქართული მხედრული შრიფტის განვითარების პერიოდები ჩვენს მიერ მოცემულია ბ. გორდენიანის წიგნში—„ქართული მხედრული შრიფტი“ (1953 წ.)—ჩამოყალიბებულ პერიოდიზაციის მიხედვით. წიგნში თანმიმდევრულად განხილულია ქართული მხედრული შრიფტის განვითარების 6 პერიოდი და მისი ისტორია.

² გორდენიანი, ბ. „ქართული მხედრული შრიფტი“, თბ., 1953 წ. გვერდი 90.

5 ტატიშვილის გარდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართულ-მხედრულ შრიფტზე მრავალი მხატვარი მუშაობდა. ამთგან აღსანიშნავია კირილე ლორთქიფანიძე, რომელმაც ე. წ. „ქუთათური“ ანბანი შეადგინა და ჩამოასხმევინა; ლორთქიფანიძეს ამ შრიფტის მიხედვით ერთშრიხიანი შრიფტიც აქვს შედგენილი.

ქ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი შრიფტით ქუთაისში „ვეფხისტყაოსანიც“ არის დაბეჭდილი. ამ შრიფტს ზ. ჭიჭინაძე ასე ახასიათებს: „დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის. მექონ ასოებით, რომლის ყალიბების ჩამოსხმა და ასოების შემოკლება. ქ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქნა ქართველთაგან, ამიტომ იგი დაშოა უხმარებელ. ერთი შეხედვით ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰგავს, კაცს თვალს უჭრელებს; ამას ბევრათ სჯობია ის ახალი ასოები, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პარიზში გააკეთებინა, ასოებიც ჩამოასხმევინა და საბეჭდავადაც ვცადეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩვენს ფარსაგათ“¹.

ლორთქიფანიძის შრიფტის გარდა ამ დროს კეთდება მრავალი სახის შრიფტი, როგორც საქართველოში ისე მის საზღვრებს გარეთაც (სტამბოლი, ბერლინი), მაგრამ არც ერთი მათგანი არ გავრცელებულა და მოკლე ხნის განმავლობაში საეხებით გამოვიდნენ ხმარებიდან.

სწორედ ამავე პერიოდშია შედგენილი ტატიშვილის მიერ ის შრიფტები, რომლებიც დღეისათვის „ტატიშვილის ჩონჩხის“ ან პირდაპირ „ჩონჩხის“ და „ეგვიპტურის“ სახელითაა ცნობილი.

მათთან ერთად უამრავი სასათაურო და ნუსხური შრიფტებიც ჩნდება.

„ეს შრიფტები უმთავრესად მეცხრამეტე საუკუნეში საყოველთაოდ გავრცელებულ ეგვიპტური და იტალიური შრიფტების მიბადებით კეთდება. ასეთია მაგალითად ქართული „ჩონჩხი“, „ეგვიპტური“ და ხის გრაფიკორული შრიფტები, რომელთა ავტორი არის გრიგოლ ტატიშვილი. მხატვრულ ანბანებში მის მიერ დადგენილმა ზომებმა და ასოთა პროპორციებმა დიდი გადახალისება და გაუმჯობესება შეიტანეს მხედრულის გრაფიკულ მოხაზულობაში (გორდენიანი, ბ. „ქართული მხედრული შრიფტი“, თბილისი, 1953 წელი გვ. 90).

¹ ჭიჭინაძე, ზაქარია, „ისტორია ქართული სტამბისა და შვიგნობრობის ბეჭდვისა (1645—190.)“ აკაკის თეიური კრებული № XII, 1899 წლისა, ტფილისი 1900 წ., გვ. 145—146.

ქართული შრიფტის ნიმუშები კრების მიერ განსახილველად.

ტატიშვილისა

ყალიბი 16

ა ბ გ დ ე ე მ მ თ ი კ ლ მ ნ დ ო პ რ ს ტ უ ფ ქ დ
ყ უ რ ს კ ე წ ჭ ხ კ ჯ ჰ კ ჭ კ

ქართული შრიფტის ნიმუშები კრების მიერ განსახილველად.

ზისივე მთავრულად

მბარბენ, ყალიბი 12

ა ბ გ დ ე ე მ მ თ ი ს ლ მ ნ ძ ო პ რ
ს ტ უ ფ ქ დ ყ უ რ ს კ ე წ ჭ ხ კ ჯ ჰ კ

გ. ტატიშვილის... მიერ შესრულებული შრიფტი—ჩინჩხიძე.

ტატიშვილის მიერ შედგენილი „ჩონჩხი“ დღესაც წარმატებით იხმარება. იგი ორი სახითაა შედგენილი. ერთია „ყალიბი 16“, ხოლო მეორე „მთავრული“ (ყალიბი 12), რომელიც პირველის გადიდებულ სახეს წარმოადგენს. აქ ასოთა სამივე ელემენტი ორ პარალელურ ხაზს შორის არის მთლიანად მოთავსებული.

ორივე სახე აგებულია მართკუთხა ოთხკუთხედის ფორმით.

გარდა ზემოხსენებულისა, ტატიშვილს გაკეთებული აქვს აკადემიურის (ყალიბი 16) მიბაძვით შრიფტის რამდენიმე სახე, რომლებიც არ ჩამოსხმულან.

ამ შრიფტებისათვის განკუთვნილი ნახაზების გადასინჯვა და ზოგან საბეჭდი შრიფტების ჩამოსხმა თანამედროვე პირობებში დიდად შეუწყობდა ხელს პოლიგრაფიულ წარმოებაში არსებული შრიფტების მარაგის ზრდას.

უდაოა ის გარემოება, რომ ტატიშვილის მიერ შემუშავებულმა შრიფტებმა საგრძნობლად წასწიეს წინ ჩვენში პოლიგრაფიული საქმე.

ჩვენ, აქ ლაპარაკი გვქონდა ტატიშვილის სასტამბო შრიფტების შესახებ. ადამიანმა რომ მთლიანი წარმოდგენა იქონიოს ამ განხრით ტატიშვილის მუშაობაზე, მან აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება იმ დროის ქართულ პერიოდულ პრესაში მიმობნეულ სასათაურო ასოებსა და სააფიშო შრიფტებსაც, რომელთა უმეტესი ნაწილი ტატიშვილის მიერ არის შესრულებული.

ტატიშვილის შრიფტების შესწავლა იმასაც ნიშნავს, რომ შესწავლილ იქნას, საერთოდ, ქართული შრიფტის ისტორიის განვითარების ვრცელი ნაწილი, რაც, თავის მხრივ, სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.





არდა იმისა, რომ ტატიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მხატვრული გაფორმების საქმეში, მნიშვნელოვანია მისი როლი, როგორც პროგრესული, რევოლუციური ხასიათის გაზეთების რედაქტორისა.

1906 წლის 22 ივლისს, თბილისში, მ. დ. კიკნაძის სტამბა „იდეალში“, დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროპაგანდო კვირეული ორგანო „გლეხის“ პირველი ნომერი.

გაზეთმა მიზნად დაისახა თავის ფურცლებზე საქვეყნოდ ეჩვენებინა გლეხის ღუბჭირი ცხოვრება, გლეხისა, „რომელიც დღე და ღამე მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს, სისხლსა, ოფლსა ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისათვისაც არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მაინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა. გლეხი ის არის ვისაც ყველა ატყვილებს, ყველა ძარცვავს, ჩაგრაფს, ყვლეფს და სისხლსა სწოვს“¹.

—მშრომელო ხალხო, შეერთდი!—ასეთი იყო გაზეთის ლოზუნგი.

—„მიწა და თავისუფლება! მშრომელ ხალხს სურს, რომ იმის ნაოფლარი მისივე იყოს“—წერდა გაზეთი.

¹ გაზ. „გლეხი“, 1906 წელი, № 1.

გაზეთის ფურცლებიდან მრავალი რევოლუციურად განწყობილი პოეტი მოუწოდებდა ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ:

„გახაფხულია, ფეთქავს კოკორი,
ტყე დანაწულა მინდორი ღელავს,
მომკალს ნამგალი დაეიწყებია.
სამაგიეროდ ხანჯალსა ჭფერავს!“

ხედავს რა ხალხის აუტანელ მდგომარეობას პოეტი ირ. ევლო-
შვილი როგორც შემოდანნიშნულ, ისე სხვა ლექსებით ალაგზნებს
ჩაგრულთ ბრძოლისაკენ:

„ქმარა, ან ტყვია, ან სამართალი!
მშიერ-ტიტველო, შვილო ნუ სტირი
ჩაგრული ხალხი აღსდგა, აზვირთდა
უკვე შეძახის ბრძოლის საყვირი!“

გაზეთი „გლეხის“ პოლიტიკური მიმართულება ჩვენთვის იმდენ-
ნადაა საინტერესო, რომ მან განსაკუთრებული როლი ითამაშა
ტატიშვილის მსოფლმხედველობის განმტკიცებისა და მისი, როგორც
რედაქტორის ჩამოყალიბების საქმეში.

გრიგოლ ტატიშვილი, რომელიც სოციალ-ფედერალისტთა პარ-
ტიას ეკუთვნოდა, დიდ მონაწილეობას იღებდა „გლეხის“ გამომცე-
მაში.

უპირველესად ყოვლისა მან გარკვეული წვლილი შეიტანა, რო-
გორც გაზეთის საერთო მიმართულების, ისე მისი მხატვრული გა-
ფორმების საქმეში.

სათაური „გლეხი“ ტატიშვილის მიერ არის შედგენილი და ხეზე
ამოჭრილი. აქ ასო „გ“ გადახლართულია ნამგალთან და პურის
თაფთავთა კონასთან, გლეხთა შრომის ნათელ სიმბოლურ გამოსა-
ხულებასთან.

არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ ამ აშკარა ბრძოლის გამო
თბილისის გენერალ გუბერნატორის ბრძანებით „გლეხი“, შვიდი
ნომრის გამოსვლის შემდეგ, დახურულ იქნა.

გამომცემლობის სახელით „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელმა
გაზეთ „შრომაში“ გამოაცხადა, რომ მიუხედავად „გლეხის“ დახურ-
ვისა რედაქცია ყოველ ღონეს იხმარს გაზეთის მკითხველები მომა-
ვალში ასე თუ ისე დააკმაყოფილოს¹.

¹ გა.ზ. „შრომა“, 1906 წ., № 8 (76).

განცხადებაში ნაგულისხმეია ის აშბავი, რომ რედაქციას გან-
ზრახული ჰქონდა მომავალში კვლავ აღედგინა გაზეთი.

მართლაც, თითქმის ერთი თვის შემდეგ, 1906 წლის 7 სექტემ-
ბერს, მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, თვით გრი-
გოლ ტატიშვილის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთის პირველი
ნომერი შეცვლილი სათაურით¹.

ისევე როგორც დახურული „გლეხი“, „მიწაც“ უმთავრესად გლეხ-
თა ინტერესებს ემსახურებოდა.

მოწინავე სტატიაში რედაქცია მკითხველს უხსნიდა თუ ვისთვის
იყო მოწოდებული და რა მიზანს ემსახურებოდა გაზეთი:

„გლეხის გაზეთია „მიწა“, მას უნდა გლეხს დაეხმაროს, სინათ-
ლე შეიტანოს მის ცხოვრებაში, უჩვენოს მას დღევანდელი
ცხოვრების უკუღმართობა, უთხრას, თუ როგორ იჩაგ-
რება მშრომელი ხალხი და აუხანას, თუ რა გზით და რა საშუა-
ლებით შეუძლია გლეხს განთავისუფლდეს ახლანდელი მწარე ცხოვ-
რებისაგან“².

იმის გასარკვევად თუ რა პოლიტიკურ პოზიციაზე იდგა გრი-
